

ლიტერატურული გაზეთი

№13 (365) 5 - 18 ივლისი 2024

ბათუმის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

მანანა ჩიტიშვილი

ჯუანშერ ტიკარაძე

ბესო ხვედელიძე

რა ერთნაირი ყოფილა

ბრუნავს და ბრუნავს სანუთრო,
მეც განა ერთხელ გამსრისა,
რაც ვიყავ, მაინც ისა ვარ,
ვერც რას ვიგუებ ნასხვისარს.
არც აბრეშუმი ვიმუდმე,
არც მკადრე ვიყავ ფლასისა,
არც სუფრის თავში დავმჯდარვარ
პატრონად ბევრ-ათასისა.
რაც მქონდა, იმას ვკმარობდი,
დიდნილად დრამის ფასისა,
არც ზეცის ვიყავ მოვალე,
არც რა მემართა კაცისა,
რა ერთნაირი ყოფილა
გზები
მოსვლის და წასვლისა.

IV-VI

თავი ღარიბად როგორ ჩავთვალო,
მაქვს ცა საბნად და მიწა — ლოგინად.
თუმც არ მწყალობდა ბედი ართვალის,
მაინც მადლობა, რაც მამოგინა.
დნებთან წლები და ვარ მეც ასე,
გზებს გულის ელდა გადასცემია.
ჩემია ბინდი ქალაქის თავზე
და ეს ქალაქიც — ქვემოთ — ჩემია.
ხოლო ქალაქში მგლები ყმუიან
და აბლაბუდებს წნავენ ქუჩები.
სიზმრებში ხიზნავს მთვარის ტყუილებს
დრო უდემამო, დასაყურები.
და შენც დაყურდი, სულო — ტანტალოს!
თუ დაგვტოვებენ აქ პატარა ხანს,
გთხოვთ, უხილავი ლამპრით მატაროთ,
ჩემო ბიჭებო, ვინც აღარა ხართ.

VIII-IX

ცენტრი

— მოგესალმებათ ცენტრი! სალამი ბიჭებს!..
— გამარჯობა, ცენტრი! 04 ვარ! ხაზზე გამოვე-
დი! როგორ გიკითხო გუშინდლის მერე, ცენტრი?
— ...გილოცავთ ახალი სამუშაო დღის დაწყებას!
დღეს 29 მაისია! აგერ მაქვს ოფისის ლეპტოპი გახ-
სნილი „ვიკიპედიაზე“ და თქვენს გასაგონად ვკი-
თხოვლობ: დღესაა მსოფლიო ალპინისტების დღე,
ანუ ამ დღეს დაულაშქრიათ 1953 წელს ევერესტი
პირველად! ევერესტი იცით სადაა საერთოდ?
— ცენტრს სიცოცხლე! 011 ვარ. მთანინდიდან
უდარდელად ვეშვები!
— თქვენს გასაგონად ვკითხოვლობ-მეთქი! ევერ-
ესტი არის ყველაზე მაღალი მწვერვალი იგივე ჯო-
მოლუნგმა (ჩინურად), რომელიც მდებარეობს ერ-
თდროულად ნეპალსა და ჩინეთში!
— უჰ, რა კაი ღვინო სცოდნია იურას, 04 ვარ!..
მოგვკლა, მარა პახმელია არ მოუცია წვეთი-გრამი!
— აგრეთვე — დღესაა საქმლის ჯანსაღი მონ-
ელების მსოფლიო დღე!.. რა ლლიცინი მესმის?
— მაინც არ მჯერა, რომ შაქარს არ უშვება, 011
ვარ!
— ასევე — დღეს აღინიშნება ამერიკაში სამ-
ხედრო ავტომობილისტების დღე! გესმით თქვენ?
— უნდა გაყურებინა, როგორ ყურადღებით
წურავს, 04 ვარ!
— და კიდევ — დღესაა გაეროს მშვიდობისმო-
ფელთა დღე!.. მისმენთ ვინმე?! მოკლედ, თავში ქვა
გისლიათ! გისურვებთ წესიერ მგზავრთა სიუხვეს
და უსაფრთხო გადაადგილებას!
— მერე ბოცების ყარაულად დაგნიშნოს ბარემ,
011 ვარ!
— ცენტრი ვარ! პირველი გამოძახებაა დადი-
ანის ქუჩიდან. სახინკლე „ველიამინოვი“. ვინ წავა?
— თავისუფლებაზე ვარ, ფაქტობრივად, ცენ-
ტრი! მე ავიყვან მგზავრს! 011 ვარ. საით მიდნაო?
— არ უთქვამს, ანდრო! ძლივს ლულულულებდა
მთვრალი! ადგილზე გაარკვიეთ!
— 02 გამოვედი ხაზზე. გილოცავთ დღევანდელ
დღეს, პატივცემულო ტაქსოსაზოგადობაზე!
— ვახ, ბარო, პიტერ! ხომ ხარ ჭარმაგად ვი-
თარცა მუნ და ვინძლო დალაცათუ?
— ანალიზები გადასარევი მაქ, სხვა რაღა უნდა
იყოს ამაზე მთავარი დღევანდელ სამყაროში?
— წესიერად ილაპარაკეთ თუ შეიძლება! ცენ-
ტრი ვარ. მეორე გამოძახება. დოლიძეზე. თუ ახ-
ლოს ხართ ვინმე, ფალიაშვილის ქუჩაზე უნდა!
— ზდაროვათ, ბრიგადა! 07 ვარ! აგერ ვაბირუა-
ებ — ბალანჩივაძეზე. საკომპოზიტორო გამოძახ-
ებაა!
— 07, მიღებულია! გამოძახებაა შემდეგი! მეორე
ექსპერიმენტული სკოლა. ვინ მიდის?
— უფროსო, 01 ვარ. ლეჩკომბინატთან ვდგავარ
მკვდარი სპარტაკივით!
— 01, ცენტრი ვარ. ოჯახში არაფერი გასწავლ-
ეს?
— რა ხდება, ცენტრი?
— სალამი მე უნდა გითხრა, ზებედო? 01, წითელ
ქვედაბოლოიანი ქალი იდგება სკოლის მხარეზე.
წაიყვანე, სადაც გეტყვის!
— რას ჰქვია, სადაც მეთყვის? ვაახ... გადამრევს
ეს ხალხი!
— ცენტრი, 08 ვარ. სალამი ყველას! ხაზზე გამო-
ვედი. ვიმყოფები ავტომანქანების საერთაშორისო
ბაზრობასთან. ორი ჭიპგადმოგდებული შხვართი
მიქნევს ხელს. წაიყვან ბარემ და ჩამინერე ძმურ-
ად სამგზავრო ქულა!
— აბა, შენ იცი, მათე! იქამდე სადმე ახლო აფთი-
აქში შეიარე!
— მე მაინტერესებს, რამდენჯერ უნდა გავიმე-
ორო აქ ერთი და იგივე?! აქ ეგეთი უზნეო ლაზღან-
დარობით ვერავის ვერაფერს დაუმტკიცებთ! გალი-
ზიანებით, რამდენსაც გინდა, იმდენს აუშლით ნე-
რვებს და ყველაფერს! გასაგებია, 08?

IX-X



საკათედრო ტაძართან რომ ავტობუსი ჩამოვდებოდა, მაშინ კიდევ ერთხელ შევეკითხე საკუთარ თავს: „ნამდვილად მე მივდივარ საგალობლად ტურნეში?“

— დაგვლოცეთ! გვაკურთხეთ! შეგვინდევთ! — ისმოდა სხვადასხვა ტემბრში და რეგისტრში. მაგალობელთა გუნდის რეგენტი ანამარია თავის დაკვრით გვესალმებოდა. მას ყველა ხმაში ჰყავდა „რჩეულები“.

— ოოოოოოოოო! — ნაგვიმღერებდა ლექსო ყურში, რამეთუ ბანებისთვის ბოხი ინტონაციით მღორო დიაგრამების ხატვა იყო მთავარი მისია.

— ოოოოოო! — ავაცილებდით ჯერ ხმადაბლა, შემდეგ კი უფრო მძლავრად.

— არა, ეგრე კი არა, ესე — ოოოო! — ჭეშმარიტ ტონალობას გვკარნახობდა „რჩეული“.

— ოოოოოო! — ვდვინავდით ისევ ჩახრინულ-მოკანკალები ხმებით.

— დაგვლოცეთ! შეგვინდევთ! გვაკურთხეთ! — გრძელდებოდა.

მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინმე ავციანებდა, გალობაში განმეორებდა შეცდომებს უშვებდა თუ სხვა ცოდვას ედავებოდა საკუთარ მეორე მეს.

ამ საზოგადოებაზე დაკვირვება მაფიქრებინებდა, რომ: „ეს მათი რელიგიური ცოდნის და საკუთარი თავის შეცნობის გზა-ჯვარედინზე შეჯახების შედეგი იყო. იმის გააზრება, რომ ვიღაცაზე რელიგიურად ცხოვრობდნენ, გალობდნენ, მაგრამ ვერ წმინდანდებოდნენ, შეწყალების ისტერიულ ჟინს აჩენდა და გადაულახავ ფსიქიკურ ბარიერს ქმნიდა! ისინი მოითხოვდნენ შენდობას მათი არსებობის და, მაშასადამე, ცოდვილობის აღიარებისთანავე!“

მაგალობელთა გუნდში ჩვენი დეპორტაცია პანკ ჯგუფ „პარაშუტიდან“ განხორციელდა. ჯერ ქერა ლეომ გაგვიმხილა, რომ სოლო კარიერის აწყობას გეგმავდა და მერე სარეპეტიციოდანაც გამოგვყარეს. ეს დასასრული მაიძულებდა, რამე ახალზე გადამერთო გონება, მაგრამ გალობის გუნდის განზომილებამდე რამდენიმე პარალელური სამყარო მაშორებდა.

— ბანები აკლდებოთ, სარეპეტიციოდან მაინც გამოგვყარეს და მუსიკასთან სიახლოვე ხომ უნდა შევინარჩუნოთ?! — ამისხნა ბაჩამ.

— ბანები აკლდებოთ? — ვკითხე დაბნეულმა.

— ბოხი ხმა დეფიციტური ყოფილა. იქნებ ახალი სარეპეტიციოს მოსახოდი ფულიც ავაგდოთ და ლეოც დაბრუნდეს! — ხმაძალდა ოცნებობდა ბასისტი.

ყველაფერს დავიჯერებდი ლეოს დაბრუნების გარდა.

— მაგრამ გალობა? — ჩავეკითხე უხალისოდ.

— შესაძლოა ისე დავიხოცოთ, რომ ვერ გავიგოთ რა იყო ჩვენი გრძნობა! ვერც ჩვენი ფიქრის გავიგოთ და გამოცდილებიდან აზრის გამოტანაც ვერ შევძლოთ! — მიპასუხა და მაგრძნობინა, რომ მამარდაშვილს ჩემზე უკეთ იცნობდა.

— თავბრუ მეხვევა, — თქვი დამანჭული სახით.

— შესაძლოა გაცნობიერების პროცესი გაძნელდეს. როგორია, საკუთარი არასრულფასოვნება აღიარო?!

— ვაღიარებ, რომ ბევრი დავლიეთ! — ვცაღდე, შემეჩერებინა.

— გაცნობიერება სულიერი გამოღვიძებაა!

— გასარეცხი ტანსაცმელი მაცვია და გულიც მძიმედ მაქვს, — ვუპასუხე.

— დააკვირდი ფიქრებს და პასუხიც არ დააყოვნებს! — აგრძელებდა ის.

— სამი კვირაა, პახმელიაზე ვარ და ამას ვაბრალებ!

ბაჩა წამით დადუმდა.

— ლიკას გამო ხომ არა? — ვკითხე.

— არა, რა ისა, არა ტო. მე ვიყო თუ რამე. არა და არა! — მოულოდნელად აზროვნების ტიპოლოგია და ფილოსოფიის საფუძვლები მარტივ მამრავლებად დაემშალა ბასისტს.

— თუ ის გაიძულეს ამას, იცოდეთ, რომ ეგ რელიგიური ექსტრემიზმია! — მივახალა.

— მარა, არა, ისა, იმას ვიზამ, მე ის ხო არ გგონივარ და რამე, ხო მიცნობ? — ემოციები გაემიქსა ბაჩას.

— ჰოდა, მიყიდე ლული!

— მე, მე ზუსტად ავხსნი, რატოც ვთქვი ეგ! — დაიწყო ახლიდან.

— ყველაფერი გავიგე. ნულარ მისხნი!

— ეს შენი საცოდავი როკ მუსიკოსის ჩრდილიდან გამოსვლა ვიგულისხმე! შენი შეუმდგარი ცხოვრების პროექციის გამო-ორთვა გთხოვ! ამ გამოგონილი ფეხებზე-ემკიდის იმიჯის სწორი აღქმა დაგავალე! — ხმა უკანკალებდა ბასისტს.

— მოგყვები, მოგყვები! — ავუხსენი უფრო გასაგებად.

— მე არ ვყოფილვარ ფეხებზემკიდია კაცი, როგორც ყველას გეგონეთ!

— როდისაა და სადაა? — ავუხსიე ხმას.

— უნდა გაირღვეს გარსი! ეს არასრულფასოვნება უნდა მივიღოთ და ახალი ძალით გავაგრძელოთ ცხოვრება! აი, ამას გიმტკიცებ, რა ლიკა მართლა და მართლა! მოკეტე ხოლმე ხანდახან და ყველაფერს გარეთ ნუ უშვებ! — ამოსუნთქვის გარეშე აგრძელებდა...

— მოდიხარ? — მკითხა ბოლოს მოლუ-შული სახით.



ბაჩანას ოპტიმიზმი ქერა ლეოს დაბრუნებაზე ნერვებს მიშლიდა. სარეპეტიციოს უაზროდ დაკარგვაც მაცოფებდა. გამოყრაც არის და გამოყრაც! ფართის უკანა კარი მესაკუთრის საკუჭნაოზე გადიოდა და იმ დამეს რიგითი რეპეტიციის შემდეგ კარტოფილის შეწვას რიგითი ლოთობა მოჰყვა, მერე მადის გახსნა, ტკბილეულობის მულამზე მოსვლა და... ფეხიოას მურაბები და ატმის კომპოტები დავდეთ ზურგზე ოღონდ ქილების გარეცხვა და ლამაზად დაწყობა არ დაგვიწყებია! მერე საღამოს სარეპეტიციოში დაბრუნებულებს ინსტრუმენტები ქუჩაში გამოყრილი დავგვხვდა. დასარტყამის ერთ-ერთ რგოლზე წერილი დავგვითვქვს: „კარზე თუ დააკაკუნებთ, პოლიციაში ვიწვილებ! მერე ციხეში მოგიწევთ უნიჭო ზუილი და ბლავილი, დამპლებო!“

— სტუდიაში სამუშაო დროის მერეც დავრჩები, ჩემ ვეშებს ჩავენერ, მერე რადიოებში მივიტან, ვიღაცას დავევასები და კონცერტებზე მიმიწვევენ, მერე ტურნეს მოვცხებ და რაღაცა იქნება! — გვიყვებოდა ნინა ღამით ქერა ლეო და ფეხიოის მურაბის დაცარიელებულ ქილაში გამოვლევულ წყალს ჭაჭაში აზავებდა.

ლეოს ნამდვილად სჯეროდა, რომ მუსიკაში ბევრის მიღწევა შეეძლო.

— ყველა სიმღერას მე ვწერ, ტექსტებიც ჩემია და ბენდი დაუკრავს თუ სტუდიური ვერსიები დაიღებ და დიდი მნიშვნელობა არა აქვს! მთავარია, პოპულარული გავხდეთ. არ გენწყინოთ, ხო? — გვანწყინებდა-სავით ის, როცა დუმილით შეგვხვდით მისი ცხოვრების შემდგომი პერსპექტივის განხილვაში ჩვენი უმნიშვნელო წვლილის გააზრებას.

ბოლოს ჩვენი ჯგუფის მთელი ავლაღიდება — ორი გიტარა და ერთი დასარტყამი — ლეოს მამის მანქანაში ჩავენყვით.

— თუ ინსტრუმენტები დაგჭირდათ, ჩემთან იქნება! — გვითხრა ლეომ, სანამ მანქანა დაიძვრებოდა.

— ის მაინც მოგვწერე, სად მოგძებნოთ, რომ გნახოთ ხოლმე! — მიძახა ბაჩამ.

ლეომ კი ჩანწერი ფანჯრიდან თავი გადმოყო და ჰაეროვანი კოცნები გამოგვიგზავნა.

გალობის პირველი გაკვეთილები ბენდის სარეპეტიციოს ჩვევებისგან გათავისუფლებას შევალეთ. სარეპეტიციოს ეზ-

ომიც კი თუ გუნდის რომელიმე წევრი სიგარეტით დაგვიწახავდა, აღშფოთებას ყველა კიდურით და ორგანოთი გამოხატავდა — თითების გრეხვით, გუგების გაფართოებით, მძიმედ სუნთქვით, ბოლთის ცემით, ჩახველებით... პირველი ორი დღე რომ ვერაფერს მიგვხვდით, მერე ლექსომ გვთხოვა:

— მამა ელიზბარის კაფესთან კარგი სკვერია და იქით მოსწიეთ, კარგი?

ეს აზრი მოგვენონა, რადგან იქ ლუდსაც თავისუფლად დავლევდით. მას შემდეგ შესვენებებზე დროს სკვერში ვატარებდით.

— ჩემო სულიერო ბასო-კონტინუო, ის ქალბატონი თუ კიდევ გიყვარს, რატომ აღარ ნახულობ? — ვკითხე ერთხელ.

ბასისტი დუმდა.

— ჰა, გაცნობიერების პროცესმა ხო არ ნაგაჭირა? — დავცინე და წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ლიკას რომ ჩვენი ბენდი და ჩვენც არ მოვწონდით, თავიდანვე ვიცოდი, მაგრამ მაგალობელთა გუნდში რატომ გაგვაციმბი-

ლექსოც გამოგვყვა. ახლა ზუსტად სანათის შუბისწვერივით წახნაგი მადგა თავზე.

— ოოოოო! — დაიწყო გოგო ბანების „რჩეულმა“.

— ოოოო! — ავყევით მე და ბაჩა.

— ოოოოოოო! — ჩაერთო ლექსოც.

ვცდილობდით ჩვენი ხმის „რჩეულებზე“ გასწორებას და, ალბათ, სასაცილოდაც ვებლოდით. რეგენტის ხელეზს შევცქეროდი, რომელიც ჩემთვის გაუგებარ მოძრაობას აკეთებდა, თუმცა დამამშვიდებლად ზემოქმედებდა.

— აქაც „პარაშუტი“ ვართ, — თქვა ბაჩამ რეპეტიციის დასრულების შემდეგ და ზუსტად ახსნა ჩვენი იმჟამინდელი მდგომარეობა.

მე კი ისევ ოთახის უზარმაზარ სანათს ვაკვირდებოდი, რომელიც ათასობით გამჭვირვალე ნეტიანი შუშისგან აწყობილ მფრინავ თევზს ჰგავდა.

— ახლა ლექსოც თავის მაგალობელთა გუნდს შექმნის და მიგვატოვებს! — აგრძელებდა ბაჩა.

— თუ ის მართლა პორტალია, შეიძლება დეფიციტური ბანები სადმე კოსმოსშიც კი აღმოვჩნდეთ! — ვუთხარი ბასისტს და თვალთ სანათისკენ მივიანიშნე.

— კი, დიდი ალბათობით ისევ არასწორად გიღვას ვართ, მაგრამ საკუთარ თავში მეტ სარგებელს და ნაგავს ვხედავთ! — დამამშვიდა ბაჩამ.

კიდევ ერთი ბანი, თედო, როგორც თვითონ ამბობდა, ერეკლე მეორეს შვილიშვილის შვილიშვილი იყო. ერთხელ ვიღაც ბიჭები განარისხა და შუა რეპეტიციაზე კარის შემონგრევით შემოვარდა.

— მიშველეთ, დედაო, მიშველეთ! — ღრიალებდა სასონარკვეთილი და სანამ ანამარია რამის კითხვას მოასწრებდა, ოთხი აგრესიული ტიპიც შემოჰყვა.

საკმეველის სურნელოვან ბურუსში ჩაძირული ორმოცდაათამდე მაგაობელი აღდგომის ტროპარს ვარჩევდით. ამ სურათის ხილვას მტრები არ მოულოდნენ. დაიბნენ. ერთმა პირჯვარი გადაიწერა. დანარჩენებმა თავი ჩახარეს და კარის მიმართულებით წელი უკუსვლა დაიწყეს. ანამარიამ ერთ-ერთი შუაჩერა:

— მოდი, შენგან დავიწყეთ! — თქვა მშვიდი ხმით და გოგონების ბანების „რჩეულს“ ხელში ჩაბლუჯული ნოტების ფურცლებისკენ თვალთ მიანიშნა.

— „ანგელოსი დაღადებს მომადლებულ მო...“ — დაიწყო მან აკანკალებული ხმით და დაბნეული აუდიტორიის სამარისებური სიჩუმისგან თავადვე დაიბლოკა. ხმა გაუწყდა.

— მიანოდე, — გაუმეორა რეგენტმა და თვალის მდევრისკენ მიანიშნა.

— გვეჩქარება, დედაო, — ჩაილულულა თავჩახრილმა ბიჭმა, თუმცა ნოტების ფურცელი მოკრძალებით გამოართვა.

— დვრინებიც დაგჭირდება. თუ დაგვეხმარებთ, გაგვიხარდება! — უთხრა რეგენტმა ღიმილიანი სახით.

— ჩვენ გავალთ, გვაპატიეთ, დედაო, — თქვა ერთმა და გაოცებულ მეგობრებს გახედა.

„რა დრინებიო?“ — იკითხა ყველაზე დაბალმა, მაგრამ ხმამაღლა გამოუვიდა.

— წამო დროზე! — გამოსძახეს ნოტებიანს, რომელსაც ყველაზე მეტად უჭირდა, რადგან რეგენტთან ხელის განწვევნაზე იდგა. ამ სურნელოვან ბურუსში ყველანი გემის ნამსხვრევებს ვგავდით. ზოგი ვიძირებოდით და ზოგი ტყვეობდა. აი, მდევარს კი ჯერ ვერ გაეაზრებინა, სად მოხვდა და რა ბედი ელოდა. მოუსვენრობა ემჩნეოდა. თვალებს ისე აცეცებდა, თითქოს რაღაც დაკარგა.

რეგენტმა გვანიშნა და ჩვენც დავცხეთ ქრისტეს აღდგომაზე, ომახიანად! როგორც ამ საგალობელს შეშვენოდა.

„სადაა სამაშველო რგოლი, აბა, თუ მიხვდები!“ — ვავიფიქრე და იმავე წამს გავიზარე, რომ მდევარი თვალეში მე მიყურებდა. ოდნავ წელში მოხრილი ქვემოდან იმზირებოდა. გალობით დაჰმობოზებულმა ალბათ ვერც შენიშნა, მისივე მზერის ბილიკით როგორ შევსხლტი მის წარმოსახვაში, რომელიც ძმარმყავის ანჰიდრიდის სუნს იმდენად გავუღვინა, რომ საკმეველის სურნელს ფარავდა. მერე სინთეტიკური ეიფორიის ტალღები, ლეღვა და შტორმი დამატყდა. გულისრევის და თავბ-



მანანა ჩიტიშვილი

ანატორი

ანა ოჩიაურს
არმაზ ნიკლაურს

მთები, მთები, მწიფობის მზით დანატორი,
ლურჯი ცა და კლდის ნაშალი ქვიშანი...
არღუნის პირს გლოვისფერი ანატორი,
ვით სიკვდილზე გამარჯვების ნიშანი.

ტკივილის და სიამაყის რა წამია,
დაასრულებს ფიქრი ცაში ხეტიალს...
ეს დამდნარი ძვლები დღესაც გვასწავლიან,
რომ სამშობლო თვით სიკვდილზე მეტია.

აქ დრო-ჟამიც სიფრთხილით და კრძალვით დადის,
დარდი ჩემი როგორ ამოთავთავდა...
ჩვილის აკვანს დამხოზია დედის ლანდი,
რძე გაუშრა, თუ ყრმა უნინ გათავდა.

ის წარსული ყოველ ბიჯზე გვეფეთება
და სულს სხვაგვარ სიმაღლისკენ აქეზებს...
რძე არის, თუ ცხელი ცრემლი ეწვეთება
ჩვილის უკვე გაციებულ ბაგეზე.

ლოდებს შორის ამოსულა მზე სულეთის,
უკვდავება დასდგომია თავდებად...
ანატორით არ იწყება ხევსურეთი,
არც იწყება და არც ამით თავდება.

ამ მთებს შორის საქართველომ იწარსულა
და მზის შუბით ბნელეთის ცა ახია...
ყველა კოშკში, ქორივით რომ ცად წასულა,
მითები და ლეგენდები მარხია.

დიდმა ჭირმა ყველას სულთქმა შეაერთა,
ან ვის უკვირს დრონი საავდარონი...
და არღუნი იქცა თურმე მერე ლეთად,
ოლონდ არვის არ სჭიროდა ქარონი.

ერდო-ბანი ჩანდა დაცლილ-დანავსული,
არც ქალწული იმძიმებდნენ ხელს სურით...
ყვავილების საკრეფადაც არ გასულა
სოფლის გარეთ უმრწემესი ხევსური.

ოდითგანვე ზეცა აქ სხვა მადლსა ჰფენდა,
სამტროდ მოსულთ ხანჯლის წვერი ითვლიდა...
აკლდამებში მოკვდავებად შევიდნენ და
უკვდავებად გამოვიდნენ იქიდან.

მზე იყო, თუ მოდიოდა კუპრის წვიმა,
თუ გზად ქარი გადარბოდა კინკლით,
თვით მოვიდნენ, რომ სიცოცხლეს ეზეიმა
და მღვიმეში გამოკეტეს სიკვდილი.

ღმერთო, ამდენ სასწაულოთ სული გმინავს
და არღუნი ყრუ ქვითინით ხმაურობს, —
რომ ქალ-ვაჟმა აკლდამაში იქორწინა
და მზეს გაჰყვა ცაში სამოგზაუროდ.

დროის ნამგლით არც ყოველი იცვლება,
ხსოვნა არცროს არ ყოფილა მარტივი...
ქარი კივის, თუ სანათა იცრემლება,
ან ალაზა ზვიადაურს დასტირის.

ღამის ბინდი შატლის მთებს შავად თალხავს,
ბილიკები — ვით შეხსნილი ნასკვი...

სიკვდილის წინ თვალი მაინც დანახავს
გალმა სოფლად მოყვავილე ასკილს.

ივსება თვალი —
ცრემლების ქოცო,
დანრეტილია
სისხლით მაჯები,
ჩვენ სამშობლოსთვის
წამება მოგვონს,
ოლონდაც ჩვენ თუ
არ ვიტანჯებით.

წუთისოფელი მიდის,
თუ მიგვყავს?!
მართლა ღჯუა, თუ
არც ისე ავი?!
ჩვენ სამშობლოსთვის
სიკვდილიც გვიყვარს,
ოლონდაც თუ სხვამ
შესწირა თავი.

ვცვითე კაბა ფარჩისა და
ლურჯი აბრეშუმის ვცვითე,
ზოგი თვითონ მომწონდა და
ზოგით კიდევ გამამზივებს.

გაზაფხულზე — შროშნის ფერი,
შემოდგომით — ფერი იფნის...
დამდგომია უკვე ჟამი
სევდიანი სჯა და ფიქრის.

მოვილიე ჭიჭნაუხი,
ვუსმენ ქარში ხეთა ლინის,
ბოლოს ჩამაცმევენ კაბას
ჩემი მშობლიური მინის.

ნოე

მარტობის კიდობანი
სევდით გააფევისა,
ნოე, ნოე, ბიბლიური
ძეო ლამექისა.

ზღვა-ზღვა სადღა არ ეხეტე,
რა ღვარმა არ გნამა,
სემისა და,
ქამისა და,
იაფეტის მამავ.

რანაირად გაუმკლავდი
დეღამას, ჭექა-ქუხილს,
ებრაულად ნოაჰივ და
არაბულად ნუჰი.

არ გაკრთობდა, ქარიშხალი,
შენს სადგომს რომ უტევს?!
რისი მტრედი, ბუც კი არ მყავს
ბრძნულად მობუტბუტე.

ვინ მომიტანს შენს ამბებს და
ან შენეულ ნიშანს,

უგზო-უკვლოდ ვეხეტები,
სხვაფრივ არა მიშავს.

დავიწყების ზღვებში დავალ,
თან დამყვება თქორი,
თმებზე შურის წვიმა დამდის,
ბაგეებზე — ჭორის.

თავს დამბრუნავს, ისეც შემკრთალს,
ელვის რაპირები,
აქ რა მინდა, მე ხომ შენთან
მოსვლას ვაპირებდი.

მითხარ, ცაო, ნუგეშინის
კარი ვინ შემიღოს,
ვინ მეტყვის, რომ წყენის წვიმამ
უკვე გადაიღო.

რომ დარდი და სინანული
ამ წუთიდან მკმარა
და ღრუბელმა, მრისხანების,
ცად რომ გადაიარა.

გაშრა ცრემლი — მარგალიტი,
მთრთოლავ ლანვთა ზედა,
ბნელი გაქრა და ღიმილის
მზემ გამოიხედა.

მერამდენე მიდის ღამე
ბორგვითა და შფოთით,
ნოე, მტრედი მომამეველე
ზეთისხილის შტოთი.

იმდენი ვწერე
სიყვარულსა
და აპირებზე,
იმდენი ვწერე...
თან სადღეო და
სადიაცო საქმეებიც
იმდენი მქონდა,
დაბერებისთვის
ვერ მოვიცალე...

მუსამაზი

რაც კი ბრწყინავს, ყველა ოქრო როდია,
მეოტი ვარ, გზები წვიმამ მოწინა...
გეყმე, სული თუმც არ მქონდა მოწინა,
ბროლ-ბადახშს და სიბრძნეს სოლომონისა,
სატრფოს ბაგის გოლეული სჯობია.

არვინ მივის, ცას შევტირი მთვარიანს,
მოჩანს მტკვარი, როგორც ვერცხლის ქამარი...
დავრჩენილვარ მხოლოდ შენი ამარი,
თუმც არც სკიპტრა და არც კოშკი ყამარის,
მე სხვა ვარ და სხვები სხვანი არიან.

ენდე თვალებს, გულის ჩემის ელჩონს,
იარი ვარ, ჩემს ბედს ღმერთი განაგებს...
თუმც სანუთროს ვერცროს ვეამხანაგე,
სრა-სასახლეს, დიდვაჭართა ხანაგებს,
მაინც ჩემი სიყვარული გერჩიოს.

ვინც ახლა მისმენს

ჩემს დიდ ტკივილთან ვბრუნდები ისევ,
ქსანზე ცრემლების მახობელს ვთესავ,
მტერია იგი, ვინც ახლა მისმენს
და გაჩუმებას ეცდება ჩემსას.

ღმერთო, რა ძნელი გზებით ვიარეთ,
ნლები ჩარიგდნენ ეკლის ღერებად
და ჩემი სული, ლექსმშობიარე,
აქ ყველა ქვას და ხეს ეფერება.

მძიმე დარდით და ქარით დაშლილი
შორით გაკრთება ცხმორი უცებად
და ყველა გოჯი ობოლ ბავშვივით
კაბის კალთაზე მეტლაუჭება.

მათ გამო ყოფნა ვით მქონდეს მშვიდი,
საით მოსული სად ვიბატონო?!
იმ გზას, ბავშვობის სახლში რომ მიდის,
გადამთიელი ფლობს და პატრონობს.

ვაზს შემხმარ მტევნებს დაათოვს უხმოდ,
გზებზეც მარტოდენ ქარი ხმაურობს,
მე, აქაური, მაქციეს უცხოვ,
მოსულა უცხო და აქაურობს.

ჩემს დიდ ტკივილთან მოვდივარ ისევ
და ქსანზე ცრემლის მახობელს ვთესავ,
მტერია იგი, ვინც ახლა მისმენს
და გაჩუმებას ეცდება ჩემსას.

გადუვლია ტყეზე ავდარს და გზად თეთრი ნისლი ცოცავს, ყველაფერი დროს ვერ მიაქვს, არც ყოველი წარბოცა. წიგნში ჩატოვილი ვარდი, ბაგეს შერჩენილი კოცნა, შუალამის სიჩუმეში კრთომით აღვლენილი ლოცვა. სახე, ღიმილი მოჩადრული, თვალებს ცრემლი უვლის როცა, რაც სანუთრომ მომისართა, არაფერი არ მეოცა, სიყვარული შევთხოვე და... ღმერთმა შენი თავი მომცა.

გზად ქართლში

უსმენს არე ხე-ხუვებში ღელეების მღერა-სიცილს, აქეთ მუხრანი და მცხეთა, იქით ქარელი და დიცი. სარკინეთზე ქსნის ციხე და მინდორს მიხატული კვიცი, რა ვარსკვლავი შეედრება რკონის ყაყაჩოთა ციმციმს. „ჩემი სული ალალ თქვენდა!“ — ვამბობ კვლავაც საღმრთო ფიცით, თქვენ რომ არა, ეს სანუთრო საით წამიღებდა, ვიცი.

რომ მომიხატება

ლექსი — ჩემი აბჯარ-მუზარადი, დარდის ღამეებმა გამთალეს... გულს შენს მონატრებას ვუმაღლავდი, ნახვას ვუკრძალავდი ამ თვალებს. ჟამი წამის უწინ გარდასული, რარიგ შორს მეგონა ბინდი და... აჰა, ტკივილებით გაბასრული უკვე მზის დასავალს მივდივარ. არცვინ იმედის სხივს მომიხატებს, ქარით ყველა ვარდი წამერთვა... რომ გამიხსენებ და მომიხატრებ, ბრალი იმ დღეთა და ღამეთა.

თითქოსდა ხსოვნის ღილი ამიწყდა, თითქოს ეს მთებიც აღარ მისმენენ, ზოგი რამ უკვე გადამავეწყდა, ზოგსაც ძალიან ძნელად ვიხსენებ.

ჯავრის იაბოს ბევრჯერ მივყავდი, მედედინაცვლა ხშირად ცხოვრება... არას ვინალვლი, შენ რომ მიყვარდი, ოღონდაც ეს თუ შემახსოვრება.

შემოდგომის სარანადა

ხომ აგისრულე ყოველი, რაცა გსურდა და მითხარ, მზეში ოქროსფრად ელვარებს მთებს შეფენილი თიხა.

გადაუვლია გაზაფხულს, მასთან ივნისს და ივლისს, ჭრილობასავით ატყვია ტყეს მენამული თრიმლი.

რა უცებ ჩამოიფურცლა ჩემი ღალანა ვარდი, სისხლჩაქცევაზე მეტია სულში ჩაქცევა დარდის.

ხილაბანდივით წაიკრავს რომეის ჭიუხი ნისლებს, ხომ გერწმუნე და მოგენდე, რომ არც გჯეროდა, ისე...

შენ თურმე კი არ მეტრფოდი მარტოდენ ლექსით მდიდარს, ის სიყვარული მოგწონდა, მე რომ შენდამი მჭირდა.

ვინ რას გაუგებს სანუთროს, ან დროს, ნიადაგ ღელვილს, ბაგეს რომ ღიმი უხდება, თვალს — ფორიაქი ცრემლის.

როდისღა ამოინათებს ცა, მოკამკამე ბროლი, მალე ზამთარიც მომივა, სუდარისფერი თოვლით.

ჯავრის წამიღებს მდინარე, არ დაახანებს წამით, დამდგარა ფიქრთაცვენის და მარტომყოფობის ჟამი.

მწუხრისას, ღია სარკმელთან რომ ივერცხლება არე, უღრენენ სოფლის ძაღლები შინ გადმოპარულ მთვარეს.

მის გარდა

ყაყაჩოს მწვანე ფარაჯა, სოსანი — წამის თოვითა, ვისაც ველოდი, არა ჩანს, მის გარდა ყველა მოვიდა.

დარდი გამიხდა უხადი, დილაც საღამოს მიჰგავდა... რამდენ ვილაცხას ვუყვარდი, მე რომ მიყვარდა, მის გარდა.

რა შორია შენამდე

მიიღია ზაფხული, დგას ნოემბრის ამინდი, მინავლულა მზის სხივიც, ქარის ისმის გოდება... ასე დაუნანებლად სიყმანვილე სად მიდის, და ჟამი, უღმობელი, როგორ გვიახლოვდება.

განუწული ღერწამი წვივებს წყალში ისველებს, ნუთუ მზის დასავალთან ასე უნდა მვენებოდი?! ისეთი დამისიზმრე, ისეთი გამიხსენე, როცა ყველაზე უფრო კარგი გეჩვენებოდი.

აიჩალა ყანა და დაიფურცლა ატმები, გუშინ აქ ალისფერი ყაყაჩონი ღელავდნენ... ახლა ისე მარტოდ ვარ და ისე მენატრები, რა ძალიან ახლო და რა შორია შენამდე.

არსოტი, ახიელი

ჯარჯი ცისკარაულს

ცოტას არ გასჭირვებია გარჩევა ნათელ-ბნელისა, ყოველგნით ბექდაუდებელი კოშკი ვარ ახიელისა. ჯურჯიაულის ნაგები, იმის ღვთითნაკურთხ ხელისა, ჯერ ისრიე ჩამოფიფქული ფრანგულის ნალეს მტვერისა. ხარათ აბაის ციხე ვარ, ზეცას მიმწვდენი წვერისა, დრო-ჟამის დამბერებელი, დამლონებელი მტერისა. ხელფიცხად ომის შემსწრე და სულხდომის, ბევრზე ბევრისა, დუშმანის გამჯავრებელი, ავად შემცველელი ფერისა. კიოთ ვერ დამძლევს სანუთრო, ვერც ბრუნვა ბედისწერისა, შენს ღიმილს მომლოდინეს და ელვას მგლისებურ მზერისა.

ალბათი

იმნაირად ირიჟრაჟა, უფლის შეღვიძებას ჰგავდა, მღვრიე წყალი ალგეთისა ცისკრის ვარსკვლავს ირეკლავდა.

უცხო სხივით კრთოდა ჩქერი, სისხლით შენაღები წინათ, თუ სცნა, ან ვის ეტრფილა, ანდა მკლავზე ვინ ეწვინა?!

ასეა ოდით

მოიტანს ღამე უშენობის შიშს და ჟრუანტელს, ამოდის მთვარე — სხივნათელი, როგორც ხარება,

სულს ტკივილები წამიერად რომ დაუამდეს, უნდა შენამდე მოვიტანო ეს მდულარება.

ვერ მოვფურთხილდი, ჩემში ბავშვი ტიროდა როცა და უნებლიეთ უცხო ყოფის გავხდი მენილე... არ ვიცოდი და სიყვარულმა მასწავლა ლოცვა, არ ველოდი და იმ დღეებმა ლექსებს შემწირეს.

დღეს კი საშენოდ ერთი სიტყვაც ვეღარ დავძარი, წვიმიან ცაში თეთრი წერო ნაკრტენს ისველებს... რა სისათუთით, რა სიფრთხილით გიგე ტაძარი, მთრთოლვარე ხელით ნაწილ-ნაწილ რომ ვშლი ისევე.

ცრემლია, ნეტავ, თუ ნოემბრის წვიმის ნაჟური.. ჭოტი მოთქვამს, თუ ქარიშხლების ისმის გოდება?! ასჯერ მოკლული, დაჩეხილი და დახანჯლული, ყველაზე ბოლოს მაინც გული გემშვიდობება.

ოცნების ფრთებით ზეცას ვეღარ ვეამბორები და ვერც ფიქრები გატორავენ ველურ ტრამალებს, ჩემი ცრემლების იისფრად მთრთოლი ტბორები მოვიჩარდახე და წამწამთა ტვერში დავმაღე.

ნუ აყურადებ, ნუ მოუსმენ ქარების კვილს, ყრუა სოფელი, საიმედოს არც რას გვიპირებს... ასეა ოდით, გაუსაძლის ჯავრსა და ტკივილს მხოლოდ დახურულ კარს მიღმა თუ გამოიტირებ.

იქნება წვიმა... საბადურზეც გადივლის თოვა, უიმედობის შხამით ოღონდ აღარ აიკრა და ქართლის ვაკე, აპრილში რომ გვირილა მოვა, შენს მაგიერად სადედოფლო სამოსს ჩაიცვამს.

იმნაირად მომალი

კაცი კაცად როდი ითქმის მოყვასისთვის ურგებად, იმნაირად დამიღამე, რიჟრაჟს რომ შემუშრდება.

მომეფერე, მომიარე გრიგალ-ქართან ნაჭიდებს, იმნაირად მაგალობე, გალობა არ დამჭირდეს.

მომაჩვენე შემოდგომის ტყეში ფერთა როკვანი, სიცოცხლეს რომ შეეხარბოს, იმნაირად მომკალი.

თოვს... კვლავ ჯიუტად ვოცნებობ მზეზე, თუმცა ამინდი ფეხს ვით ამიწყობს... მე ისეთ გულს და იმ გრძნობას ვეძებ, სიკვდილის შიში რომ დამავინყოს.

ჟამი — ხან მღვრიე, ხან — ფშანი წმინდა, ვინ გაჰქცევია ბედის ფანტომებს... მე სიყვარულიც იმგვარი მინდა, ღამაზ სიცოცხლეს რომ მომანდომებს.



მანანა ჩიტაშვილი

დედაჩემი რომ აღარ არის, ვის მუხლის ძირს ჩამოვისვენო, ვის კალთაში გამოვიტირო ჩემი სიოზღვე?!

ოცდაათი პარცელი

დღემდე სდაგავს კაცთა მოდგმას, როგორც ჯოჯოხეთის ცეცხლი, ქრისტე ღმერთში გადახდილი ოცდაათიოდე ვერცხლი.

როგორც წყლული უკურნები, როგორც წყევლის სიტყვა კრული, პარასკევი — ღვთაებრივი წმინდა სისხლით გაბასრული.

ბაგე, შენაღები გესლით, ყელზე გადაცმული ლასო და ლალატი უმძიმესი, რაც კი ადამის ძეს ახსოვს.

დგანან მთები, სპეტაკ თოვლით ბერიკაცებზე შენავერცხლი, სამუდამო შეჩვენებად რჩება ოცდაათი ვერცხლი.

თავს, უფალო, ვით შეგადრი, მოველ ნუთისოფლის მდგმურად... მეც გამყიდეს, თუმც არ ვიცი, რატომ, ან რის საფასურად.

მუდამ ჯავრს და ნაღველს მგვრიდა ყალბად ლოცვა, ყალბი ფლასი, რა მავანთა ამბორი და რალა კოცნა იუდასი.

კვლავ სიცრუის ზღვაში მივალ, ცაზე ჩაქრა სხივი მთვარის, სიტყვა უფრო მეტად მტკივა, ვიდრე სამსჭვავლი და ჯვარი.

გზა-გზა ეკალ-ხნარცივი მმატეს, მზერაც მტრული, შიშის მგვრელი, ჯვარს მაცვეს და ვით პილატემ, მშვიდად გადბანეს ხელი.

მინა — ღვთისმშობლის ნილხვედრი

თუმც მზიან დარზე უმეტეს სისხლის წვიმები გვნებია, რალას არ გასაყვედურობენ, რას აღარ გემართლებიან.

წარსულს იმგვარად ვიხსენებთ წინამორბედან არგომდი, ყველა სიქველის შემოქმედთ ვითომ შენ არ გვივარგოდი.

ჩვენი ბრალნი და ცოდვანი იმგვარად მივმალ-მოვმალეთ, რომ თითქოს ჩვენ კი არა და შენ იყო ჩვენი მოვალე.

თუ სადმე ნავიფორხილეთ, ვითომ შენ გვიგე მახენი, რალა არ შემოგებდეთ და რა აღარ შემოგახხენით.

დრო მიდის, მაგრამ არ წყდება ხმები, სიავის მჩქეფენი, მოგიარეთ კი ოდესმე ისე, შენ როგორც შეგფერის?!

ვაი, რამდენჯერ გიმუხთლეთ, გაღმით-გამოღმა ვინაცვლეთ, მაინც სულ დედა იყავი, არც როდის გვედენინაცვლე.

რად გმინავს არე დიდგორის, ცრემლი რად დასდით ამ ხატებს?! მინა, ღვთისმშობლის ნილხვედრი, სხვის ხელთ შემყურე გაგხადეთ.

ხომ არც წარსულში გვილხინდა, დღესაც დრო მიგვდის ბინდებად, ბელტს თუ მოსწურავ მუჭაში, სულ სისხლად წარმოვინდებო.

თუმც მზიან დარზე უმეტეს სისხლის წვიმები გვნებია, რას აღარ გასაყვედურობენ, რალას არ გემართლებიან.



ბარში ზის ქერა ქალსლავი მარწყევით შესასანსლავი. მისი ღიმილი მეტკბილა, სხვადასხვა სასმელს ვთავაზობ: — ლიქიორი თუ ტეკილა, რომელს ინებებთ, ლამაზო? — არცერთი არ ითაკილა და სიხარულით ამავსო. ტეკილას დოქი დავცალე, მან — ლიქიორის გრაფინი და გარეთ წავაბანცალე, ღამით კოსმოსში გავფრინდით. კი ავისრულე, რაც მსურდა, თვითონაც ასე ინება, სანოლში ცეკვით დასრულდა ეს ჩვენი გასეირნება. მან მაპოვნინა მეცხრე ცა და დამავინყა ხმელეთი. უნდა ნავიდე მე-მეთქი, დღესაც დარჩიო, მეხვენა, მახსოვს, გავუშვი ხელები და უცებ გამომეღვიძა.

ჯინა

— რა სასურველი დამა ხარ, ჯინა, თუ გსურს, ვიქნები შენი ვალეტი! რაც მქონდა, ბარში დამახარჯინე, თუ არ გინდოდი, რას მანვალედი?!

ალბათ

ალბათ რამდენს ვგონივარ ბედნიერი ცამდე, ვინ რა იცის, ვარვარა ტკივილი რომ მშანთავს. რანაირად მჯეროდეს, როგორ უნდა მწამდეს, რომ ოდესმე დამადებ მფეთქავ მკერდზე შენ თავს. ღმერთო, გადამარჩინე დეპრესიის ჭაობს, თორემ ბოლო მომიღო უსასრულო დარდმა. მე ვერასდროს ვერ გეტყვი, საყვარელო, „ჩაოს“, სიხარული არ მოაქვს ჩემთვის არცერთ ფატმანს. უფრო გაღრმნი ბეტონის ქვაზე მაგარ კედელს, ვიდრე სივრცეს, რომელიც გვაშორებს და გეტანჯავს, ახლა ჩემი კბილები ჯავრის ლაგამს კვნიტენ, კიდევ რამდენს გავუძლებ, ნეტავ რა დრო დამრჩა. გადარჩენის იმედო, ნეტავ შენ სად ღვივი, ნეტავ ჩემშიც ანთო, ნეტავ წამით გიგარძნო, სახე გადაეჩვია, ვატყობ, გულწრფელ ღიმილს და ვინც მიმზერს სარკიდან, მიძნელებდა, ვიცნო. ვილუპები, მგონია, თავს ვერაფერს ვშველი, უმომავლო სიყვარულს განვიციდი და ვჯავრობ, ცოლი შენ არ გერქმევა, არ განდებდა შვილი, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ვარ ცარიელი ჯვალო.

ელენე კი მოელის ისევე თავის პარისს, ვაი, რომ ომს ჭირდება სათანადო ძალა, არ არსებობს ამ ომში ჩემთვის ერთი ფარიც, ვაი, რომ ამ სიყვარულს ყველა წესი კრძალავს. ბედი დაუნდობელი ჭიასავით გამსრესს და მე ვინ დამამადლის ზედ დასაყრელ მინას, სიყვარულის ამბავი დასრულდება ასე და მგონია, რომ ქრისტეც ატირდება იმ წამს.

ღამე

გავიარეთ კორპუსის ეზო ფილაქინანი ფეხაკრეფით წყვილმა.

შედრკა სადარბაზოსთან, უკან რომ მოგვევებოდა, ჭორიკანა წვიმა.

გეფერები გზნებით და გიზებიერებს ათივე ჩემი ყველა თითი.

იშმუშნები და სუნთქვა გიჩქარდება საგრძნობლად და სხეული გითრთის.

ლტოლვის ალით ივსება შენი მუცლის ფართობი, შენი ჭიპის ფოსო.

აივნის შავ მოაჯირს, გადასხმული წყალივით, ზედ ევლება ფისო.

მე ტუჩებით მოვივლი შენი ტანის რბილ ბორცვებს და ნიკაპის ფლატეს.

არის ვნება, რომელსაც ვერ გადმოსცემ სიტყვებით და ვერც ლექსში ჩატევ.

შენ სხვანაირ სიმშვიდეს, დაცულობის შეგრძნებას, ჩემს მკლავებში ეძებ.

გსურს, რომ შემოგეშენო ირგვლივ ციხესიმაგრედ, ვიყო ყოველისშემძლე.

სანთლის შუქი ანათებს სანოლსა და ოთახის მოიისფრო დეკორს.

მე ყურებში ჩამემსის შენი ნაზი ხმისა და თბილი სუნთქვის ექო.

ამ გულს შენზე დარდი გახრავს, შენზე ფიქრს ვერ მოვეშვი, ნეტავ მყავდე აქ და ახლა მკლავთა სიმყუდროვეში.

ველარ ვხედავ ირგვლივ მე სხვას, რად ვართ ასე შორიშორს. შეუძლია მხოლოდ შენს ხმას თვალზე ცრემლი მომიშროს.

თითქოს გაცხდი ყრუ შენობა და მსურს გასვლა თავიდან. ვერ მოვითმენ უშენობას, უჩემობას ავიტან...

ყველაფერი რიგზეა!

ჭახნაკია ცხოვრების დიდ რინგზეა, მას ამ ხალხის, რა ქნას, თუ არ ესმის. მაინც ვიტყვი: ყველაფერი რიგზეა! მაინც ვიტყვი: ხდება უარესიც!

არის ტკენა და დარდების მისევა. თურმე გული რა მარტივად ტყდება. მაინც ვიტყვი: ყველაფერი რიგზეა, ცხოვრებაში უარესიც ხდება!

სცადე, მაგრამ ვერ ივინყებ მის მზერას, არის ქალი შორს და უაღერსოდ. მაინც ვიტყვი: ყველაფერი რიგზეა! მაინც ვიტყვი: ხდება უარესიც!

ზოგჯერ სუნთქვაც აღარ მინდა, ისე ვარ, გულზე სევდის მტვერი ჩამომფერთხეთ. მაინც ვიტყვი: ყველაფერი რიგზეა, რა უჭირს, რომ მოვიტყუო ერთხელ?!

ურა ზაქაშვილი

დვრინები

ლ.ს.-ს

მთვრალეები და დანაყრებულები ტურ- ისტებს დავემშვიდობეთ და ტაძრის გალა- ვნის გარე მხარეს დავბანაკდით. იქ ქარი ნაკლებად აღწევდა და ხედიც საუკეთესო იყო — ვარსკვლავებით მოჭედული ცა და მბჟუტავი კარვებით დანინკლული მყინ- ვარსკვლის კალთები. ჯემპრები ტაძრის გალავანზე მივაფინეთ და თავით მივეყრ- დენით, ზურგჩანთები კი ფეხებზე ამოვი- ცვიტით. მუხლებამდე გვეფარავდა და გვათ- ბობდა. მერე ბაჩამ მკითხა:

— ნალდად ეს იყო ნაპრალა? სიცილი ამიტყდა. ნაპრალა ყოველწლიურად ისე იმატებ- და წონაში, ხანდახან ცნობა მართლა მი- ჭირდა. წინა ზამთარში საერთოდ საკუთარ ფოლოვერებთან ერთად გამოგვეცხადა — იმავე ზომისა და ფორმის ძალღუკებთან. — იქნებ აღარცაა ცოცხალი? — თქვა ბაჩამ.

— ნათელში იყოს სადაცაა, მაგრამ იქ- აც სამოთხეშია უეჭველად!

— ამან თუ დილით სოფელში მოხია და ეს ხალხი მიატოვა, მერე ნახე შენ!

წინავე და მთებს შორის მოგუგუნე მდი- ნარეების ექოს ნაპრალას შორეული ხერ- ინვა და გალავნის შიგნიდან ადამიანის ნა- მოძახილები ერთოდა და უჩვეულო ბგერე- ბად მოედინებოდა ჩვენს სმენაში. ჩემს ტვინს ამ ჰარმონიის განოტება სურდა და ფიქრზე უარს ამბობდა!

ძილ-ღვიძილში თბილ და დუნე მდი- ნარეში რაფტინგის ნავით ვტორტმანობ- დი. ვერ ვიპოვებდი, ამას სიზმარში ვხე- დავდი თუ მართლა ხდებოდა.

— გინათო, ბიჭებო? — ჩამესმა ნაც- ნობი ხმა.

როცა აზრზე მოვედი, სიბნელეში ვერა- ფერი გავარჩიე მკრთალი სილუეტის გარ- და, რომელიც ტაძრის გალავნის კარიბჭის მხრიდან გვიახლოვდებოდა.

— ბიჭებო! — განმეორდა ხმა.

თვალების ფშვინებით ნამოვდექი. ბაჩას ფეხი მივარტყი.

— ვისი ხმაა? — შემომხედა დაშტერე- ბული სახით.

ვერაფერი ვუთხარი.

— ლიკა ხო არაა? — მითხრა ისევ რალ- აცნაირი, სხვა პლანეტელის ხმით.

— ანამარია ვარ! — სილუეტით მოახლ- ოვდა.

გაოცებული და დადუმებული ვიდექი. ბაჩაც ფეხზე იდგა.

— ფარანი დაგრჩათ? — შეგვეკითხა.

დაბნეულობისგან გაუგებარ ბგერებს ვუშვებდი, თავში კი ერთდროულად ათა- სობით აზრი მომდოდა.

ამასობაში ბაჩამ ფარნიანი სანთებელა დააძრო ჯიბიდან.

— აი, ეს გვაქვს! — თქვა ბაჩამ და რეგ- ენტს ფეხებისკენ დაუწიათა. ის სრულიად მარტო მოსულიყო.

— მალე დაგიბრუნებთ! — თქვა და სიბ- ნელეში გაუჩინარდა.

მოულოდნელმა ვიზიტმა ისე დაგვაბ- ნია, ვერ გავერკვიეთ, რამდენი ხანი ვიდე- ქით გაუნძრევლად და უსიტყვოდ. ისევ მისმა დაბრუნებამ შეგვაფხიზლა. ფარანი დაგვიბრუნა, დილის რეპეტიციამდე დას- ვენება გვირჩია და კვლავ გაუჩინარდა.

— ნალდად ეგ იყო? — ჩურჩულთი მკ- ითხა ბაჩამ, როცა ისევ ზურგჩანთებში ჩავ-

ძვერით და ჯემპრები თავზე ჩამოვიცვიტ.

— ლიკა ნალდად არ ყოფილა! — ვუთხ- არი და ბაჩას მუწულუგუნე მივიღე.

— იმათ რატო არ გამოართვა ვითომ? — ჩაილაპარაკა თავისთვის.

მე კი ისევ ძილ-ღვიძილის მოგზაურო- ბაში შევცურე.

ტურნეს შემდეგ გალობის გუნდში აღარ დავბრუნებულვართ. თედოს შემანუხებე- ლი ზარების გამო სარეპეტიციოსთან გა- ვიარეთ და ის ჰონორარი გამოვართვით, რომელიც რეგენტის დაჯავლებით აუცილე- ბლად უნდა მიგველო (როგორც თედომ თქ- ვა).

ეს პირველი ჰონორარი იყო ჩვენს ცხ- ოვრებაში და ძალიან უცნაური ფორიაქის, სიხარულისა და დანაშაულის შეგრძნებას ერთობლივად აღვივებდა. მამა ელიზბარის კაფეში ვიყავი ბაჩასთან და თედოსთან ერ- თად. სამარხვო შტრუდელს ვუტყევდით.

კაფეს ვიტრაჟებიდან კარგად ჩანდა სარეპეტიციოს შესასვლელი.

თედო გვემუდარებოდა, კიდევ ერთ ტუ- რნეში გავყოლოდით საგალობლად:

— მარტო ჩვენ ხუთი ვიქნებით, მე, შენ, შენ, ლექსო და მედავითენე. დარეჯან დედ- ოფლის ძვლებს ვფიცავ, ჩანთასაც წამოვი- ილებ სუ ჯემებით გატენილს, მწნილსაც და- ვედებ ზემოდან და არაყსაც! თუ მე ეგ გან- ყენინეთ იქა, ასმაგად მოვიწინაიებ! — გვარბმუნებდა.

ბაჩამ თვალით მანიშნა და მეც უსიტყ- ვოდ გავუგე. თედოს მივუბრუნდი:

— ეგ არაფერ შუაშია, თედო! ამ გუნდ- ში სხვა რამის გამო ვიყავით.

— როგორა, როგორა?

— გოგო უყვარდა ბაჩას!

— აქაა? — დაჭყიტა თვალები და სარე- პეტიციოსკენ მიტრიალდა.

— არაა, მაგრამ იმ გოგოს თხოვნით ვი- ყავით.

— თხოვნით იყავით, ესე იგი, — ვერა- ფერი გავეო ერეკლეანთს.

— ჰო, მაგრამ ის გოგო უკვე აღარ უყვა- რს.

— და შენა? — მომიბრუნდა დაეჭვებუ- ლი სახით.

— მე იმიტო ვიყავი, რომ ბაჩა მარტო არ ყოფილიყო.

— ვაააა, — აღმოხდა და სახე გაეხადრა თედოს.

— შენ არაფერი გინყენინებია, ჩვენი ძმა ხარ, ხო იცი!

— ვაა, კაცო, არ მყვარებია გოგო არას- დროსა და ეგეთი ადვილია ეგა, ჯერ გიყ- ვარს და მერე არაა? — აგრძელებდა თედო და ისე ილუქმებოდა, ქიშმიშები, ნიგოზი და ვაშლის ნაფლეთები ყველა მხარეს უცვიო- და.

— ამას კითხე! — ვუთხარი და ბაჩაზე მივანიშნე.

დაბნეული თედო ერთხანს უსიტყვოდ გვიყურებდა ხან ერთს და ხან მეორეს. მერე კი ვეღარ გაუძლო და ისევ კბილები გად- მოყარა:

— ეგრე რა, კაცოო. მე კი მეგონა, გა- გაბრაზეთ და მომეშვა გულზე ეხლა. რო გირეკავდით, არცა მპასუხობდით და ძან ვინანეე უჯემობაცა, უმწილობაცა და უყ- ველაფრობაცა.

დამშვიდობებისას გულში ჩავგიკრა და ბოლოს იტირა კიდეც.

— ამ ერთხელ მაინც გამომყევით საგა- ლობლად, ადგომა უნევს, იქ ტაძარი არ აშენებულა ჯერა, კარავი დგასო დიიდი, აი, გრძელები როა საქელეზე, ზუსტად ეგე- თი! — აგრძელებდა ჯიუტად.

ეს ლიკას კინო აღარ იყო, აღარც ქერა ლეოსი.

თედოს საგალობლად ამ ერთხელ აუ- ცილებლად გავყვებოდით!

გოგა გუგავა

ფანტასმაბორია



თქალქს გაჭირვებით ვახელ. არანაი- რი ხმა, მხოლოდ კადრები და ისიც ბუნ- დოვანი. გარჩევა მიჭირს, მაგრამ ვხედავ თოვლით დაფარული ტყეს, ჩემკენ გამოქ- ცეულ მეგობრებსა და ხის ტოტს, რომელ- იც ზემოდან მანვება. მგონია, რომ სიზმარ- ში ვარ, მაგრამ ტკივილის გრძობა მარნ- მუნებს, რომ ყველაფერი ცხადია. უცებ ფარდები უშვება და ველარაფერს ვხედავ. ცოტა ხანში კვლავ ნათდება და კადრში სასწრაფო დახმარების ვერტმფრენი ჩნდებ- ბა. ქარის ქროლა ოდნავ იგრძნობა. ხმა ის- ევ არ ისმის, მხოლოდ ვიბრაცია აღწევს ჩე- მს ყურამდე.

ბოლო მომენტი, რომელიც გონებაში მიტივტივებს, ზემოდან მოცქირალი მეგო- ბრების გუნდია. ისინი რალაცას ჩამძახიან, ექიმები კი სადაც მიმაქანებენ. ატირებუ- ლი მეგი ვვარს კოცნის და ხელზე მახვევს, მისი პირის მოძრაობაზე ვკითხულობ: „არც კი გაიფიქრო, მათე“. კადრები წყდება და უცებ თითქოს წყვილია ვუშვებ.

სიცივე მალვიძებს. დაახლოებით ისე- თი, როგორც სუსხიან დილას მთაში იცის. თვალებს ვახელ, თუმცა ბნელა. ხელეში მიცირე ძალას ვგრძნობ. რალაცაში გახვეუ- ლი ვარ, თავის გათავისუფლებას ვცდი- ლობ, მაგრამ ამოდ. ნამოდგომა მინდა, თუმცა ფეხები არ მემორჩილება. უეცრად ხელზე რალაც მომედო და ბუნდოვნად, მაგრამ მაინც გამახსენდა ჯვარი, რომელ- იც მეგობრე ხელზე შემომახვია. ლითონის ჯვ- რის დახმარებით როგორღაც შევძელი, გამეჭრა ის ტომარა, რომელშიც გახვეული ვიყავი. ნელ-ნელა თავის ამოყოფაც მოვა- ხერხე. ირგვლივ ვიხედე და ბნელ ოთახს პროზექტორას ვამახსენდა. ერთხელ ვარ ნამყოფი პროზექტორაში მეგობრის დედის ამოსაცნობად. არ შევმცდარვარ, ნამდევი- ლად პროზექტორაა. შიშისგან ვერაფრის გაკეთება მოვახსარი, რომ უეცრად რალაც ტანით ქალისა და თავით შევარდნის მს- გავსი არსება კედელში შემოვიდა. ოთახში შემოანათა, თითქოს გარს ნარინჯისფერი ალი ეხვია. ერთ-ერთ გვამთან მივიდა. რა- ლაც ენაზე რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა და ცხედრიდან გამჭვირვალე სული გამ- ოიძახა. იქიდან ამოსული სული 75-80 წლის კაცისა უნდა ყოფილიყო. შეშინებულმა სულმა შეპარვით შეხედა თავის წინ მდგომ არსებას. ირგვლივ ორწუთიანი სიჩუმე ჩამოწვა. კაშკაშა ალით განათებულ არსე- ბას ცალ ხელში სასწორი ეჭირა, მეორე ხელში კი — სარკე. დაჭინებულ მზერას არ ამორებდა სულს.

— მოგესალმები, პეტრე. მე შუამავალი ვარ ამ წუთისოფლისა მარადიულ საუფლ- ოსთან. ჩემი მოვალეობაა, ადამიანის სულ- ში ჩავიხედო და ამის მიხედვით გავუყენო იგი მომავალი საუფლოს გზას. სარკეში ჩა- იხედე!

სარკე პეტრესკენ მიატრიალა და დანი- ახა შავისა და თეთრის ჭიდილი, რომელ- შიც მისი განვლილი ცხოვრების უამრავი ფრაგმენტი გამოისახა.

ხანშიშესული პეტრე შეშინებული ჩან- და.

— რა მომელის, თუკი გამოცდას ვერ გავივლი? — იკითხა მან.

— ეს გამოცდა არ არის. ეს შენი განვ-

ლილი ცხოვრების შეფასებაა.

— ჩემს ცოლს მაინც თუ შევხვდები ისევ?

— მაგაზე საუბარი ადრეა, თუმცა შეუ- ძლებელი არაფერია.

მაგიური არსება ცხედართან მივიდა, იქიდან გული ამოიღო და სასწორის ერთ პინაზე დადო, მეორეზე კი ბუმბული მოათ- ავსა. პინა ხან ერთ მხარეს გადაიხარა, ხან მეორე მხარეს, თუმცა საბოლოოდ ერთმა- ნეთის პირისპირ გაჩერდა. თითქოს შევარ- დნისებრ სახეზე ლიმილი გამოისახა. უცებ კაშკაშა სინათლე გამოჩნდა და თეთრებში გამონყობილმა ორმა ფრთოსანმა, არამი- ნიერმა არსებამ სული სადაც წაიყვანა.

ასე გაგრძელდა კარგა ხანს. არსება სულს გვამებთან იძახებდა და მათ თა- ვიანთ გზას უყენებდა. პირველად სიბნელე რომ დავიინახე და იქიდან გამოსული ორი არსება, რომლებსაც ყორანივით შავი ფრ- თები ესხათ, ენა მუცელში ჩამივარდა. ვის- თვისაც ეს შავი კარი პირველად გაიღო, ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა ქალი იყო. მას სიცოცხლე თვითმკვლევით მას შემდეგ დაუარსებია. უცებ საკუთარი შვილი ქუჩაში დატოვა და მეორე დღეს, თავისი შეცდომის გამოსასწორებლად მის- ულს, ბავშვი ქუჩაში გაყინული დახვდა.

თავისი გზა ყველას მოუწახა არსებამ, რომელსაც, ალბათ, ემოციებით მიწინააღმ- დე ჰქონდა დაყვანილი. უცებ არსება ჩემ მახლობლად ერთ გვამთან შეჩერდა. იქი- დან 8 წლის პატარა გოგონას გამჭვირვა- ლე, უმანკო სული ამოვიდა. შევარდნისებრ სახეს არანაირი გაკვირვება არ ეტყობო- და. ალბათ ეს მისთვის არც პირველი იყო და არც — უკანასკნელი. გოგონა შეშინებ- ული ჩანდა.

— ჩემი ხომ არ გეშინია, პატარავ?

— ცოტათი, — ლამის ჩურჩულთი თქვა გოგონამ.

— რა გქვია?

— ნიტა.

— აქ საიდან აღმოჩნდი, ნიტა?

— არ ვიცი. მე უბრალოდ გზაზე თოჯი- ნა დამივარდა და მის გამო დაგბრუნდი.

— გაქვს რამე სურვილი, რაც შემიძლია რომ აგისრულო?

— დედასთან მინდა.

აქ რალაც ცრემლის მსგავსი შევნიშნე შუამავლის სახეზე, თუმცა ზუსტად ვერ გეტყვით, რა იყო.

— დედასთან ვერ დაგბრუნებ, თუმცა შემიძლია, შორიდან გაჩვენო, სანამ შენს გზას გავივებთ.

გოგონამ მორცხვად თავი დაუქნია და გაიღიმა. ლოყასთან პატარა უპეები გაუჩნ- და. შევარდნისთავიანი არსება საქმეს მო- რჩა თუ არა, მაშინვე თეთრი კარი გაიღო და პატარა გოგონას სული უეცრად გაქრა. ამ სანახაობის შემყურეს თვალეზე ბი- ნდი ჩამომეფარა და შემდეგი თვალეების გახელისას, უკვე პალატაში ვიყავი სუნთ- ქვის აპარატზე შეერთებული. აღმოჩნდა, რომ კლინიკური სიკვდილი განვიცადე. გულმა მუშაობა შეწყვიტა და ექიმების და- უდევრობით მორგში მიკრეს თავი. გამოდ- ვიძებულს მხოლოდ ერთი რამ მაინტერე- სებდა, ცხადი იყო ეს ყველაფერი, თუ ჩემ- ში სინამდვილედ ქცეული სიზმარი.





ჯუანშერ ტიკარაძე

თუ

მაშინ, მაშინ,
შენ მისგან მარჯვნივ ჯვარს გაკრული
ავაზაკი თუ იქნებოდი
და თუ ღვთაებრივი ნათელი
თვალს აგინებდა თვალების დახუჭვის წამს
და თუ ზეციურ სასუფეველს დაიმკვიდრებდი,
რა შეგრჩებოდა ხელთ —
მარადიული ნეტარება
ერშალაიმის თაკარა ბნელში
წამის წამით მზის ხილვისთვის მიმადლებული
თუ
მოუშუბელი სინანული
და მწიკნავი ქენჯნა
(როგორც მოჭრილი ფეხის ქავილი)
იმწამამდელ ზაკვათა და ზრახვათა გამო...

სამი

1. მიედინება სიზმრების მდორე კალაპოტში
დასარჩენი დრო
აქ.
სად გავიღვიძებ?
ო, თვალგახელილ
წინათგრძობებს სძინავთ სიკვდილში.
2. წამოიშალნენ ნასიზმრალი დუმილიდან მორცხვი
სვავები
და მიესივნენ სამომავლო იმედების ლეშს...
გესმის?
გესმის?
მოკვდა ნილაბი
და დარჩა სახე უხილავი ყველა სარკისთვის.
3. და ეს სიზმარიც,
როგორც...
როგორც...
ასე ღრუბელი მიაცურებს
დამცხრალ მთვარეს ქვის ხაფანგში
მიმწყვდევს ქალაქის თავზე;
ასე ვიოლინოს ხემი უკრავს
აცახცახებული ჰაერისგან სახედამეცილ მევიოლინეს.

ო, ნატავ

ო, ნეტავ-მეთქი,
ვეუბნები მე შენს ზმანებას,
დახუჭულ ქუთუთოებზე ოდესღაც
შიგნიდან ამოჭრილს თუ ამოშანთულს
და წლების კვამლისფერი მალამოთი გადასულს და
გაბუნდოვნებულს,
ო, ნეტავ-მეთქი,
გეუბნები მე შენ უკვე გადატკეპილი სინანულით,
ნეტავ დამესწრო და თუნდაც
ერთი დღით ადრე მოვმკვდარიყავი,
ვიდრე ბევრგზის სულწაბრუნებული
შენთვის საბოლოოდ მოვკვდებოდი,
ო, ნეტავ-მეთქი,
ვამბობ მე უმისამართო, უფნებო და
უდღეური სიტყვებით,

ნეტავ მართლა მოვმკვდარიყავი —
ახლაც ცოცხალი ვიქნებოდი მაშინ მე შენთვის.

იქ, სადაც ქალიან, ქალიან ცხელა

— ...მერე მეკრძრე დაიბაგუნა მუშტები
და ზეცას შეჰღრიალა...
— დედაც საყვარელო! — ამოიხრა ფროიდმა. —
რა საშინელი სიცხეა!
— მერედა, გამოაღეთ სარკმელი, ყმანვილო, —
მიმართა ნიუტონმა, —
ნუ დაგზარდებით.
ფროიდი ფანჯარას დაეჯაჯგურა —
ერთხელ, მეორედ და მესამედაც,
მაგრამ ძვრაც ვერ უყო —
ალბათ ვიღაც წინდახედულს
გრძელი ლურსმნებით წინასწარ თუ გაეჭედა.
მეოთხე მცდელობისას რაფაზე დასკუბებულ
მრგვალ ქოთანს გამოედო.
ქოთანი ჯერ ფროიდს დაეცა ფეხზე,
მერე ზუსტად შუაზე გადაიხსნა
და ორადქმნილი აქეთ-იქით გასრიალდა.
იატაკზე შავი სისხლივით გაიშალა მინა
და გადაგორებული კაქტუსიც კიდევ უფრო დაემსგავსა
მამაკაცის ერეგირებულ ასოს.
— უუხ, შენი ჩვილობისა შეჭმული მამა! —
ხმამალა შეიკურთხა ფროიდმა
და ცალ ფეხზე სიმწრით ახტუნავდა.
— გეტკინათ? — საქმიანად დაინტერესდა ნიუტონი. —
საერთოდ,
ზემოდან გადმოვარდნილი აგურები და ქოთნები
დედამინისადმი პერპენდიკულარულად მიფრინავენ
და ზოგჯერ ადამიანებსაც ეცემიან...
საინტერესოა კი, რატომ... —
ფროიდი კოჭლობით დაიძრა მაგიდისკენ
და სკამზე ხვნეშა-ხვნეშით ჩამოჯდა.
— განაგრძეთ, გეთაყვა, —
მიუბრუნდა ნიუტონი დარვინს, —
ვგონებ, თქვენს წინაპრებს იხსენებდით.
— არა, — წარბები აზიდა დარვინმა, —
მე მაიმუნების შესახებ გიამბობდით.
— უი, მართლა?! — გაიოცა ნიუტონმა. —
მე კი მომეჩვენა, რომ... — კეფაზე პარიკი მოიფხანა
და ფრაზა აღარ დაასრულა.
სადღაც შორიდან კომკის საათის
რეკვის ხმა მოისმა უცებ —
ეს სამუდამოდ გაჩერებული დრო
ითვლიდა არარას —
და გარე ქარმაც ჩაბნელებული მინები შეაზანზარა —
ერთხელ, მეორედ, მესამედ...
ბოლოს ისევ მორჩილმა და მოშიშმა მდუმარებამ
დაისადგურა ოთახის მჭმუნვარებაში.
— ო, Santo Super-Io, —
როგორღაც თეატრალურად ამოიკენესა ფროიდმა, —
რა საშინელი სიცხეა! —
მერე ნატკენი ფეხი
ორივე ხელით სათითაოდ მოისინჯა,
წელში გაიმართა
და ერთხელაც მიაცოლა ცარიელი სიტყვები
გაბმულ ამოხვრას:
— როგორ ცხელა!
როგორ!
როგორ! —
მართლაც ძალიან, ძალიან ცხელოდა...
და, ალბათ ჯიბრზე, ფანჯარაც არ იღებოდა.

სიბრძნე ალექსანდრა ბასილაშვილისა

ღმერთო, შენ აგვარიდე
წარმატებული კაცის ღამეები
და დღეები წარუმატებლისა,

რამეთუ ქენჯნის წარმატებულს ღამის კომპარები,
წარუმატებელს კი — დღისა,

ხოლო თავად ბრძენი კი
არც წარმატებულია,
არც წარუმატებელი,

ბრძენი, უბრალოდ, არის.

ვიდრე მოკვდებოდა

ვიდრე მოკვდებოდა,
ჯერ მან თავისი სიკვდილი დაინახა.
სიკვდილს ზედა ტუჩი
ქვედაზე მსუქნად ჰქონდა სილიკონით გაბუსხული
და ბიჭუჭურად შეკრეჭილი თმაც
ჭყეტელა ვარდისფერით შეეღება.

ვიდრე მოკვდებოდა,
მან მოასწრო და
თავისი სიკვდილი დაინახა.
სიკვდილი თავანწყვეტილი მიაქანებდა
კრეისერისხელა „ჯიპს“
დღეთა შემთხვევისგან საზღაურად
მონიშნული ნერტილისაკენ,
სადაც მთავრდებოდა სიზმარი
და იწყებოდა ცხადი —
გადაბუგული, გადაბუგული და უდაბური.

ვიდრე მოკვდებოდა,
იქამდე მან
თავისი სიკვდილი დაინახა.
სიკვდილს ცალი ხელი საჭეზე მოხდენილად ჩამოედო,
მეორე ხელის თითები კი გაეფარჩხა
და საჩვენებლის ფრჩხილზე აქერცილ ლაქს
შეძრწუნებული დასცქეროდა.

ვიდრე მოკვდებოდა
და განათბუნდებოდა,
მან ჯერ თავისი სიკვდილი დაინახა.
სიკვდილი ცოტა ხნის წინ თავის ნიაღში ჩასახულ
თოთო სიცოცხლეზე ფიქრობდა,
შემთხვევითობათა შემთხვევის მიერ
მისთვის მინდობილზე ღამეების გამოსასყიდად.
სიკვდილი ფიქრობდა სიცოცხლეზე,
რომლის მოკვლაც არ უნდოდა
და რომელიც მაინც უნდა მოეკლა.

სადაც არ ანათებს მზა

და ამბობდა სასიკვდილოდ დაჭრილი მეომრის ხმალი:
მეც ჩამიქრება ელვარება სიკვდილის შუქის,
ქარქაშის ბნელში ჟანგი შეჭამს ჩემს მბზინავ შაშარს.

და ფიქრობდა სასიკვდილოდ დაჭრილი
მეომრის ცოლი:
ჩამქრალი ნაღვერდალი, ცივი ღამეები.
მინის სიბნელებში მარტო მატლებს დაატკობენ
ჩემი თეთრი ძუძუები.

და დუმდა სასიკვდილოდ დაჭრილი
მეომრის მეგობარი —
უსანთლოდ დარჩენილი
საკუთარი გულისტქმის სიშავეში —
და ჯერ ფხას მხოლოდ
განწირულის ხმალს უსინჯავდა.

ბოლო და ბოლოს

ფასი ერთია, და ყველა ვიხდით,
ადრე თუ გვიან ვფარავთ ნისიას.
ამაოდ ვხარჯავთ დენტსა და ფინთისს.
ბოლო ნერტილიც, ვიცით, ვისია.
ქვას ვინ მოუღობოს ამ ღრჯუ მიკიტანს...
ან რა, დავიწყოთ თუნდაც თავიდან,
ბოლოს ხომ მაინც ამას ვიკითხავთ,
როდის, როგორ და რაში გავიდა.

მას ბრძალი, ბრძალი ფხეხი ჰქონდა

...მერე მოვკალ მე ვეფხვი კბილხანჯალა —
მისთვის, მისთვის —
მბზინვარე ტყავი შემოვიგდე დატორილ მხრებზე
და გავუყევი დღეებს მღვიმისკენ.
მისთვის მოვკალი მე ვეფხვი კბილხანჯალა,
მან დედოცეცხლი დამახვედრა ნაცრადქმნილი,
კვედარი,
ჩამქრალი!

მაგრამ მას ჰქონდა გრძელი ფეხები და ლოყებზეც ფოსოები აჩნდებოდა, როცა მილიმოდა. ო, მთვარეზე ბაკმალალო, დღეების მამავ, სიცოცხლის ჩამსახველო, ო, მზეო, მზეო, ყოველთა ხილულთა და უხილავთა დამბადებლო, ვიცი, ვიცი, უნდა ამეყვანა მე ის წამსვლელთა კლდეზე და ჩვენი ძვლებით მოქათქათე ხრამში გადამეჩეხა, ახალ დედოცეცხლს გამოვსთხოვდი ვიდრე ფუძისმნეთ... ოლონდ მას გრძელი, გრძელი ფეხები ჰქონდა და თქოვბიც მრგვალი და მაღალი და თეთრი ძუძუები.

...მერე შევლენე მე მძიმე შუბით ჩემი ორდენის სატუსალოს ალაყაფი — მისთვის, მისთვის — გილიომ დ'არმურს დამასკური ხმლით ხორხი კეფიდან გამოვუტანე და ძმა ჯერომიც ცაფუყენე სალხინებლის გზას. მისთვის მოვკალ მე ოსტატი ულე და ჯერაც ჭყინტი ბასკი მენესტრელი და უსახელო მედილეგეც ზედ დავაკალი, ვიდრემდის ჩემი შავრა ბაბეტას ღონიერ ზურგზე შევისვამდი მას და თავს მივცემდი თვეების და თვეების სავალს — ზღვების გადაღმა, ტრამალებისკენ. და ვთქვი მე უმაღ „მამაო ჩვენო“ და „ღმრთისმშობელო ქალწულო“ ორდენიდან გამოლენულმა და ჭემმარტი ჯვრის წმიდა ნაწილს ვეამბორე მე მონინებით, ხოლო მან მხოლოდ საგრძნეულო არუჰამე! ჩაიჩურჩულა.

მაგრამ მას ჰქონდა გრძელი ფეხები და მილუღული თვალების შავი ცეცხლითაც მწვავდა უმოწყალოდ, როცა მკოცნიდა. ო, იესოვ წამებულო, ჩვენთვის ჯვარცმულო, ო, წმიდაო გიორგი, კეთილო რაინდო, ვიცი, ვიცი, მე მორჩილად უნდა დავყოლოდი პრეცეპტორის მსჯავრს, კოცონზე თავად ამეყვანა ურცხვი ჯადოქარი — ჩემი მომწესხველი, გული ჩემი კი რომელიმე კეთილშობილი ბანოვანისთვის შემენირა, ვითარცა ჯერარს... ოლონდ მას გრძელი, გრძელი ფეხები ჰქონდა და ფაფუკი უკანალი და მწიფე ნესვივით ტკბილი და მძიმე ძუძუები.

...მერე უკანვე გადმოვფრინდი მე ნიუგომორს — მისთვის, მისთვის — გზად დავაფეთე ემიგრანტი ბებოები და ქუჩის კატა და პოდიუმზე ტიტლიკანად მოდებოდას ძლივს მივუსწარი. მისთვის დავშორდი ჩემს ყოფილ ცოლს და ყოფილ შვილებს; მისთვის ვიყიდე თეთრი ვილა ჟენევის ტბასთან; მის გამო ჩუმად ვამთქნარებდი მე ლა სკალაში და ლამის ვემძე ტკბილმოუბარ ნარკოკურიერს. მე მის ხუმტურებს საკრედიტო ბარათების ფარდავს ვუფენდი, ის რქებს მადგამდა — ვინც ვიცოდი — უან-მიშელთან, მუსტაფასთან და მარგარეტთან. მაგრამ მას ჰქონდა გრძელი ფეხები და მისი ენის ყოველ ხაოს შევიგრძნობდი მე სათითაოდ, როცა გაბუსხული ტურებით მინეტს მიკეთებდა.

ო, ქალბატონო მოსამართლე, თქვენო ღირსება, ო, პირუთვნელო ნაფიცო მსაჯულე, მეც ვიცი, ვიცი, არამც და არამც რომ არ უნდა ჩამეჯიბა ბიუჯეტის კუთვნილი თანხა, არც სისტემატურ კორუფციულ გარიგებებში შევსულიყავ მოთაღლითო ელემენტებთან თანამდებობის პრივატული გამოყენებით და არც საკანადის ჩავყოლოდი უსაქონლო ოპერაციებს... ოლონდ მას გრძელი, გრძელი ფეხები ჰქონდა და ნავარჯიშევი დუნდულები და უსაშველოდ მრგვალი ძუძუები.

¹ არუჰამე — დამახინჯებული „ბარუს ჰა-შემ“ („მადლობა უფალს“ ებრაულად).

ფაუსტი
ძალიან მოკლე შინაარსი

...და ბოლოს, როცა ხელმეორედ დაბერდა და დამდორებული სისხლით იგრძნო მინის მხსნელი მოახლოება,

დროს კვლავ იმ მძალე დღეების და ღამეების გამო დაუნყო ყვედრება და დამუნათება, მოცეკვავე ქალებს, გულმაყინე ნადიმებს, მრუდე სარკეებს, ჰაერის სუნთქვას და წყლის ნაყვას რომ მიაფერფლა...

ბაბრის ნაბუზღუნევი

№1
სარკესთან ნაბუზღუნევი
როცა ჩემს ხნოვანებად მოყრილი ტიპური ქართველი მამაკაცი ტფილისის კობტად მტერიან ქუჩებში ფეხით დაიარება, ის ან ხელმოცარულია, ან ღიპი აქვს დასაგდები.

მე არ მაქვს ღიპი დასაგდები. ღიპს უკანალი უნდა, ჩემო ბატონო, და კიდევ ისა, რა ჰქვია... აი, ისა, კაცო, სამი ასო... ჰო, შნო, შნო.

№2
კულტურის და დასვენების პარკში თანაპასაკელთა შორის ნაბუზღუნევი

თანამშრომლები — ვიდრე ვმუშაობდი — ბუს მეძახოდნენ (ზურგს უკან, თავისთავად ცხადია), საყვარლები — ვეფხვს (ოდეს საჩუქრებით ვანებივრებდი) და კურდღელს (როცა ოჯახიდან არ მივდიოდი), კანონიერი ერინია, მეუღლე სახელდებული — დღემდე — სათვლიან გველს და შვილები კიდევ — რაც წამოიჩინენ და ისტორიის სწავლას მიჰყვებს ხელი — ტირანს (ერთი), მტარვალს (მეორე), დესპოტს (მესამე) და სატრაპს (სამივე ერთხმად)...

მარტო შვილიშვილებმა იციან, სინამდვილეში რა ვარ და ჩემზე ფეხებს ინმენდენ.

№3
სხვებთან საბუზღუნევი

შეგიმჩნევიათ თქვენ მოხუცების ერთ წერტილს მიყინული თვალები? ავტობუსში მაინც არასდროს დაგინახავთ? ახლა უკვე ვიცი, რას ხედავენ ისინი. რას ვხედავ მე. ჩვენ რას ვხედავთ. არაფერს. არაფრით სულ ბოლომდე გადავსებულ არაფერს.

№4
ეჭვიან ფიქრში ნაბუზღუნევი

ეს არაფერი აარაფრებს ჩემს წლებს და წამებს. ამ არაფერში არაფრდებიან მე-დ ქცეული ამბები და თავგადასავლები, ნიგნები, ბილიკები, დაბადებამდელი გაელვებები, კანს შეზრდილი სიზმრები და ადგილები, ნაიმედარი გაცრუებები, საჩხუბარები, ადამიანები, ადამიანები, ადამიანები, ადამიანები, ადამიანები.

მათი სახელები და სახეები... რისთვის ვაგროვე, მისგან კვამლიც თუ არ დარჩება?! ვინ ვიქნები მე, მე თუ აღარ ვიქნები?! ცარიელ დღეში იღვიძებენ შიშით სავსე ღამეები და მე იქამდე ვქრები და ვილევ, ვიდრე მოგვედები და ჯერ — ძვლებად, მერე კი მიწად გადავიქცევი.

№5
სამყაროს მიმართ ნაბუზღუნევი

მეზუზღუნება და ვზუზღუნებ... აღარც ვიბუზღუნო, მაიმუნი ვიყო?!

№6
ღამით, ღამით გულის ფრიალში ნაბუზღუნებული

ყველა ბრძოლა მოუფე სიკვდილს — მინაზეც, წყალშიც და ჰაერშიც — მაგრამ ამ ომში მაინც ვმარცხდები. **(Footnotes)**

ბესო ხვედელიძე

ცენტრი

დასაწყისი პირველ გვერდზე

— შენიშვნა მიღებულია, ცენტრი!
— ჩაგინერე, 08!
— გაიხარე, ცენტრი! ისე ჰაუ დუ იუ დუ, სასტავ?
— ვართ რა — ვეფხვები კატევივით — ცენტრის ხელ-ში, მათე!
— დილიდან რომ არ მოგშალონ, არ შეიძლება!
— პერეხვატები არ იყოს დღეს, ცენტრი! ყველას გა-უმარჯოს! 09 გამოვედი ხაზზე!
— ესე იგი, ვინ გვარცხვენს დღეს? ცენტრი ვარ! 010, 03, 06 და 012 არ ჩანან! სად ჯანდაბაში ყრიან?
— იურა მასპინძელი იყო მაინც! იქ არ იყავი? ეპატიე-ბა. მოვა, სად წავა?
— თომამ სიდედრი მონასტერში წაიყვანა... დღევან-დელს ვაცდენო, დაიბარა!
— 03, როგორც წესი, აგვიანებს! ღამით როენას ბორ-დელთან დავინახე!
— ნესიერად ილაპარაკეთ-მეთქი!
— ცენტრი, შენ ღმერთის ან რამის საერთოდ გწამს?
— რა ხდება, 012? იქნებ ჯერ გამარჯობა გეთქვა შე-ნც!..
— სალამი ბიჭებს! გამარჯობა კი არა, რა ხდება და, გუშინ სად გამიშვი, სპეცგამოძახებააო თან?!
— არ იყო?
— არ იყო კი არა, ვილაც მამისყვერი ჩამიჯდა, წამიყ-ვანა ვილაც ჩამოძენილი სექტანტების შეკრებაზე, იქ ვილ-აც ფაფანაკიანები დავგვხდნენ. ჯერ ხომ სუ ჯვრები მირ-ტყეს... მერე მანქანაც დამიჩხაპნეს ვილაცებმა!
— შენ რა სუ ეგეთ ვილაც-ვილაცებში უნდა იყო, ფილ-იმონიკი?
— დედა, ჩემი სიკვდილი, ცენტრი ვარ!
— მეც ცხვარი უნდა დავკლა ალბათ, 012 ვარ...
— მანქანის ზარალის ხარჯებს ოფისი გაიღებს, ცენტ-რი ვარ!
— ეგ კაი, მაგრამ ჩემ ჩალურჯებულ თვალს ვინ მიხე-დავს, ცენტრი?
— მზის სათვალე ააგდე, ფილო, დიდუბეში!.. 07 ვარ!
— თქვენს ლიციანს რამდენი ხანი უნდა ვუსმინო?!
— ცენტრი! 03 ვარ! მე მაგარ ამბებში ამოვყავი თავი!
— მოგესალმები, 03! ცენტრი ვარ! სულ კაი ამბებში გვენახე!
— ცენტრი, მომისმინე, ესე იგი! გამოვედი ხაზზე და ვხედავ, დიღმის რობაქიძეზე სასტავია ნამთვრალევი გა-მობოდილებული, ბიძერები... ერთი ბიძერი ანაწილებს დანარჩენ ხუთს ტაქსებში. ყველა გაუმვა და მერე მე დამი-ქნია ხელი... გავუჩერე! ჰოდა, ისეთი ნაშლილი მთვრალია, რომ იმ მისამართს მეუბნება, სადაც ახლა დგას და მიჯდე-ბა!..
— ჰაჰა! ჯიგარი ხარ, 03!
— დავარტყით წრე ერთად! შემოვუარე მთელ დიღმს „დინამოს“ ბაზის მხრიდან და მივიყვანე ისე იქ, სადაც ჩამიჯდა! რა ფული უნდა გამომერთმია! სიფთა ხარ-მეთ-ქი და ისე ჩავიდა!
— ვა! სალოლ, 03! წმიდათა წმიდა კაცი ხარ, ადამი-ანი!
— ცენტრი, 011 ვარ... ეს რა დღეა?..
— რა ხდება, 011?
— ჩაეძინა უკანა სიდენიაზე ამ ბუხიო კაცს... ვუჯიკე! შევანჯღრიე! ყურში ჩავყვირი! ვერაფრით ვატოკებ...
— ხომ არ მოკვდა, 011?
— რა მოკვდა, ცენტრი... ზვინავს ტრაქტორივით!
— წყალი არ გაქვს ბოთლით მანქანაში, ანდრო? და-ასხი თავზე, 02 ვარ!
— „ლიკანი“ არ წავა?
— მით უკეთესი, 011, გაზი კიდევ უფრო მიეხმარება, ცენტრი ვარ!
— მაინც არ შვება, საძმო! სულ დავაცალე თავზე... ნოლი რეაქცია!
— სასწრაფოს ხომ არ გამოუძახებს?
— რატომაც არა? გადაიტანენ სანიტრები საკაცით და წაიყვანენ, მიხედავენ!
— ცენტრი გამოგიძახებ, 011! რა მისამართზე დგახ-არ?.. და გამოდი საერთოდაც მანქანით სადმე წესიერ ად-გილას, რომ ადვილად მოგაგნონ!
— ავარიულები ჩართე, 011! ჩემთან ადრე ერთს ჩაეძ-ინა ეგრე... ღამაზ გოგოსთან ერთად იყო. კოჯორში ავე-დით და ეს გოგო მეუბნება — მე მისამართი არ ვიცი, პირ-ველად ვარ, ამას კიდევ ვერ ვაღვიძებო... რა არ ვუქენით, ესე იგი... არაფერმა რომ არ გაჭრა, ამ გოგომ, მე ვიცი, და ბოლოს ისეთი დაუზასა, რომ კინალამ სული ამოაძრო კბილივით!
— გააღვიძა?
— მაშ! და მივიყვანე კეთილად და პატიოსნად! ჭირი — იქა, ქატოც — იქა!
— აკოცე, 011! ჰაჰაჰა! დაუზასე მართლა, 011!
— შემემვით! სააკაძის მოედანზე გამოვედი... ცხენს ვხედავ ნინიდან!





ბესო ხვედელიძე ცენტრი

დასასრული

— სხვა არაფერია მანდ, წესიერად რომ მიტხრა, 011?

— იქით ქალაქის მერიაა!

— მერე მიდი მერიასთან, 011! რა ცხენი წინიდან აგიტყდა?! რა გჭირთ დღეს ყველას?!

— აჰა, უკვე მერიის კიბეებთან ვარ, ცენტრი!

— იყავი მანდ! ალო, სასწრაფოა? მერიასთან კაცია ცუდად ტაქსიში! აჰა... ვერ მოვიფიქრეთ ჩვენ შტერებმა! გაიხარეთ!

— რაო, ცენტრი?

— მანდვე არაა რესპუბლიკური?! და-ანექი გაზს, 011 და მიიყვანე ეგ კაცი სამორიგოში. იქ მიხედავენ!

— დედა... აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრეთ! რა დღეა ეგეთი მართლა?!

— მოინერე რას იზამ, 011!

— ცენტრი, 06 ვარ!

— ...

— ცენტრი, 06 ვარ!

— ...

— ცენტრი! არ გესმის, რომ 06 ვარ??

— შენ ჩემგან პირადად ხარ დაჯარიმებული, იურა!

— რა ხდება, ცენტრი?

— გეგონება, არ იცოდენ!..

— ცენტრი, აგერ აქვე ვდგავარ, ქალაქის შემოსასვლელში. დავით აღმაშენებლის ძეგლთან.

— თავში ქვა გიხლია, 06!

— ნუ მერჩი, ცენტრი! და გუშინდელზე კიდევ — ბოდიში... კი არ მახსოვს არაფერი!

— გაგირითმავდი ახლა, 06!..

— კარგი რა, ცენტრი... მაპატიე-მეთქი! რამე უსაქციელობა იყო?

— გითხარი მე შენ! და კიდევ ერთხელ გიმეორებ ყველას გასაგონად: მე მინდა მდგრადი ურთიერთობა და მდგრადივე ოჯახი! შიგადაშიგ ებღარძუნე ვინმე სხვას! ოხრად ყოიან ეგეთები ცირკთან და იმის იქითაც!

— ცენტრი, შენ რომელი კუთხიდანა ხარ?

— არაა ეგ თქვენი საქმე! ხოლო ბოლო სტატისტიკური მონაცემებისთვის მაინც არ მომესმინა ჩემი ყურით — როგორც სტატისტიკის დეპარტამენტმა გამოთვალა: დღეს ქვეყანაში ერთ ჯანმრთელ მამაკაცზე ოცდაორი ქალი მოდის!

— არ თქვა, ცენტრი!

— ჰოდა, რომელი ხართ აქ ჯანმრთელი?.. მე კიდევ, ძალიან კარგად იცით, რომ გახლავართ წესიერად გაზრდილი და შენს ოღრამობებს არ ავყვები!.. გაიგე, 06?! მე ყველაფერს ვგრძნობ და ნუ გგონივარ იმგვარი ქარაფშუტა ადამიანი, თითის ერთ დაქნევაზე რომ გამოიქცევა და ჩაგახტება ლოგინში!

— როგორ ეგ? ლოგინიც გვქონდა, ცენტრი? უფალო!

— ფრთხილად იყავი-მეთქი, გაფრთხილებ! შენ ჯერ კარგად არ მიცნობ, ან ვილაცაში გერევი, 06!

— აუ, აუცილებლად გნახო მინდა, ცენტრი!

— ინანიებ გუშინდელ საქციელს?!

— ვინანიებ! მაგრამ რა საქციელი იყო, გამახსენე რა, ცენტრი!

— ანუ მე მეორედ შევიდე იმავე წყალში?

— ცენტრი, სანამ ღიაა, შედი, 011 ვარ! დავტოვე ის მთვრალი ბიძა რესპუბლიკურის სამორიგოში... საკაცზე რომ გადაჰყავდათ, გამოეღვიძა და გამოდებოდა... ეგრევე ჯიბეები დაიხსრია. გადმოხტა საკაციდან, ფული მომცა და თავისი ფეხით შეჰყვა სანიტრებს... ისე, ცენტრი, კაი მანქანაა 06! ლამაზი!

— ცენტრი, 08 ვარ! თქვენს ყურისგდებაში ის ორი შხვართი გოგო ისე მივიყვანე, ვერც გავიგე!.. ისეთებს ბაზრობთ, ვერც ის გავიგე, როგორ გადავიდნენ... თან არ გადაუხდიათ! მორჩით რა!

— ცენტრი, 02 ვარ! ჯერ კიდევ ვარაუდით დაედივარ! ცენტრი, მგონი, მართლა უყვარხარ 06-ს!

— დამიმტკიცოს!

— დაუმტკიცე, იურა!

— აუხსენი რა, 06! და ნუ დაგვტანჯვით! ნითელზე გავიარე თქვენს სმენაში! ჯარიმა მინდოდა კიდევ?..

— კაი! მორჩით, გავიგე!.. ესე იგი, ცენტრი, როგორ დავინყო?

— სულ თავიდან!

— სულ თავიდან?.. ჰოი, მე თავიდანვე მოვიხიბლე შენი ხმის ტემბრით!.. გახსოვს, როგორი რიდიანი ვიყავი ადრე? ეს რიდიანი კი არაა, მონუსხული უფრო ვიყავი შენით... წარმოგიდგენდი ხშირად, ცენტრი, ხმით ალგადგენდი და შენივე ხმა მკარნახობდა შენს გარეგნობას... ვაიმე, გული!

— ეს რა დღეში ყოფილა!

— აღარ მჯერა მე შენი არცერთი სიტყვის, 06!

— სხვა რა ვქნა, ცენტრი?

— 03 ვარ! სხვა რა ქნას მართლა?

— მოვიდოდი სმენის მერე, ცენტრი! დაგხვდებოდი... ყვავილებიც ვიცი! რომლებია შენები?

— იასამნები!

— სახლშიც მიგაცილებ! საუკეთესო მუსიკას მოგასმენინებ გზაში... მანქანაში არ ვენევი.

— დანარჩენები მაყარში მოვდივართ, ცენტრი, 012 ვარ!

— მონმეები არ მჭირდება მე!

— ხელისმომკიდებები ქვია მაგას, ცენტრი, 02 ვარ!

— ცენტრი, 06 ვარ. ისე, ოცდაორი მაინც ნამეტანი არაა, ცენტრი?

— რა, 06?

— ქალი კაცზე, ცენტრი! თუ შენ პირიქით თქვი?

— ჰმ, ეგ უკვე კრიმინალია, 06!.. ჰა-ჰა! ახალი გამოძახებაა — ქალაქი მცხეთა, კონსტიტუციის ქუჩა 25. ალექსეევკაში, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში უნდათ!..

— მე ნავალ, ცენტრი! კარგად ვიცი ეგ კლიენტი! ისევე 06 ვარ! ბევრჯერ გამიყვანია! აღმაშენებლის ძეგლთან ვარ-მეთქი და აქედან ხელის განვდენაზე!

— აკი ჩემთან მოდიოდი, 06?!

— ორი კურდღლის ამბავია, ცენტრი! მივალ-მოვალ. აბა, სად ნავალ?! ვიცი, მე ეგ თან — სადაც მიდის!

— გაგაკურდღლებ მე შენ!

— აბა, ყველა ერთად გელოდებით, იურა!

— აი ლავ იუ, ცენტრი!.. ვასიგნალებ ოთხჯერ! ამყევით, ძმებო! გავექანდი! მუზიკას ვრთავ ბონოსას: როგორაა?.. ვიზ ორ... ვიზაუთ... ვიზ... მერე?

ბიორბი გამყრალიძე 1962 წლის 10 ნოემბერს ვაშინგტონიდან რომ გამოუგზავნიდა ბარათს თავის დისწულს მანანა ბელიაშვილს, ამ სიხარულსაც გაუზიარებდა:

— ამას წინად, „ლიტ. გაზეთში“ ნავეკითხე ზვიადის თარგმანები — ორი ლექსი რომ. ფროსტის — ძალიან კარგად უთარგმნია...

იგულისხმებდა სამწერლო გაზეთის იმავე წლის 2 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ „ნოემბრის სტუმარსა“ და „გართმულს“ — 1963 წლის 15 სექტემბერს გამოგზავნილი ბარათით კი ამცნობდა, რომ:

ვაშინგტონში ქართულ ენაზე გამოქვეყნებულიყო მისი ნიგნი „ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე“, რომელშიც საკუთარ ლექსებთან ერთად შეეტანა თარგმანებიც.

და მოადევნებდა, რომ:

სხვათა შორის დიდი ხნის წინათ ეთარგმნა რობერტ ფროსტის რამდენიმე ლექსი და ერთი კიდევ დაბეჭდა.

და დაბეჭდვით გაიმეორებდა:

ზღვა კარგად ცნობს კონცხებს —
რუყე-კბილებით
მაგრამ კაცთა ის არ იცნობს ბუნებას:
რათვან ფიქრობს:
სახის რამე ცვლილებით
შესძლოს აზრის მოკვლა, დაძაბუნება.

გემის მისცეს
ზღვას ჩაძირვის უფლება...
დაუთმობენ სახლსაც...
დეე, ჩაძიროს —
თუ შერჩება ფიქრის თავისუფლება
კაცს, ოცნება თვისი,
რომ არ გასწიროს.


დააბარებდა ზვიადთან:
უთხარი, რომ კარგად უთარგმნიაო.
და კიდევ:
ფროსტი ძნელად სათარგმნი რომ გახლდათ, რადგან ორიოდ სიტყვაში ბევრ რამეს გულისხმობდა და ისე გამოდიოდა: ამირან გულში მღეროდა, მოყვარე, ბანი მითხარიო.

ზვიადს მთავარი ყურადღება ფროსტის უკანასკნელი სტრიქონებისათვის უნდა მიექცია, და ეს რჩევა უნდა გადაეცა მანანა

როსტომ ჩხეიძე

ცეცხლი და ყინული

შეფასება ოკეანის გაღმიდან



დიდი ხანიაო.

ამას წინათ „მნათობში“ — 1963 წლის N 4 — კი ნავეკითხა ზვიად გამსახურდიას თარგმანში იმავე ლექსისა — ჩართული ესეიში დიდ ამერიკულ პოეტზე — და აღტაცებას ვერ ფარავდა:

როგორ კარგად უთარგმნია ზვიადსაცო.

თავისი თარგმანი ასე დაესათაურებინა:

„სილის გორაკები“.

ეს ნიმუში ამ ნიგნში არ შეეტანა, მაგრამ ხელახალ გამოცემაში აპირებდა მის ჩართვასაც, ახლა კი დისწულს სთხოვდა:

აჩვენე ზვიადს უთუოდო!

და მთელ ლექსს დაიმონმებდა.

ზღვის ტალღები მწვანეა და სოველი მკვრამ, როცა ნაპირებთან კედებიან —
იმათ ნაცვლად სხვები იმართებიან —
მიხაკისფრად, და მშრალია ყოველი.

ეს ბორცვები
ზღვისგან წარმომდგარია,
რომ შეექმნათ მეთევ ზეთა სოფელი.
მყარ სილაში დამარხულნი არიან
ვინც გადარჩა
ზღვისგან დაუხრჩობელი.

ბელიაშვილს ზვიადისათვის ამერიკაში გადახვენილი ემიგრანტი ნათესავისაგან:

— უთხარი, ძია გუგული ინერებათქო, რომ ფროსტის ლექსების (უმეტესობაში) უკანასკნელ სტრიქონებში მარხია ძაღლის თავითქო.

გიორგი გამყრელიძის ეს ბარათები ხელმისაწვდომი გახდებოდა მკითხველისათვის რუსუდან ნიშნინიძის წყალობით, თავს რომ მოუყრიდა მისი პირადი წერილების ერთ ნაწილს და წიგნად გამოსცემდა ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელშეწყობით (2022 წელი).

ხოლო ზვიად გამსახურდიას თარგმანებს რობერტ ფროსტის ლექსებისა შეიტანდა მცირე ანთოლოგიაში „ამერიკელი პოეტები“, წინასიტყვაობაში ლაკონიურად რომ დაახასიათებდა ამ ლირიკოსის უმთავრეს თავისებურებებს, უფრო ვრცლად რომ მიმოიხილავდა ვრცელ ნარკვევში „XX საუკუნის ამერიკული პოეზია“ და აღნიშნავდა:

რობერტ ფროსტს პოეტ-რეალისტებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი რომ ეჭირა.

მისთვის უცხო გახლდათ ექსტრავაგანტური სიახლენი თემატიკაში, ვერსიფიკა-

ცინასა და პოეტურ სახეთა ნიშანში, რაც ახასიათებდათ იმავე თაობის ამერიკელ და ევროპელ პოეტებს.

ჭეშმარიტი ნოვატორის მომთმენიანობით აღჭურვილი ფროსტი განსაკუთრებული სიფრთხილით ნერგავდა პოეზიაში ყოველივე ახალს, უჩვეულოსა და ამავდროულად მისაღებასა და ადექვატურს თანადროული მკითხველისათვის.

ნაწილობრივ ამით ხსნიდა ზვიად გამსახურდია რობერტ ფროსტის მიერ კულტივირებულ ბოლორითმოვანი ლექსისა, რასაც გაემიჯნებოდა მის თანადროულ პოეტთა უმრავლესობა.

ფროსტის სადა და გამჭვირვალე სტილი ერწყმოდა პოეტურ სახეთა დალაგების პარამონიულობასა და კომპლექსურობას.

და მისი თემატიკაც, ერთი შეხედვით ახალს რომ არაფერს გვანვდიდა და ძირითადად შემოფარგულიყო პასტორალურ-იდილიურ მოტივებით, დაე ნუ გამოგვრჩებოდა, რომ:

ეს ყოველივე დანახულიყო თანამედროვე პოეტის თვალთ. მისი ლექსების უმრავლესობას რომ ახასიათებდა მშვიდი, მედიტაციური განწყობილება, ყურადღება უნდა მივქვიცი, ხშირად როგორც ცხინაურდებოდა ფარული ემოციური დაძაბულობაც, არასოდეს რომ არ ეცემოდა თვალში მკითხველს.

უილიამ უორდსუორთს ეანდერძა მისთვის საოცრად მშვიდი, აუმღვრეველი მანერა ბუნების ჭფრებისა, ცხოვრებისეული მარტივი დეტალებისა და ასეთივე გრძობების აყვანა მაღალი პოეზიის დონემდე.

ტომას ჰარდის კი გადაეშალა მისთვის სოფლის ცხოვრების სიმშვიდით, ესწავლებინა დანახვა პასტორალურ იდილებს მიღმა ფარული ტრაგედიებისა.

მაგრამ ჰარდისთვისაც და უორდსუორთსთვისაც უცხო გახლდათ ის ღრმადსუბიექტური განცდა ბუნების სიმშვიდისა, ფროსტს რომ მომადლებოდა.

ამიტომაც არ გვევლინებოდა არსად პასიურ მხატვრად და ბუნებას იშვებოდა მხოლოდდამხოლოდ სულიერი განწყობილების საილუსტრაციოდ.

ამასთან ზვიად გამსახურდია გამოჰყოფდა კიდევ ერთ ნიშნულს:

ფილოსოფიური აზრის განვითარებას აღწერილობით ფაქტორთან ერთად, რაკილა იმჟამად პოეტი დევიდ ჰიუმისა და ართურ შოპენჰაუერის სუბიექტურ-იდეალისტური დოქტრინების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ამას აფიქრებინებდა ის ბრწყინვალე ლექსი — „ნოემბრის სტუმარი“ — სადაც ფორმის მტკიცე ნაჭედობასა და განწყობილების სინარფილესთან ერთად მკითხველს აოცებდა დიდი მხატვრული ტაქტი და ზომიერების შეგრძნება საღებავების გამოყენებისას.

და ლექსს მთლიანად რომ მოიხმობდა, დასძენდა:

აქ პოეტურად არის რეალიზებული შოპენჰაუერისეული დებულება — სამყარო არის ჩვენი წარმოდგენაო.

მთლიანად დაიმონებდა ლექსსაც — „ოქტომბრის დილა“ — რომელიც ჯერ მკვეთრად არ გამოკვეთილიყო მწუხარების მოტივი და უფრო გარდაამავალი განწყობილება გახლდათ საცნაური რაღაც ახალი გარდაქმნის მოლოდინში, ფარული სინანული, რასაც იწვევს ბუნების კვდომა.

ამ ლექსში უმთავრესად მაინც მიიჩნევა იმ გარემოებას, რომ:

პოეტი განიცდიდა ბუნებას, როგორც ცოცხალ არსებას, გრძნობდა მასთან ინტიმურ სიახლოვესა და კიდევ იმას, რომ: ბუნებაში გამოვლენილი ძალები ენათესავებოდნენ მისივე არსების უშინაგანეს ძალებს.

მის ახალ კრებულებში თემატური სიახლე რომ იქნებოდა საცნაური, ეს ნიშნავდა, ლირიკულ ჩანახატებს აქ რომ უფრო სჭარბობდა სცენები სოფლის ცხოვრებიდან. ვისმენდით ფერმერების, მათი ცოლების, მოჯამაგირეების, სოფლის ექიმებისა თუ სხვათა ცოცხალ საუბარს, ვეცნობოდით მათ განცდათა სამყაროს, მათ ფსიქოლოგიას. გარკვეულ სიმპათიასთან ერთად ავტორს შეემჩნეოდა ერთგვარი გაღიზიანება, რასაც იწვევდა ფერმერთა გონებაშეზღუდულობა და რუტინურობა, სისასტიკე და განურჩევლობა.

აგერ ლექსში „ღობის შეკეთება“ დახატულიყო ანტიპათიური სახე ფერმერისა, რომლისთვისაც ცხოვრებაში მთავარ სა-

ზომად ქცეულიყო მიჯნა და ამ მიჯნით შემოფარგულიყო მისი გონებრივი ჰორიზონტიც. ამიტომაც იმეორებდა სტერეოტიპულად ანდაზას: კარგ მეზობლებს კარგი ლობე უნდა ჰყოფდეს, — და მზად გახლდათ ამ პრინციპიდან გამომდინარე ჩაედინა ყოველგვარი გულქვაობა.

ხოლო ლექსში „მოჯამაგირის სიკვდილი“ ასახულიყო უზრალ დადამიანის ტრაგედია, მდგომარეობის მხრივ უპირატესობა თვით ძმებს შორისაც რომ იწვევდა განხეთქილებას.

რას ირწმუნებოდა პოეტი და კრიტიკოსი მარკ ვან დორენი?

რას და: რობერტ ფროსტი პოეტი გახლდათ, რაც მისი გაგებით ნიშნავდა ღრმა და ფაქიზი გულის შერწყმას ინტელექტთან, რომელიც მუდამ დაექებს ღრმა აზრს ცხოვრებაში.

მკითხველს უნებურად რომ არ ალექვა ეს სიტყვები ლექსის ემოციურ გაღარიბებად აზრის უპირატესობის გამო, დაე გაგვეხსენებინა ფროსტის შეხედულება პოეტური შემოქმედების პროცესზე:

— ლექსი იწყება აღტყინებით და მთავრდება სიბრძნით — განვითარების გზა იგივეა, რაც სიყვარული. ვერავინ იტყვის, რომ ექსტაზი შეიძლება იყოს სტატიური და გაჩერდეს ერთ ადგილას. ასე რომ, იგი იწყება აღტყინებით, შემდეგ მივლტვის პირველ იმპულსს, ლეზულობს მიმართულებას, რომელიც მას მისცა პირველმა ფრანსუამ, გაივლის ბედნიერ შემთხვევებას და მთავრდება ცხოვრების კლარიფიკაციით (გასხივოსნებით) — არა თუ დიდი კლარიფიკაციით, რომელსაც ემყარებიან სექტები და რელიგიური კულტები, არამედ გაურკვევლობისადმი ნუთიერი დაპირისპირებით... იგი ჰპოვებს თავის სახელს თავისსავე მსგეველობაში, მოელის მას რომელიმე ფინალურ ფრანსუაში, რომელიც ბრძნული იქნება და თან სევდიანი.

და ამ თვალსაზრისს ზვიად გამსახურდია თავის მხრივ მიადევნებდა:

ეს თქმა შეიძლება მივუსადაგოთ ფროსტის მთელ შემოქმედებას. აქ მოცემულია მისი პოეტიკის არსი. სწორედ ამიტომ არის, რომ ემოცია მის ლექსებში მყვანდება განცებისად შეფარული სახით და არსად ადის ნამყვანი ფაქტორის სიმალემდე.

და მოიბოძავებდა შეპირისპირების მეტოქეს:

თუ ტომას სტერნზ ელიოტი ცდილობდა ეპოვნა აზრის ემოციური ექვივალენტი, ფროსტთან შეიძინოდა საწინააღმდეგო ცდა ემოციის აზრობრივი ექვივალენტის პოვნისა.

აკი ასეც ამბობდა:

კარგი ლექსი ჰქვია ისეთ ლექსს, სადაც ემოცია აზრითაა გადმოცემული, ხოლო აზრი — სიტყვებითო.

ელიოტს კი ასე გამოეხატა თავისი თვალსაზრისი პოეზიის დანიშნულებაზე:

პოეზია არ არის ფილოსოფიის, რელიგიის ან თეოლოგიის შემცველი; მას საკუთარი ფუნქცია აქვს. მაგრამ რამდენადაც ეს ფუნქცია ემოციურია და არა ინტელექტუალური, შეუძლებელია მისი გადმოცემა ინტელექტისმიერი ტერმინოლოგიითო.

საგანგებოდ დასძენდა ზვიად გამსახურდია, რომ:

რობერტ ფროსტი, ისევე როგორც ტომას სტერნზ ელიოტი, თავის მიერ შემუშავებული თეორიიდან როდი ამოდიოდა, არამედ საკუთარი შემოქმედების ნიადაგზე აფუძნებდა თეორიულ შეხედულებას.

ლექსს — „დასავლეთისაკენ მიმდინარე ნაკადული“ — მოიშველიებდა თვალსაჩინოებად, თუ როგორ არეკლილიყო მასში პოეტის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ერთი მხარე და როგორ გვევლინებოდა ევოლუციონისტ-დიალექტიკოსად, რომელიც აღიარებდა განვითარების უწყვეტელობას.

თაღისის მსგავსად იგი სუბსტრატად წყალს აღიარებდა.

მისი დიალექტიკური შეხედულება სამყაროზე კი ენათესავებოდა ჰერაკლიტე ფესვების აზრს, სამყაროს წინააღმდეგობათა მუდმივ ჭიდილად რომ განიხილავდა.

ფროსტი ოსტატურად რომ ახერხებდა ტემპერამენტის მგზნებარების შეზავებას გონებისმიერ „ყინულთან“, ამას მოწმობდა მისთვის უაღრესად დამახასიათებელი ლექსი „ცეცხლი და ყინული“, ერთნი სამყაროს დასასრულად ცეცხლს რომ გვიქადდნენ და მეორენი გამოინვარებას, ფრ-

ოსტი თითქოს იქით იხრებოდა, აღსასრულად ცეცხლს რომ ირწმუნებოდნენ, მაგრამ... თუ ორგზის გაგვეხსნებოდა ნგრევის კარი, იფიქრებდა, რომ ნგრევისათვის გამყინვარება ძალა გახლდათ არანაკლებ განუზომელი.

ძალიან მოეწონებოდა ზვიად გამსახურდიას, ლორენს ტომპსონი თავის წიგნს ფროსტზე ასე რომ დაასათაურებდა: „ცეცხლი და ყინული“, რაკილა ეს დანყვილება მართლაც რომ შესანიშნავად ასახავდა რობერტ ფროსტის შემოქმედების არსს.

უოლტ უიტმენისაგან განსხვავებით ფროსტისათვის უცხო რომ გახლდათ მომავლის ნათეობილოვი გასჭვრეტა, სამაგიეროდ მტკიცედ სწამდა დადამიანის ბუნებრივი სიქველისა, ეს რწმენა კი საუკეთესოდ მოჩანდა ლექსში „ქვიშის დიუნები“:

ზღვის ტალღები მწვანეა და სველი, როს ნაპირთან ახალ-ახალ რიგებად იმხვრევიან ახლები და ძველით ყავისფერი მწვანე ბორცვი იგება.

ზღვა ხმელეთის კიდეს აფართოებს, სად ჰყვავიან მებადურთა ბაღები და ქვიშაში ჩამარხულად სტოვებს კაცს,

რომელიც გადაურჩა დაღრწობას.

ალბათ, იცნობს
კვებს და კუნძულთ რკალებს,
მაგრამ კაცის არ სცოდნია ბუნება:
თუ კი ფიქრობს,
რომ ცვალებას ძალებს
ცხოველმყოფელ აზრთა
განადგურება.

კაცმა გემი შეატოვა პირში,
შესაძლოა შეატოვოს სახლებიც,
რათა უფრო თავისუფალ ფიქრში

კვლავ დაანყოს გვემები ანახლების.
ეს ხომ ის ლექსია, გიორგი გამყრელიძეს რომ ეთარგმნა და ზვიად გამსახურდიას თარგმანაც ძალიან მოსწონებოდა.

ეს რწმენა კი დადამიანის ბუნებრივი სიქველისა შესანიშნავად მოჩანდა ფროსტის სამსტრიქონიან ლექსშიც „სიმტკიცე“:

დე ქაოსი აღძრულიყო გოდებით, დე ღრუბლები შემდრკალიყვნენ ცეცხლმოდებით, ლირიკული გმირი მაინც ფორმას ელოდებოდა.

ფროსტის ლექსებში პესიმისტური განწყობილება რომ არასოდეს გვეცემოდა თვალში, ეს იმიტომ, რომ:

პოეტს არასოდეს ლაღატობდა ტაქტის შეგრძნება პირადი სევდის გადმოცემისას, პირაქით, სიკვდილ-სიცოცხლის საჭირობორტო საკითხებზე საუბრისას ერთგვარი ირონიაც ახასიათებდა.

და პოეტური ტაქტის ნიმუშად მოიხმობდა ლექსს „გართხმული“, რითაც პოეტი ისევ საყვარელ ბუნებას მიმართავდა, რათა ეგრძნობინებინა თავისი უნუგეშო მდგომარეობა.

ფროსტის ბოლოდროინდელი ლექსების შესამჩნევ მიდრეკილებას მკაცრი ლაკონიზმისაკენ, თვითუფილი სტრიქონი აქ უფრო მძიმე რომ ხდებოდა, უფრო მრავლისმეტყველი, მთარგმნელი და მკვლევარი ახსნიდა იმ გარემოებით:

პოეტი დიდად რომ დახელოვნებოდა აფორისტულ მეტყველებაში და ხშირად ერთი აფორიზმის ჩარჩოებშიც რომ აქცევდა ლექსის მთელ ფაბულას, ვლებულობდით, თუ შეიძლება ასე თქმულიყო, მიკროფაბულას.

ამჯერად მხოლოდ ლექსების დასახელებით შემოიფარგლებოდა, თვალსაჩინოების გარეშე, ისევე როგორც მხოლოდ სათაურების ჩამოთვლას იკმარებდა, როდესაც გაოცებას გამოთქვამდა ამ ნიუ-ჰემპშირელი ფერმერის ერუდიციითა და განსწავლულობით მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

ამიტომაც: მისთვის შემოქმედების მასალა გახლდათ არამარტო შეუიარაღებელი თვალთხილული სამყარო, არამედ მიკროსკოპით და ტელესკოპით დანახული რეალობაც; მითოლოგიურ ელემენტებსა და ბუკოლიკურ მოტივებს კი მოედრინებულს სახით შევხვდებოდით იმდროინდელ ლექსებში.

კლინტ ბრუკსი წიგნში „თანამედროვე პოეზია და ტრადიცია“ ერთ თავს რომ დაუთმობდა რობერტ ფროსტის შემოქმედებას, მას დაუპირისპირებდა სხვა თანამედროვე პოეტებს — არჩიხალ მაკლიშს, იუსტან ჰიუ ოდენსა და ალენ ტეიტს — ფრ-

ოსტს რომ მოიხსენიებდა რეგიონალისტად და ტრადიციონალისტად და იგულისხმებდა მის შემოფარგულობას ნიუ ინგლანდის თემატიკითა და განწყობილებით, ზვიად გამსახურდია დაეთანხმებოდა ერთ განსაზღვრებაში:

ფროსტი ტრადიციული პოეტიცა, ყველაზე მეტად ტრადიციული პოეტი ამერიკულ პოეზიაში და მისთვის „ტრადიციონალისტის“ სახელი სავსებით შესაფერი სიაო.

მაგრამ ვერ დაეთანხმებოდა მეორე განსაზღვრებაში, ვინაიდან:

ფროსტი მხოლოდ გარეგნულად გახლდათ რეგიონალისტი, თორემ სინამდვილეში მისი პოეზიის მნიშვნელობა სცილდებოდა ვინრო ადგილობრივ პრობლემებს და აღწევდა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას.

და კიდევ:

ნიუ ინგლენდის სპეციფიკით შემოიფარგლებოდა გამომსახველ საშუალებებში და არა პოეტურ აზროვნებაში, სადაც გვევლინებოდა როგორც ერთ-ერთი უდიდესი ნოვატორი თანამედროვე პოეზიისა.

ხოლო ზვიად გამსახურდიას მიერ თარგმნილ ამერიკული პოეზიის მცირე ანთოლოგიაში შევიდოდა რობერტ ფროსტის შვიდი ლექსი:

„ნოემბრის სტუმარი“;
„ცეცხლი და ყინული“;
„გართხმული“;
„სიმტკიცე“;
„ოქტომბრის დილა“;
„მშვენიერი იქნენ შემრჩენი“
და
„დასავლეთისკენ მიმდინარე ნაკადული“.

კი მაგრამ... „ქვიშის დიუნები“ სადღაა? იქნებ გიორგი გამყრელიძის თარგმანს რომ გაცენობოდა, თავისი ნამუშევარი აღარ მოეწონებოდა და ამიტომაც მოერიდებოდა მის ჩართვას ფროსტის სხვა ნიმუშთა გვერდით?

თუმც აკი გიორგი გამყრელიძესაც მოეწონებოდა და დღევანდელი თვალთაც დასაწუნი არაფერი სჭირს ამ თარგმანს.

მითუმეტეს:

თუკი უკმაყოფილო დარჩებოდა 1971 წელს, როდესაც „ამერიკელ პოეტებს“ გამოცემდა, თვალსაჩინოებისათვის მთლიანად რატომღა გამოიყენებდა ერთი წლის თავზე — 1972 წელს — გამოცემულ მონოგრაფიაში „XX საუკუნის ამერიკული პოეზია“, რომელშიც მთლიანად შევიდოდა ის ესეი „რობერტ ფროსტი“?

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ:

თითქოს უნებურად გამორჩნებოდა.

მაგრამ უამრავი ნიმუში რომ ყოფილიყო, კიდევ შესაძლებელია გამორჩენა, და რვა ლექსის თარგმანიდან ერთი, თანაც ჟურნალში გამოქვეყნებული, რატომ უნდა ამოვარდნოდა მესხიერებიდან?

შესაძლოა:

რაკილა შეიტყობდა, რომ არსებობდა ამ ლექსის გიორგი გამყრელიძისეული თარგმანი, თავისი ნამუშევრის შეტანას მცირე ანთოლოგიაში მოერიდებოდა, სულ გადასავლებადაც დაენახებოდა და... მონოგრაფიაში ამიტომაც მოუძებნიდა ადგილს.

თუმც მონოგრაფია მონოგრაფია და არც მცირე ანთოლოგიაში უნდა გამოიტოვებოდა.

და „ამერიკელი პოეტები“ განმეორებით რომ გამოიცემა ცალკე კრებულად თუ ზვიად გამსახურდიას ტომებში შევა...

ისე ამ ტომების შედგენა და გამოშვებება ძალიან დაავიგვანდა!...

დაიხ, ცალკე იქნება თუ რომელიმე ტომში, „ქვიშის დიუნებმაც“ უნდა ჰპოვოს თავისი კუთვნილი ადგილი რობერტ ფროსტის იმ შვიდი ლირიკული ნიმუშის გვერდით, როგორც ამ, ისე დანარჩენ ლექსებშიც რომ არ გამოჩნებოდა ზვიად გამსახურდიას ამერიკელი პოეტის ყოველი ლექსის უკანასკნელი სტრიქონების განსაკუთრებული:

მანდ მარხია ძაღლის თავიო, რჩევითაც რომ ურჩევდნენ.

დანარჩენ სტრიქონთა ტევადობაც მარჯვედ შეენარჩუნებინა, ქართულ ვერსიასშიც ბევრი რამ რომ იგულისხმება ორიოდ სიტყვაში.

გადაეცი ზვიადს, რომ კარგად უთარგმნიაო, — უკვე მეორედ ჩამოუვიდოდა აღტაცებული შეფასება ოკეანის გაღმიდან.

ის ბატონობა და საუბარი სრულიად შემთხვევით მოხდა. მარჯვენა თვალის გაქცევა, საშინელი სიღმე ასეთ ასაკში და ექიმებთან იძულებითი სირბილი რომ არა, ის ვერასოდეს შედეგობდა.

ჯერ ნოემბრის ერთ არცთუ მშვენიერ დილას რომ გაელვია, აბაზანაში პირის დასაბანად შევიდა და სარკეში ჩაიხედა, უცრად შეამჩნია, მისი ადრე ესოდენ ჩვეული და არაფრით გამორჩეული სახე უცნაურად გაორმაგებულა და მარჯვენა თვალიც რაღაც ირიბად და მაცდურად უცქერს. პირველ ნუთებში არც მიანიჭა ამას დიდი ყურადღება, მაგრამ სულ მალე, როცა აბაზანიდან გამოვიდა და აღმოაჩინა, რომ იატაკზე უჭირს მყარად გავლა, მეტიც, ნაქცევისაც კი ეშინია, მერე კი მიხვდა, რომ საქმე უფრო სერიოზულადაა, ვიდრე თავიდან წარმოედგინა. და რამ არ გაუელვა წამიერად აღშფოთებულ ტვინში, სულმოკლედ უცებ სიმსივნესა და ინსულტზეც კი მიიტანა ეჭვი. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ ამჟამად ცოლ-შვილი ტურისტულში იყვნენ გაკრეფილნი და ნებივრობდნენ შორეულ იტალიაში სადაც ფლორენციასა და ვენეციას შორის (კიდევ კარგი, რომ ორივე მუშაობს და აქვს ამ ნანატრი ორკვირიანი ვოიაჟის საშუალება, რასაც მთელი ზაფხული ელოდნენ) და ახლა მხოლოდ მათში და რამდენიმე მისივე ხნის მეგობრის ამარა უნდა გამკლავებოდა ამ უცრად მომდგარ სენს, თანაც ისე, რომ შეძლებისდაგვარად ოჯახისთვის არაფერი გაემხილა და მათი დასვენება უნებურად არ ჩაემწარებინა. არადა, ამ მომენტში ის მხოლოდ დაზღვევის გარეშე დარჩენილი და სამოცდაათს გადაცილებული ოთხასლარიანი პენსიონერია, არაფერი მეტი. თანაც, არც იცოდა, რისთვის დაებრალებინა ეს ასე მოულოდნელად ატეხილი უბედურება... კი, ადრეც ხშირად უგრძნია თავი — ან მის ასაკში ვის არ უგრძნია? — შეუძლოდ, ან სულაც ლაყე და გამობენტერებულ მოხუცად, მაგრამ ამას ხან ამინდს აბრალედა, ხან მაგნიტურ დღეებს, ხან წლოვანებას. თანაც, თითქოს არაფერი მოასწავებდა მის თავს ესოდენ მძაფრსიუქტიან დრამას. ჯერ კიდევ გუშინ ერთი ჩვეულებრივი ჭარმაგი თბილისელი პენსიონერი იყო, ამიერიდან კი... საკუთარ თავს ხომ არ დაუშალავს — თუ არ მიხედა დროზე, პროცესი შეუქცევიად შეიძლება გახდეს. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ შეუქცევადობის ამ განცდამ მისი გული და გონება სულ რამდენიმე წუთში სრულიად დაიპყრო.

ცხადია, პირველ რიგში, ოკულისტთან გავარდა, ხილული თვალსაზრისით მაინც თვალი იყო ჩართული. მაგრამ საქმე მართლაც უფრო რთულად აღმოჩნდა, ვიდრე იმედი ჰქონდა. ჯერ ახალი სათვალე შეურჩიეს, კატარაქტაზე შეამონეს (აღმოაჩინდა კიდევ სანყის სტადიაში) და გლაუკომაზე გამოიკვლიეს, გამოუწერეს რაღაც ძვირფასი წვეთები, მაგრამ თავად სიღმის გამომწვევ მიზეზზე ხეირიანი ვერაფერი უთხრეს, ეგ იმდენად ჩვენი პრობლემა არ ჩანსო, უფრო ნევროლოგიურს ნაგავსო და კრწანისის ცნობილ „ნიუ ჰოსპიტალი“ გადაამისამართეს. სხვა რა გზა იყო, გაქანდა ახლა იქეთ. კიდევ კარგი, რომ ქუჩაში და ტრანსპორტით ფრთხილად გადაადგილების უნარი — თუმცა, შოშოთ, კრძაღვით, მარჯვენა თვალის დახუჭვითა და ლამის ხელის ცეცებით — ასე თუ ისე, შერჩენოდა. იქაც სასიამოვნო ბევრი არაფერი ელოდა, ერთი დადებითი გარდა. აღმოაჩინა, რომ განყოფილების გამგე ძველი ნაცნობია, თუმცა კარგა ხნის უნახავია — მოგესხენებათ, რომ თბილისი სინამდვილეში პატარა ქალაქია. ამიტომ აღარ დაახანა, და ეგრევე დაურეკა მობილურზე, რამაც ის უშუალო შედეგი მაინც გამოიღო, რომ გამგემ პირადად მიიღო, გასინჯა, საკმაოდ დიდხანს უკირკიტა მის მუხლებს თავისი ჩაქუჩით, სწორ ხაზზეც გაატარ-გამოატარა (ეს კი გაუჭირდა), დაბოლოს პირდაპირ უთხრა: ჩემი პაციენტი იქნები, მაგრამ სანამ მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიას არ ჩაიტარებ (ხალხში მოკლედ ემერტომ რომ ეძახიან) და ამ მხრივ თავს სრულად არ გამოიკვლევე, ზუსტ დიაგნოზს მაინც ვერ დაგისვამო. ისე, ერთი შეხედვით, თავის ქალის შიდა წვეთების შემცირებით გამოწვეულ ცვლილებას ჰგავს, რამაც სავარაუდოდ მხედველობის ნერვზე იმოქმედაო, მაგრამ რაღაც-რაღაცების გამოსარაცხად მაღალი გარჩევადობის სამი ტესლა

კონტრასტულ ემერტეს მაინც ვერ ავცდებო, უფრო იაფში კი არ დღის ფულის გადაყარაო. ემერტე მაინც აუცილებელია ლიქორის, ანუ ტვინში ცირკულირებადი სითხის, შესაძლო გადინების დასადგენად და ეგ ჩვენთან დაბლა, მიწისქვეშა სართულზეა, რადგან, მოგესხენება, რადიოლოგიური დანადგარები კარგად უნდა იყოს დაცული... ნაადრევად ნუ ღელავ, ამ კვლევას რომ ჩაიტარებ, ისევე ჩემთან ამოხვალ და ბევრი რამ გაირკვევაო, ოღონდ ძალიანაც ნუ გადადებ, ხვალ-ზეგ გაიკეთე და კიდევ ისა, დაზღვეული თუ ხარო? ამანაც — რის დაზღვევა, ერთი ჩვეულებრივი პენსიონერი ვარო. ჰოო, არაურეგულერი ემერტე ასეთ შემთხვევებში ფასიანია, რადგან შენი ფეხით მოხვედი და ქუჩაში დაგდებული არ გიპოვეს. რას იზამ, ჩემი მოგ-

ლი... ადვილი სათქმელია, ნუ იღვლეო, მაგრამ ექიმები ხომ იმდენ ანალოგიურ შემთხვევას აწყდებიან ცხოვრებაში, რომ ემპათიის ბარიერი უქველად დაწეული ექნებათ, სხვანაირად ვერ გაუძლებენ, უბრალოდ ვერ იმუშავენ... ჩვენ ხომ მხოლოდ ჩვენთვის ვართ უნიკალური და განუმეორებელი, თითო ადამიანი — თითო სიცოცხლე, და არც ერთი მეტი. სხვებისთვის კი სტატისტიკა და კიდევ დემოგრაფია, თუ მაინცდამაინც. და თუ რაღაც მართლა გაუკვირდა „ნიუ-ჰოსპიტალი“ იმ იძულებითი ვიზიტისას, ეს აქეთ-იქეთ მოძრავი თუ უძრავი ადამიანების ოდენობა ყველა სართულსა და კიბეზე, გადატენილი ლიფტები, უშველებელი რიგები ყველა კართან თუ სარკმელთან და უამრავი დავრდომილი და ხეიბარი ირგვლივ.



ონილი წესი არა... ეგ არასასიამოვნო საკითხია, მაგრამ ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი რამ მე ამ ქვეყნად არ მეგულება და გორჩვე ჯიბეზე ხელი გაირტყა, ასე აჯობებსო, რამეთუ რაც უფრო ადრე დავინახავთ ცვლილებებს, მით უფრო სწრაფად დავინყებთ მკურნალობას. მიმართებას ახლავე დაავიწყდა, მაგრამ რეგისტრაციაში მისვლა ან სახლიდან დარეკვა და ჩანერა მაინც მოგიწევს, წესია ასეთი. და რა დამიჯდება ეს სიკეთე? — იკითხა მაინც პაციენტმა, რომელსაც უკვე სრულად გადაეწყვიტა ყველა შესაძლო პროცედურის ჩატარება. დაახლოებით შევიდასი ლარი და... იქნებ მერიამო იპოვო ვინმე ღვთისნიერი და რაღაც შეღავათი ვაგინიონ... ძალზე მესამუშება შენთვის ამის თქმა, ამდენი ხნის ნაცნობობა და ამდენი საერთო მეგობარი, მაგრამ ასეთია რეალობა. მერწმუნე, ჯანმრთელობა ნებისმიერ შემთხვევაში მეტი ღირს.

ასეც მოიქცა. მერიამო სირბილის თავი მაინც არ ჰქონდა, ამიტომ სახლში დაბრუნებისთანავე დარეკა ჰოსპიტალში და ოფიციალურად გაიარა რეგისტრაცია ემერტეს სამ ტესლაზე მისთვის ხელსაყრელ დროს — ანუ ზეგ, დღის თერთმეტ საათზე — ჩასატარებლად. აღრიცხვაზე სწრაფად აიყვანეს, ყოველგვარი შეყოვნების გარეშე... არადა, ფულიც ხომ უნდა ეშოვა, მოესწრო და შეენუხებინა ხალხიც და საკუთარი პატარა საბანკო ანგარიშიც, თან ყველაფერი ერთ დღეში მოესწრო. ფული ნამდვილად მტკივნეული თემა იყო. დაზღვეული, ცხადია, არ ყოფილა, არ გაკარგებია არასოდეს. სადაზღვევოსთან ურთიერთობის დანაშაუნი ყოველთვის ზედმეტ ხარკად მიაჩნდა, არადა კი დაუდგა ეს სანანებელი დღეც... ერთბაშად ამდენი ხარჯი და კიდევ, ვინ იცის, რამდენი გაუთვალისწინებელი წინა... თან კი ნევროლოგთან ვიზიტის მერე ბევრ არასასიამოვნო რამეზე უცებ ისევე მოექცა ფიქრი. ბუნებრივია, მის ადგილას, ალბათ, ყველა ყველაზე უარესი ვარიანტის წარმოდგენას შეეცდებოდა, შესაძლო სიმსივნით დაწყებული და მოსალოდნელი სიბრძნვეთ მყოფლებუ-

გადადებულიც, ალბათ... თითქოს ღამის მთელი მძაფრალი საქართველო აქ ჩამობრძანებულიყო მომავალი განკურნების მოლოდინში.

სხვა რა გზა იყო — უნდა დამორჩილებოდა განყოფილების გამგის მიერ დადგენილ პროცედურას. თანაც იმედი ჰქონდა, რომ გამოკვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის ჩატარებას ცოლ-შვილის ჩამოსვლამდე მოასწრებდა. კიდევ კარგი, სულის სიდლიერე არ დაუკარგავს და პანიკაში არ ჩავარდნილა, რადგან ბუნებით ოპტიმისტი იყო და ისიც ესმოდა, რომ მისი ცხოვრება შესაძლოა სხვანაირი, გაცილებით უარესი სცენარით აწყობილიყო. ახლა კი ოჯახი, კერა, შერჩენილი მეგობრები, პენსია, მშვიდობა, სიცოცხლე... განა ბევრი რამ უნდა ამ სიბერის ჟამს? ეს უცნაური სენი რომ არა, საკმაოდ ბედნიერ ადამიანად ჩათვლიდა თავს. არაა მთლად ჩაკარგული ამ არცთუ სასიამოვნო ობიექტის გასაცე ცხოვრებაში.

დადგა ზეგინდელი დღეც — ხვალინდელი მოსაკლისებული თანხის მეგობრებში სესხებას მოუნდა — და მიადგა კიდევ ჰოსპიტლის კატაკომბებს. სარეგისტრაციო სარკმელთან არცთუ მოკლე და აჭრილი რიგი მაინც დახვდა, ასე რომ, პროცედურის დრო, როგორც ჩანს, მაინც მიახლოებით ყოფილა ჩანიშნული. შემდეგ, როდესაც რიგმა, როგორც იქნა, უნია, რეგისტრატორმა ქალბატონმა ყურადღებით ნაკითხა განყოფილების გამგის ხელმოწერილი მიმართვა, შემდეგ მიანობდა ანკეტა — ყურადღებით გაეცანით და სათანადო ჯვრები დასვით კითხვების გასწვრივ — და იქვე ხარჯიც დაუანგარიშა. მანაც, ყველა აუცილებელი ჯვარი რომ დასვა (ანკეტის შემდგენლებს ძირითადად აინტერესებდა ადრე გადატანილი ოპერაციები და ხომ არ ატარებდა ის სხეულში ლითონის რაიმე ნაკეთობას) ჯიბიდან საგულდაგულოდ გადანახული შვიდი ცალი ტკიცინა ასლარიანი ამოასრიალა. ანგარიშსწორების სრული დასრულების შემდეგ რეგისტრატორმა გაუღიმა და უთხრა: ბატონო, აგერ იქ, იმ კედელთან ჩამკერებულ სკა-

მებს ხომ ხედავთ? სადმე ჩამოჯექით და ასე ორმოციოდე წუთში გამოგიძახებენო. მაშინ იყო, რომ შვებით ამოიხუნთქა, ირგვლივ მიმოიხედა და კედლის გასწვრივ დადგმული მუქი პლასტმასის ვინრო სავარძლების გრძელ რიგში ორიოდე თავისუფალ ადგილს მიაკვლია, ჯერ პალტო გაიხადა და ერთ-ერთ თავისუფალ სავარძელზე შემოდო, მეორეზე კი თავად დაჯდა და ხანგრძლივი მოლოდინისთვის განეწყო. ამასობაში ნერვიულობა სადღაც გაქრა... მარჯვნივ საკუთარ ფიქრებში ღრმად ჩაფლულ ხანდაზმულ ქალბატონს იოტისოდენა ყურადღებაც კი არ მიუქცევია მისთვის, სამაგიეროდ მარცხენა სავარძლები დაკავებული იყო ენერგიული წყვილის მიერ, რომელიც არცთუ ხმადაბალი საუბრით იყო გართული, რამაც ძალაუწებურად მიიქცია მისი ყურადღება. ჩია გარეგნობის გამხდარი მამაკაცის ოდნავ მოშავვრემანო სამხრეთული იერსახე, ჭაღარა თმების იშვიათი ნარჩენები თითქმის სრულიად მოტვლებილ თავზე, მოკლედ შეკრეჭილი უღვაში, როგორც გამქრალი სიჭაბუკის რაღაც ნოსტალგიური გაელვება, ლაპარაკის ენერგიული მანერა... სამაგიეროდ ქერთამიანი (ნამდვილი თუ თამაშებილი?) ქალი თავის მეგზურზე გაცილებით ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, ტანითაც უფრო მაღალი და მოსული ჩანდა, თუმცა, ქალს ასაკს რას გაუგებ... რაც მთავარია, იმ წუთს ისეთი სიფიცხითა და თავგამებებით არჩევდნენ რაღაცასა თუ ვილაცას, რომ ჩვენმა პაციენტმა ეგრევე იფიქრა, ეგენი უთუოდ ცოლ-ქმარი იქნებიანო.

თავად სულაც არ აპირებდა არავისთან, მით უფრო უცნობ ადამიანებთან, საუბრის გაბმას, აქ ისედაც ყველას თავთავისი მძიმე პრობლემა და გაჭირვება ჰყოფნიდა, ყველა საკუთარი სურვილით კი არა, იძულებითა და დარდით იყო მოსული, მაგრამ კაცმა — შეიტყო რა მის გვერდით მორიგი პაციენტის გამოჩენა — უცებ დაანება ქალთან ბაასს თავი, მკვირცხლად თვალი თვალში გაუყარა ახალ მეზობელს და ყოველგვარი შესავლის გარეშე იკითხა: შეგამჩნიეთ, რიგში ანკეტას როგორ ავსებდით. თქვენც ჩემსავით ემერტეს ელით, ხომ ასეა? ეს კითხვა — რომელიც, სხვათა შორის, იმთავითვე შეიცავდა საკუთარ თავში დადებით პასუხს — იმდენად უშუალოდ და სანდომიანი სახის გამომეტყულებით იყო დასმული, თითქოს კარგა ხნის ნაცნობები იყვნენ და მისი უპასუხოვად დატოვება, ჩვენი პაციენტის აზრით, ვერ იქნებოდა ტრადიციული ქალაქური წესით მთლად გამართლებული საქციელი, ამიტომ აიძულა თავს ამოეღერდა პასუხი „დიახ“ და ამით მოველოვება მოხდენად ჩათვალა, მაგრამ ვინ აცალა, რადგან სიტყვად უნოხას მის ახალ მეზობელს ვერავინ დააბრალედა.

— პირველად იკეთებთ?
 — კი, პირველად.
 — არცთუ სასიამოვნო პროცედურაა, ხმაურია, რადგან მანქანა სულ დრიგინებს. მაგრამ გაუსადისი არაფერია. მე ღამის ყოველთვე ვიკეთებ და ისე მიეჩვეი, რომ გადაჩვევა ალარ მინდა. საკმაოდ ინფორმაციული მეთოდია და შანსს არ ვკარგავ. აქ შესანიშნავი სპეციალისტები მუშაობენ, შესაშური!
 ამის გაგონებაზე პაციენტს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა და მეტად ჩაკვირდა მოსაუბრეს. მის ლაპარაკს ოდნავ უცხო ელფერი გასდევდა, თან სიტყვაში ბგერა შსავე ცოტა უცნაურად უქცევდა, შესე უფრო ნაადვად. ქართულად საკმაოდ საკმაოდ ლაპარაკობდა, მაგრამ იყო მაინც რაღაც ისეთი მის გამოთქმაში, თითქოს ქართული ენა მშობლიური არ უნდა ყოფილიყო მისთვის.
 — ყოველთვე? და რა აუცილებლობაა? — რადგან მოსაუბრე საინტერესო თემის შეხეი, დრო კი წინ საკმაოდ ბევრი ჰქონდა, მანაც გადაწყვიტა კითხვა შეებრუნებინა, — მე, აგერ, ერთხელ მომიწევს და, წესით, ყველაფერი გაირკვევა.
 ამ დროს ლაპარაკში ქალბატონიც ჩაერთო.
 — ბენიტო, რა გინდა ამ კაცისგან? ნუ შეუწუხე გული!
 — არა, არაფერია, ქალბატონო, არ ვწუხებდი. მაინც რიგში ვართ და განაწენს ველით, — პაციენტი ოდნავ გამხიარულდა კიდევ, — უბრალოდ ცოტა გამიკვირდა თქვენმა... მამატიეთ, მეუღლეა?
 — დიახ, მეუღლე გახალავთ.

— თქვენმა მეუღლემ, ამ პროცედურას ლამის ყოველთვის ვიძარებო. არადა, რამდენადაც ამიხსნის, და საკუთარ ჯიბეზეც კარგად ვიგრძენი, საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.

ამის გაგონებაზე კვლავ მამაკაცი ალაპარაკდა.

— ამ ამბავს ჩემზე უკეთ ვერაფერი აგისხნით... დაზღვეული ვარ თანადაფინანსების წესით და მუდმივად ვიმონებო ლიქვორებაზე, ნაზალურზეც და ოტოზეც, რადგან ცხვირიც შეიძლება იყოს ჩართული და ყურიც... ნება მომეცით, გაგაცნოთ ჩემი თავი. ბენიტო სიბელიუსი ქობულეთიდან და ჩემი გვარ-სახელისა ძალიანაც ნუ გაგიკვირდებათ. ეს კი ჩემი მეუღლე და ცხოვრების უცვლელი თანამგზავრი ნანა, ანუ ნენე, ჩემი ბურჯი და იმედი.

— ძალზე სასიამოვნოა. კი ბატონო, გავიცნოთ ერთმანეთი. ამირან რუხაძე, პენსიონერი თბილისიდან. თქვენი სახელი კი... ერთ დროს სახელი ბენიტო საქართველოშიც საკმაოდ გავრცელებული ყოფილა — ასე, გასული საუკუნის ოციან წლებში.

— ო, რა სასიამოვნოა, განათლებულ ადამიანს რომ წააწყდეთ, თუნდაც ასეთ დროსა და ვითარებაში... ეს დღეს იშვიათობაა... იცით, ბატონო ამირან, ცხოვრების გამოცდილებამ მასწავლა, რომ ყველაზე გულწრფელად ადამიანები საუბრობენ ტაქსისტებთან, პაციენტებთან ექიმის რიგში და კიდევ მატარებლებში, თუმცა მატარებლები ამოვარდა და მისი წესრიგიდან და ჩაბარდა წაბრუნდა მას დღეს, რაც თბილისიდან ბათუმში არა კუპირებული ვაგონები, არამედ ხალხით სავსე ელექტრიკები დადიან. იქ, იმ ჩახარულ სუბში, მაინცდამაინც ვერ დაილაპარაკებ... ისე, რომ იცოდეთ, ხშირად მინვეს ამ მარშრუტით მგზავრობა. ჩვენ ერთელთში ვცხოვრობთ და აქ მხოლოდ რეგულარული ემერტეს გასაკეთებლად ჩამოვდივართ. უფრო სწორედ ჩამოვდივარ მე, ჩემი ნენე კი დამყვება, რა ქნას, ოჯახის ბურჯი და მარტო ხომ არ მიმატოვებს ამხელა გზაზე.

— სიბელიუსი... მგონი, ფინეთში იყო ასეთი კომპოზიტორი. ოლონდ დიდი ხნის წინათ.

— სრულიად მართალი ბრძანდებით! — ეს სიტყვები მისმა მოსაუბრემ აშკარა აღვართოვანებოთ წარმოთქვა, — სავესტით შ(ქ)ესაძლებელია, რომ ის დიდი კომპოზიტორი ჩემი შორეული ნათესავიც კი აღმოჩნდეს, ოლონდ მე ამის შ(ქ)ესახებ არაფერი ვიცი... საქმე ისაა, რომ წარმოშობით არგენტინიდან ვარ, არგენტინა კი თავად დიდი ზომის იმიგრანტების ქვეყანაა. უფრო, ცხადია, ესპანელების, იტალიელების, გერმანელი ნაცისტებისგან გამოქცეული ებრაელებისა და რუსებისგან გამოქცეული გერმანელი ნაცისტების — ისეა იქ ყველაფერი ერთმანეთში ათქვეფილი და გადახლართული — მაგრამ ჩვენში სკანდინავიური წარმოშობის იმიგრანტიც ბლომადაა... ეტყობა, მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ. უფრო სწორად, ვიყავი ჩემს წინა ცხოვრებაში

— შესანიშნავად ფლობთ ქართულ ენას.

— არცაა გასაკვირი, უკვე ოცდაათ წელზე მეტია აქ ვცხოვრობ, ამ დროს ვიღაც ქვეყანაში... სავესტით საკმარისი დროა ენის დასაუფლებლად, თუ პატივს სცემ ადგილობრივ ტრადიციებს, რასაკვირველია... მე კარგა ხანია საქართველოს მოქალაქე ვარ და თქვენი პასპორტი მიდევს ჯიბეში.

— არგენტინისაც?

მამაკაციმ ოღონდ დააყოვნა პასუხის გაცემა.

— არა, არგენტინისა არა, აღარ... მოგიყვებით ჩემი ლიქვორეის ისტორიასაც, ჯანდაბას, თან ეს ჩემს მიერ მოქალაქეობის შეცვლასთანაცაა დაკავშირებული.

— იქნებ არ ღირდეს, ბენიტო? — ისეც ხმა ამოიღო ქალმა.

— არა, ღირს, ჩემო ნენე, გაიხსენე, რაც ახლახან ვთქვი მატარებლებსა და პაციენტებზე.

— ჰო, რა და შენი სიჯიუტის ამბავი ჩემთვის კარგადაა ცნობილი, ადამიანი ვერ გაგაჩერებს.

— მისმინეთ, ამიგო, — კაცი კვლავ პაციენტს მიუბრუნდა, — ჩემი ლიქვორეის ამბავი მხოლოდ ჩემი ბრაღია, სხვისი არავის... ლიქვორეა კი არა, წესით კარგა ხანია, ცოცხლებში არ უნდა ვენერო. დღეის გადასახედიდან მხოლოდ განგებამ და ჩემმა ნენემ გადამატანინეს, რაც გადავიტ-

ანე და რატომაც გადავრჩი და ვამძიმებ, აგერ, ჯერჯერობით დედამიწას... ნუთუ ოდესმე წარმოვიდგენდი, რომ სიცოცხლის მეორე ნახევარში ერთი ჩაუქი არგენტინელი ახალგაზრდა, რომელსაც ოდესღაც საკუთარი უკიდევანო ფანატიზმისა და ბავშვური მიმდობლობის გამო ხელეზი სისხლში შქონდა გასვრილი, დღეს პაციენტული ქართული ბურჯია და ქობულეთის ერთ-ერთი უმშვენიერესი კერძო სასტუმროს მფლობელი გავხდებოდი? ვერაფრით... განგება, სხვა სახელი ამას არ შქვია. თუმცა, ვტყუი, განგებას მაშინ კონკრეტული სახელიც შქონდა... მას ადმირალი ემილიო მასკერა ერქვა და შესაბამის სამხრეთსაც ატარებდა საზღვაო ოფიცრის კიტელზე. საშინელი ადამიანი, ვისი წყალობითაც დღეს ცოცხალი ვარ... საშინელი ადამიანის მიერ ჩადენილი სიკეთე — ეგეთებიც ხდება სამყაროში, — და ჩიხა კაცმა ეშმაკურად გაიღიმა.

— როგორ თქვით? საშინელი ადამიანის? რას გულისხმობთ? — იკითხა პაციენტმა.

ჩიხა კაცმა ჯერ რატომაც წამიერად ირგვლივ მიმოიხედა, მერე კი, როცა ცოლის, პაციენტისა და დერეფანში აქეთ-იქეთ მოსიარულე დაკვევებული ადამიანების გარდა ირგვლივ ვერაფერი დალანდა, ისევ სხაპასხუპით განაგრძო ლაპარაკი, ოლონდ ოდნავ დაბლა დაუნია ხმას.

— როდესაც წლების მერე არგენტინაში სასამართლო პროცესები გაიმართა და ხუნტის წევრები სამართლიანად დაიხაჯნენ, მას არაფერი უღიარებია, სამშობლოს პატიოსნად ვემსახურებოდიო... ბოლოს მაინც ბევრი სიმხეცე დაუმტკიცდა და მასაც მთავრად სამუდამო, მერე გამოუშვეს, მოგვიანებით ისევ ჩასვეს, ბოლოს კი გიჟადაც შერაცხეს, ციხეში რომ არ დაეღია სული... პირველი ხუნტის დროს კი მისი ვარსკვლავი ზენიტში იყო. მე მაშინ, ოცი წლის ბიჭი ვიყავი, ორმოცდათექვსმეტში ვარ დაბადებული.

— სამი წლით ჩემზე უმცროსი ბრძანებულხართ.

— მართლა? თითქმის თანატოლები ვყოფილვართ. მაგრამ ჩვენ შორის ალბათ კიდევ ის განსხვავებაცაა, რომ მე მაშინ, თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ, მონტონეროსის წევრი ვიყავი. გაგიგიათ მონტონეროსი?

— მართალი გითხრათ... თუმცა, რაღაც, მგონი, კი გამიგია. სამოცდაათიანი წლების ფიშტიოანი პარტიზანები თუ რაღაც მაგდაგვარი... ოდესღაც, ძველ ცხოვრებაში, მეც კი გკითხულობდი გაზეთებს, — პაციენტს გაეღიმა.

— ჰო... მონტონერო წმინდა არგენტინული ფენომენი გახლდათ... დიახ, სასტიკი შეიარაღებული დაჯგუფება, ჯერ კიდევ იქამდე გაჩენილი, ვიდრე ხუნტა მოვიდოდა ხელისუფლებაში. ერის ლიდერი პრეზიდენტი პერონი ურჩმა სამხედროებმა დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ ორმოცდაათიანებში, გააგდეს ქვეყნიდან და აუკრძალეს პოლიტიკური საქმიანობა, მაგრამ მისი ავტორიტეტი არსად გამქრალა და სამოცდაათიანებში ის ტრიუმფით დაბრუნდა ქვეყანაში... ჩვენ კი მაშინ უზრალო პატრიოტი პერონისტები ვიყავით და ნამდვილ ომს ვანარმობდით რეაქციული არმიისა და პოლიციის წინააღმდეგ. ჩემი ჯგუფის, ასე ვთქვათ, ვინრო სპეციალიზაცია მდიდარი ადამიანების, უფრო ხშირად ბანკირებისა და მწარმეების, გატაცება იყო... ოლონდ გაითვალისწინეთ, რომ პერონიზმი არგენტინაში დაახლოებით იგივეა, რაც რუსეთში და თქვენთან მარქსიზმი იყო. აი, ტროცკისტები და ლენინელ-სტალინელები ხომ კომუნისტები იყვნენ, მაგრამ მაინც ხოცეს ერთმანეთი... პერონიზმიც ასე იყო — უკიდურესობების კონგლომერატი, მემარჯვენეებიდან მემარცხენეებამდე, თავად პერონი კი ძალიან უცნაური კაცი — ორმოციან წლებში ხალხში ძალიან პოპულარული ვიქტას ქმარი, რაღაც ვიქტა მისტვის, რაღაც ჩემი ნენე ჩემთვის... ნაცისტების არგენტინაში ჩამომყვანი და მათი ოქროებით ფანტასტიკურად გამდიდრებულიც და, იმავდროულად, ჩვენი დემოკრატიის მამაც და არც ამერიკელ გრინგოობთან ცდილობდა, ზედმეტად დაეცაბა ურთიერთობა... მოკლედ, სახალხო ლიდერი იყო, თუმცა საკუთარ თავსაც არ ივინყებდა, ფულს და ოქროსულობას ვეღარ ითვლიდა, იმდენი შქონდა, ეს კი სამხედროებს არ მოსწონდათ... მაგრამ ვიქტა

ძალიან ადრე გარდაიცვალა და გამოეცალა ხელიდან, პერონმა კი უცოლოდ დიდხანს ვერ გაძლო და უღვე ემიგრაციაში, პანამაში ყოფნისას, ვინმე მოცეკვავე ისაბელა მარტინესს დაუკავშირა თავისი ცხოვრება... ჰოდა, სამოცდაათიანებში თავად მეორეჯერ რომ გახდა პრეზიდენტი, როგორც ჩანს, სიკვდილის მოახლოება იგრძნო, მოასწრო და ეს ისაბელა ოფიციალურად დაგვისვა ვიცედ და თავის მემკვიდრედ... ამიტომ პერონის გარდაცვალებისთანავე პრეზიდენტობა მის მეორე ცოლს სავსებით კანონიერად ჩაუვარდა ხელში, მან კი ისე არია ქვეყანა, რომ სამხედროებმა საკმაოდ მალე მოასრიალეს, ვეღარ აიტანეს სრული ქაოსი, რომლის შექმნაში ჩვენი მონტონეროსიც ძალზე აქტიურად მონაწილეობდა... მერე კი დაიწყო ხუნტის საშინელი წლები... ხომ არ დაგვალაფთ?

— არა, რას ამბობთ! პირიქით დიდი ინტერესით გისმენთ. ჩემი ემერტეც კი დამავინწყეთ.

— ერთი სიტყვით, ჩემს ხელებზე პირველი სისხლი ჯერ კიდევ ხუნტამდე გაჩნდა, მაგრამ სამხედროებმა მოახერხეს და ამოგვდეს ლაგამი... ძველებურად აღარ გვაბოგინებდნენ.

— არგენტინის ხუნტაზე აქ ნაკლები გვსმენია, ჩემს სიტყვაზე აქ ჩილე უფრო იყო მოდაში, აღივნივე, რამე...

— ჰო, იქაც დიქტატურა, პინოჩეტი... ჩილეს თავისი სპეციფიკა შქონდა, ჩვენ ჩვენს, სისასტიკეში ვეჯობთოდა ერთმანეთს... ერთი სიტყვით, სამხედროებმა ჩვენი ჯგუფი სწრაფად აიყვანეს... მაშინ იცით, ჩვენთან როგორ იყო? სამხედროების შიდა ომეორეობაში შოლიცია საერთოდ არ ერეოდა. მათ წინასწარ აფრთხილებდნენ, რომ არ გამოჩენილიყვნენ და ხელი არ შეეშალათ სამხედროებისთვის. მარტო ბუენოს-აირესში ათასობით ადამიანი მოიტაცეს იმ წლებში, დამნაშავეც, უდანაშაულოც... იქვე ვერ გააქრობდნენ, რადგან შეთქმულთა ახალ-ახალი გვარები სჭირდებოდათ და სადღაც ხომ უნდა დაეკითხათ, სანამ მოსპობდნენ... ციხეებში ამისთვის არ ვარგოდა — თუმცა, ზოგჯერ მათაც იყენებდნენ... ამიტომ მოტაცებულებს მალავდნენ სამხედრო სკოლებში, ყაზარმებში, რაღაც შემთხვევით შენობებშიც კი... ერთ-ერთი ასეთი — მე სწორედ მანდ მოვხვდი — იყო სამხედრო-საზღვაო სკოლა ბუენოს-აირესში... ისე, ჩვენიც, იმ სკოლაში დამწყვედულთათვის, აღარც სამართალი არსებობდა და აღარც პოლიცია, ყველა ეს მოტაცება და მკვლელობა მათ მიღმა ხდებოდა. პოლიცია მთლიანად სამხედროების განკარგულებაში იყო, სასამართლოები კი ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ... მოკლედ, მე ერთ-ერთი იმათგანი ვიყავი, ვინც კანონგარემოდ იყო გამოცხადებული. იქ ჩემისთანებს დიდხანს არ აცოცხლებდნენ, წამება ჩვეულებრივი მოვლენა იყო და რამდენიმე დავითხვის შემდეგ ადამიანი ქრებოდა... როგორც მოგვიანებით, უკვე ხუნტის დაცემისა და მალე-ინების ომში ინგლისთან დამარცხების შემ-


დეგ გაირკვა, ამ საზღვაო სკოლის ნარკოტიკებით გაბრუნებულ პატიმრებს, როგორც წესი, თვითმფრინავიდან ოკეანეში ყრიდნენ, რამდენიმე დღეც და მეც უთუოდ იგივე მქოლიდა, მაგრამ... ამ დროს ჩაერია განგება ხუნტის მმართველი სამეულის ნევრის, ადმირალ ემილიო მასერას სახით.

ჩიხა კაცი წამით შევკვნა, მერე კი ისევ სხაპასხუპით განაგრძო თხრობა, თითქოს ეშინო რეგისტრაციულიდან მისთვის უცებ არ დაეძახათ და არ შეეშალათ ხელი.

— საქმე ისაა, რომ სიტყვაში წლებში ადმირალ მასერასა და ბიძაჩემს — თავად საზღვაო ფლოტის ოფიცერსა და საკმაოდ მდიდარ მინათმფლობელს, — ერთ გემზე უმსახურაობა და უმეგობრიათ კიდევ. ბიძას, დედაჩემისგან ჩემი აყვანის შესახებ რომ შეიტყო, კაცურად უთხოვია ადმირალისთვის: ეგ ბიჭი მამუქე და სიცოცხლის მოლომდე შენი ვალი გამყვებაო... იმასაც არ დაუშალავს და პირში მიუხლია: გეცოდინება, რომ მონტონეროსის აყვანილი ტერორისტები ჩვენ საიდუმლო ცენტრებში დიდხანს ვერ ძლებენო. ნუ, იქნებ, ჯერ ცოცხალია, უპასუხია ბიძაჩემს, რა-რა და ეგ შენთვის ადვილი გადასამონებელიაო. ჰო, კარგი, უბრძანებია ადმირალს, ჯანდაბას, ასეთ თხოვნას ასეთ მძიმე დროს სხვას არ შევესრულებდი, მაგრამ ჩვენი ძველი ძმობის აღსანიშნავად... ოლონდ ერთი პირობით: ეგრევე უნდა დატოვოს ქვეყანა, არავითარი ოჯახის მონახულება და მსგავსი სანტიმენტები, თუ ცოცხალი აღმოჩნდა, პასპორტსა და ავიაბილეთს იქვე ქუჩაში, ჩაუდებენ გულისჯიბეში და ჰაიდა აეროპორტში... აქვერავის ვათქმევინებ, რომ ჩემივე დადგენილ წესებს თავადვე ვარღვევ. რაზეა ლაპარაკი, მე თავად გავყვები და ჩავაგდებ ესპანეთში მიმავალ ლანინერში, საკმარის თანხასაც გავატან, დედამისს არც კი შევატყობინებ, მერე გავახარებ, ესპანეთში ცოცხალი რომ ჩავა, არაა პრობლემა... ბიძაჩემი კი ფულიანი კაცი იყო, ამაში მაინც გამიმართლა.

— შენთვის სულაც არაა სასარგებლო ამ ყველაფრის გახსენება, — ჩართო სიტყვა ნენემ.

— მგონი, პირიქითაა, დავინწყება იქნებოდა უსარგებლო უმადურობა, არ მინდა, ეს ყველაფერი ჩემთან ერთად გაქრეს... — და ჩიხა კაცმა განაგრძო თხრობა, — ზუსტად წინა დღეს ჭკუსი, ასე ვთქვათ, უკეთ სასწავლებლად იმდენი მირტყეს ნიხილი თავში სამხედრო ჩექმით, რომ განთავისუფლებამ სულზე მომისწრო... მერე ქუჩაში დამაგდეს და რაღაც თეთრი ფერის მანქანაც მახსენდება ზუნდოვანად, რომლის უკანა სკამზე ჩანთასავით შემაგდეს, მერე კი გონება დავკარგე... გონზე რომ მოვედი, უკვე თვითმფრინავის ტრაპთან ფეხზე ვიდექი, ცემის გარდა, როგორც ჩანს, რაღაც წამლითაც გამაბრუნეს... ტრავმატული წარმოშობის ლიქვორეა თურმე მაშინვე მქონია გარანტირებული, თუმცა მან მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იჩინა თავი.



დასასრული

ბენიტი სიბელიუსმა რამდენიმე წამით შეისვენა, თითქოს რაღაც გაისხენაო, შემდეგ კი განაგრძო.

— მერე ესპანეთი იყო. მადრიდში ბიძაჩემის მიერ გადმოირიცხული მოზრდილი და სხვა ქვეყანაში დასაფუძნებლად საკმარისი თანხა დამხვდა, სიტყვის კაცი იყო და ვერ დავაღლატებდი. ძველი მეგობრები ისედაც ველარასოდეს მენდობოდნენ და არგენტინა საბოლოოდ წარსულში დავტოვე... ესპანეთში თანდათანობით გონს მოვედი, ცოტა ხანში თავის ტკივილებმაც გამიარა, რა ვიცი, წლების მერე თუ შემოიბრუნებდა... ზღვისპირა მალაგაში დავსახლდი, მომავალზე დავიწყე ფიქრი, და სწორედ იქ გადავეყარე ერთ ლამაზ ემიგრანტ ქალბატონს შორეული საქართველოდან, ჩემი ნენის, — და ჩია კაცმა დაუფარავი სითბოთი გადახედა ცოლს, — მაშინ მოხუცებს უფლებს და ფულს ასე აგროვებდა, მერე ნანის გასაქირავებელ ბინებში აბანდებდა და თავად აქირავებდა რაღაც მარჯით. ასე გავიდა მოგებაზე. მე კი ახალი ცხოვრება უნდა ამეწყობოთუნდაც პატარა, მაგრამ მაინც კაპიტალი... ერთ კაფეში ვსვამდით ყავას საღამოობით, ჩვენს გასაჭირს ვუზიარებდით ერთმანეთს და თანდათანობით ასე დავმეგობრდით... ვხვდები, პატოსანი მშრომელი ქალია, ბიზნესის ნიჭი აქვს, მომწონს, მოვეწონე, მერე ჩემი ფულია წავეხმარე და ასე და ამგვარად შეიქმნა ჩვენი ოჯახი, ამიგო.

— საქართველოში მსურდა დაბრუნება. თავად ქობულეთში ვარ დაბადებულ-გაზრდილი და ესპანეთში თავიდანვე იმ განზრახვით წავედი, რომ როგორმე დამეგრვებინა თანხა ქობულეთში სასტუმროს გასახსნელად. მაგ საქმეში ბენიტი მართლაც ძალიან დამეხმარა. მართო ვერ გავეჭავი, — ხმა შეანია ქმარს ქალბატონმა.

— თუ რამეს არ ვნანობ ცხოვრებაში, სწორედ ეგ დახმარებაა... დაიხ, თანდათანობით სასტუმროს ბიზნესს მივეყვით ხელი, მალაგაში რაც ვინსვლიეთ, აქ გამოვედგა. სხვათა შორის, ძალიან გავიხარებდა ზაფხულში თუ გვესტუმრებოდა, სულ ერთი. ოჯახით თუ მარტო. ემერტეს საქმოს ნევრებს მზად ვარ ნომერი ნახევარ ფასში მივაქირაო... — კაცს ისევ გაეღივინა, — თავიდან სასტუმროს ჩემი გვარი მივეცი, რადგან „სიტელიუსი“ თითქოს სოლიდურად უღერდა, მაგრამ ამ ქობულეთში დღეს ყველა ბენოს მეძახის და... მოკლედ, ამჟამად ჩვენი სასტუმროს სახელია „ძია ბენო“. კობტა ოთხსართულიანი შენობაა აღმავლებლის ექვსასიანი ნომრებში, ხმაურთან ცენტრიდან მოშორებით, „როშინი“ სიახლოვეს... ქუჩას გადაჭრით და ეგრევე ჯერ სანაპიროზე გახვალთ, მერე კი ფართო და კარგად მოწყობილ პლაჟზე. აქ ყველაზე სუფთა ზღვაა ქობულეთში... ბოდიში, მაგრამ მაინც უნდა გავებდო და გკითხოთ: თქვენ თუ მოგხვედრიათ ოდესმე პოლიციური ჩექმა თავში?

— რასაკვირველია, არა! ღმერთმა ასე ჯერ არ გამწირა, — უმალ და ცხარედ იუარა პაციენტმა, — ჩვენთან ასეთი რაღაცები ოცდაათიანი წლების მერე არ მომხდობა, თუმცა... ნუ, ახლა, ცალკეული შემთხვევები მერეც კი იქნებოდა... — და მან აღარ გააგრძელა.

— ჰო, რა ვიცი... მსმენია, რომ მსგავსი რაღაცეები აქ შემდგომშიც მომხდარა, თან არცთუ დიდი ხნის წინათ, ოლონდ, ცხადია, არა იმ მასშტაბით, როგორც ოდესღაც ჩემი სამშობლოში... ისე, ლიქვორეა მარტო მე კი არა, მთელი დედამიწის წირს... ნესიერად თუ არ მოვიქცით, მანაც შეიძლება დაკარგოს მთელი თავისი ლიქვორე: ზღვები, ოკეანეები, ტბები, მდინარეები... მზეს პოლიტიკა არ აინტერესებს.

— ნამეტანი პესიმისტური პროგნოზია. ძალიანაც ნუ აჰყვებით გრეტა ტუნბერგსა და მის ეკოლოგიურ პატრონებს. ეგ ამბავი გველის ასე ოთხი მილიარდი წლის შემდეგ, — პაციენტს გაეცინა.

— ჩემი ვარაუდით, კლიმატური ცვლილებები და გლობალური დათბობა ისეთი ტემპით მიდის, რომ მილიარდი კი არა, სულ რაღაც ორასი ან, იქნებ, სულაც ასი წელი და მეყოლეთ შავი ზღვის გარეშე... გრეტა გრეტად, დათბობა კი დათბობად.

ამ დროს რეგისტრატორიდან, როგორც იქნა, მოისმა მჭექარე ხმა: სიბელიუსი ბენიტი, მოზრდილით გამოკვლევაზე! ნყვილი სასწრაფოდ ნამოძგა. მამაკა-

ცმა პაციენტს დამშვიდობების ნიშნად სავიზიტო ბარათი გაუწოდა და მშვიდად უთხრა:

— დადგა ჩემი განკითხვის ჟამიც... იმედია, კვლავაც შევხვდებით. გიტოვებთ სავიზიტო ბარათს მთელი ჩემი კოორდინატებით. თუ ქობულეთს ამ ზაფხულს გვენევი, მერწმუნეთ, „ძია ბენოზე“ უკეთესად გივხვდება ვერ იპოვით, ხოლო რადგან ბედის ნყალობით ლიქვორელთა ერთობაში შევდივართ, შეღავათიანი ფასი ჩემზე იყოს. გამოგიტყდებით, ქობულეთის დიდი პატრონი ვარ. აბა, ღმერთი თქვენკენ და ჩემკენ! — და სულ მალე ბენიტი სიბელიუსი კვეთის თანხლებით საპროცედულო ოთახის სიღრმეში გაუჩინარდა.

კიდევ კარგი, კლაუსტროფობია არ ჭირდა და ტომოგრაფის „კატაფალკო“ უმოდრაოდ მწოლიარე მშვიდად და უდრტინე-



ლოს იტანდა პროცედურას. მანქანა მართლაც ხშირ-ხშირად იცვლიდა რეჟიმებს და უმონყოლოდ დრიგინებდა, როცა წყალბადის ატომების გამჭოლი ნაკადები სხვადასხვა მიმართულებითა და კუთხით უტევდნენ მის მამულს სხეულს, რაც საბოლოო ჯამში ტვინის იმგვარ გრაფიკულ სურათში უნდა ასახულიყო, რომელიც განყოფილების გამგეს სწორი დიაგნოზის დასმის საშუალებას მისცემდა. ოდნავ უშლიდა ნერვებს ის გარემოება, რომ აღქმის თვალსაზრისით დრო ამ დრიგინისას ძალზე ნელა მიიზღახნებოდა და მასაც რაღაცით უნდა შეეგოს სივარდი და გაერთო თავი. ჯერ საკუთარ თავთან ჭადრაკის ზეპირად თამაში სცადა, მაგრამ ეს არ გამოუვიდა, რადგან გონება მაინც აბნეული ჰქონდა და უკვე ხუთიოდე სვლის შემდეგ უჭირდა პოზიციის დამახსოვრება. მაშინ მეხსიერება დაძაბა და წარსულისკენ წაიყვანა ფიქრი... როგორ უთხრა ამ ახალგაზრდობაში ქობულეთშია ძია ბენომ: თავში ხომ არ მოგხვედრია პოლიციელის რკინის ჩექმაო?.. არა, რკინისა არა, მაგრამ ის კი გაისხენა უნებურად თუ როგორ წაუთაქეს თავში. მართალია, შედარებით მსუბუქად და ლაღად... იოლად გადარჩა — სამსახურის დაკარგვა და საკმაოდ მსხვილი ჯარიმა აკმარეს თუ ამას გადარჩნა ჰქვია, თუმცა ყველაფერი შედარებითია... ნუ, ლიქვორის ამის გამო, ალბათ, ვერ გაასხამდა ტვინიდან წლების შემდეგ, თუმცა რა იცო...

თხუთმეტ წელზე მეტი იქნება გასული მას მერე და მაინც რა ახალგაზრდა და ძალ-ღონით სავსე იყო მაშინ! ჯერ ხომ ის ოქროს ხანა გრძელდებოდა მის ცხოვრებაში, როცა აკადემიურ კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა, ხელფასიც ერიცხებოდა ყოველთვიურად ანგარიშზე, სამეცნიერო საბჭოს წევრიც იყო და თავადაც ეკავა ერთ-ერთი ნაკლებად მნიშვნელოვანი განყოფილების გამგის თანამდებობა, რაც, სხვათა შორის, იმისაც გულისხმობდა, რომ მატერიალურად აგებდა პასუხს მის დაქვემდებარებაში რიცხულ ინვენტარზე. მაინცდამაინც მაშინ მოუსწრო იმ საბედისწერო სამეცნიერო რეფორმის დასაწყისმა... კარგად ახსოვს — რა დაავიწყებს! იმ კარნავალურ განწყობას, რომელიც იმხანად სუფევდა ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში. ერთი პირობა, თავადაც აიტაცა ამ განწყობის ეფორიულმა ტალღამ... ეს ის პერიოდაა, როცა ქვეყანას ერთმა ნარემატებელმა ომმა უკვე გადაუარა, მაგრამ სისტემა არ ჩამოშლილა და სამეურნეო

დარგება (და ისეთ სპეციფიკურ სფეროსაც კი, როგორც მეცნიერება), გულანთებული და პროგრესული — ასე მოჩანდა შორიდან — ახალგაზრდობა ღამის სამუდამოდ დაეპატრონა სამართავად... როგორც ნესი, რეფორმაციის ფრონტმენებს გვარებში კი არა, შემოკლებული სახელებით ისინიებდნენ და მაინც ყველას ესმოდა თუ კონკრეტულად ვინ იგულისხმებოდა.

იმ დილით სამსახურში მისული სახტად დარჩა. ოთახის (მთელი განყოფილება კი ამ ოთახში ეტეოდა) წინა საღამოს მის მიერვე დაკეტილი კარი ღია დახვდა, კლიტე კი ახსნილი. გასაღები, ცხადია, მხოლოდ მას არ ჰქონდა, დირექტორშიც ჰქონდათ ასლები, მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ ჯერ კიდევ გუმინ ოთხი კომპიუტერი ედგა განყოფილებაში, მათ შორის ერთი ახალი და ძვირი, თან კი ყველა პიროვნულად მას ენერა, როგორც მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, ახლა კი არც ერთი ადგი-

ლზე არ დახვდა. ატეხა, ცხადია, ვიშვიშ... მაშინ ერთობ პოპულარული იყო ლოზუნგი, რომ ქვეყანაში გასაყვია ყველაფერი სინდისის გარდა... მოგვიანებით გაიკვავა, რომ მაშინდელი ქართული ეკონომიკის ყოვლისშემძლე მთავარსარდალს სხვა „მოკლესახელებიანებთან“ შეთანხმებით გაუცია სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტების დირექტორებისთვის — მცირე გამოაკლისების გარდა — ბრძანება სასწრაფოდ დაეცალათ ძვირად ღირებული შენობები (იგულისხმებოდა, რომ ინსტრუქციის ზუსტად დაცვის შემთხვევაში პირადად დირექტორებს არაფერი დაემუქრებოდათ, მათ ინსტიტუტებს კი რეფორმის ფარგლებში მიუერთდნენ რომელიმე მოწინავე უნივერსიტეტს და პერსონალის ლოიალურ ნაწილსაც დატოვებდნენ შტაბში). მათი ინსტიტუტი ქალაქის ცენტრალურ უბანში იყო განლაგებული და თავად შენობა უკვე გამზადებული ყოფილა პროფილის შესაცვლელად და სარფიან ფასში გასაყვია, თუმცა ამ გეგმის შესახებ დღევანდელმა პაციენტმა, რასაკვირველია, მაშინ არაფერი იცოდა, ან ვინ კითხავდა... თუმცა, ეს ყველაფერი მისთვის ჯერ კიდევ თეორია იყო, რადგან კომპიუტერების უცარი გაქრობის პრაქტიკა გაცილებით მეტად აინტერესებდა... მოგვიანებით ისიც გაიკვავა, რომ იმ სისხამ დილით ინსტიტუტის კარს სატვიტო მანქანა მიაციენეს და კომპიუტერები და ავეჯის დიდი ნაწილი სასწრაფოდ — ისე, რომ საქმის კურსში მხოლოდ რამდენიმე ადამიანი იყო ჩართული (თავისთავად ცხადია, რომ დირექტორს ყველა ოთახის გასაღები თავად ჰქონდა და ისიც ამ ინსტიტუტის ნაწილი იყო) — გადაიტანეს ქალაქის შორეულ უბანში მდებარე რაღაც სპეცსაწყობში.

ნუ, დაიკარგა და დაიკარგა, ეგეთები მიაქვს წყალსა და ნიაღვარს დიდი რევორმების დროს? მისი მოპარული და სახლში წაღებული ხომ არ იყო, რა უნდა ექნა?... მაგრამ რამდენიმე დღეში უცხად გამოძიებულმა რომ გამოიძახა პროკურატურაში — კია ბიჭი იყო და არ მისულიყო — და იკითხა, გამჭრალ კომპიუტერებზე რას გვეტყვი, მაშინ კი ნაუხდა ნირი... მოუყვა, როგორც იყო საქმე და რომ თავადაც შეშოთებულად და ამის ასე დატოვებას არ აპირებს, მაგრამ იგივე გამოძიებულმა მოკლედ მოუჭრა: „ჩვენ ვიცით, რომ პირადად თქვენ ამისგან არანაირი და სარგებელი არ გავაჩნიათ და ერთი მეცნიერი კაცი ხართ, ისიც კი ვიცით, რომ სამი მოძველებული ჯარით იყო, მაგრამ ერთი ახალი

კომპიუტერი მართლაც გაქრა, საწყობშიც ვერ აღმოვაჩინეთ, ვიღაცას ხელი წაუცდა და იხირო, ჩვენ კი გვაქვს ეჭვი სახელდობრ ვინ, მაგრამ... მოკლედ, იმ საეჭვო კაცზე ზემოდან მიგვიტოთეს, მისი გვარი არც ახსენითო... ხომ ხედავთ, არაფერს გიმალავთ... ეგ კომპიუტერი კი ისეთ თქვენ განერიათ და ამიტომ, თუ გსურთ, რომ ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდეს, მისი ფასი მაინც თქვენი გადასახდელია, რამეთუ, ალბათ, არ მოინდომებთ კორუფციასთან ამ გაგანია და დაუნდობელი ბრძოლის დროს გამოძიება რაღაც სერიოზული სანქციებით მოჰყვას. ასე კი... მესმის, რომ ნვირლიანია, მაგრამ სხვადასხვა არ გამოვა ამ საქმის ჩემს მიერ თაროზე შემოდებაო...“ კი დაუჯდა მაშინ გამოძიებლის ეს სიკეთე ათასხუთასლარიან ჯარიმად და ნერვების თხლემად, მაგრამ უკვე იმდენი სმენია იმაზე, თუ რას ნიშნავდა „ყოფით კორუფციასთან დაუნდობელი ბრძოლა“, რა მეთოდებით მიმდინარებდა იგი და რითი შეიძლება დამთავრებულიყო პირადად მისთვის ზედმეტი სიჯიუტე, რომ ჯარიმის უდრტინეველად გადახდა ამჯობინა, ხოლო გულში ამირანი რას მღეროდაო... საქმე მართლაც დაიხურა და ვერც ქურდი იპოვეს (არც უძებნიათ), მაგრამ ლოიალური თანამშრომლის სახელი მაინც ვერ შეინარჩუნა, ინსტიტუტის უნივერსიტეტთან გაერთიანებას მისი სამუშაო ადგილიც შეენიარა და ასე გახდა უმუშევარი მაშინ, როცა პენსიონი გასვლად ჯერ კიდევ წლები იყო დარჩენილი... მიდი და შენით იტრიალეო... კი, პოლიციურ ჩექმას არა, მაგრამ თავში კაი ნათაქებას კი ნააგავდა ეს ყველაფერი.

ორ დღეში, როდესაც პაციენტმა ხელზე მიიღო ემერტეს დასკვნაც და დიაგნოზის ელექტრონული ვერსიაც, გადამწყობა კვლავ მიეკითხა განყოფილების გამგისთვის. ისიც უკვე სრულ მზადყოფნაში დახვდა — მარტო იჯდა მაგიდასთან, მის გვერდით კი ღამის მუდმივად მყოფი ექთანი ან ჯერ არ მოსულიყო, ან გასულიყო რაღაც საქმეზე. მისალმებაზე დიდი დრო არ დაუხარჯავთ.

— ემერტეს შედეგებს ჯერ კიდევ გუმინ გავეცანი. ინტრარანიალური ჰიპოტენზია, — და განყოფილების გამგეს სახეზე რაღაც სიახლოვეების მაგვარი დაეტყო, — ასეც ვვიქრობდი.

— ანუ? — ანუ დაბალი შიდაქალური წნევა... ოთხმოცდაათ პროცენტ შემთხვევაში თვალის თანდათან უზრუნველბა ძველ მდგომარეობას და სიემდე თავისით ქრება. საშუალოდ ორ თვეში ინტენსიური პროცესი... შენი პროგნოზი დადებითია და კლასიკური ლიქვორეა არ გიდასტურდება. შენი წამალი არის დრო და კოფეინის ტაბლეტები, რომ როგორმე ავნიოთ შიდა წნევის საშუალო მაჩვენებელი. ასე რომ, ოჯახს, მალე რომ ჩამოგივთა, ძალიანაც ნუ შეაშინებ იმით, რომ რაღაც პერიოდი ქუჩაში სიარული დახუჭული მარჯვენა თვალით, ნელა და ძალიან ფრთხილად მოგიწევს. საბედნიეროდ, ყველაზე ცუდი მოლოდინები გა-მოირიციხა.

— ნუ, რას ვიზამ, მოვითმენ... რაღაც მინდოდა მეკითხა შენთვის.

— გისმენ ყურადღებით.

— კაცი შემხვდა იქ დაბლა რიგში. ვინმე ძია ბენო არგენტინიდან... ზვერი მელაპარაკა, შენც გაქო. განათლებული, თუმცა უცნაური კაცის შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. მაგასაც ჩემნაირი ჭირს რამე? განყოფილების გამგემ იჭყენული მხერა სტყორცნა პაციენტს და უნებურად ჩაეცინა.

— კიდევ კარგი მარტონი ვართ და მკაცრად გასულია... თორემ რას ისწავლიდა ჩემგან? როგორ არ უნდა დაიცვა ეთიკა და საექიმო საიდუმლოება?

— მესმის, მაგრამ იმდენი მომიყვა არგენტინაზე, საკუთარ ლიქვორეაზე და ქობულეთზე, თან თავად დამიწყო საუბარი, რომ...

— შეგაღონა, არა? უყვარს ბევრი ლაპარაკი... კაი, ორ სიტყვას მეც გეტყვი, ვეცდები, არ გადავაჭარბო... შენი შემთხვევა სულ სხვაა. თავის წარსულზე შენთვის არაფერი დაუმალავს, მას მართლაც ჰქონდა დადგენილი ტრავმული ლიქვორეა, ოლონდ ჩვენ რამდენიმე წლის წინათ ვუ-მკურნალეთ და დღეს პრაქტიკულად ჯანმ-

რთელია, თუმცა ბოლომდე არ სჯერა ამისა. რაც მას მართლა ჭირს, ამას უფრო ფსიქოგენური ლიქვორეა შეიძლება ეწოდოს... უფრო ფსიქიატრის პრობლემაა, ვიდრე ჩემი, მაგრამ სადაზღვევო კომპანიასთან კონტრაქტი ისე ეშმაკურად აქვს შედგენილი, რომ თანადაფინანსების ხარჯზე ნელინადმი რამდენჯერმე ემერტეს გაკეთების უფლება აქვს და როგორც კი მოეძალდება იმის შიში, რომ ლიქვორეა უბრუნდება და ბრიადავს, მორბის ჩემთან გამოკველვებზე... უარით ხომ არ გავისტუმრებ? მართლა, შენც ხომ არ დაუპატიჟიხარ თავის სასტუმროში?

— კი, დიდის ამბით.
 — ეგ ბენო, იცოდე, კაი კაცია. თან სულ სინდისი ანუხებებს დედამინის სულ სხვა მხარეს ოდესლაც ჩადენილი ცოდვებისთვის და... მოკლედ, წინა ზაფხულს მე მისი დაპატიჟება მივიღე და არც მინანია. შესანიშნავად დავისვენეთ მე და ჩემმა ცოლმა და მართლაც ნახევარ ფასში მოგვაქირავა ნომერი, სულ რაღაც ორმოცდაათ ლარად. აგვისტოს სეზონის პირობაზე ეს ქობულეთში მუქთაა, ადგილი კი საუკეთესო. ზაფხულში დასვენება არც შენ თვალს აწყენდა. ამიტომ გირჩევ ისარგებლო მისი წინადადებათ. სხვათა შორის, მე გამოვრება ვაპირებ...

— ჩემები რომ ჩამოვლენ ყველაფერს მოვუყვები და ვნახოთ... ცხადია, ისევ მოგაკითხავ.

— როცა გინდა და მოიცლი. ნებისმიერ შემთხვევაში კვირაში ერთხელ დამირეკე ხოლმე და საქმის კურსში ჩამაყენე. იცოდე, გაგივლის, ყველაფერი კარგად იქნება.

საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, როცა თბილისი-ბათუმის „შტადლერი“ სურამის გვირაბში შესრილადა. შედარებით კომფორტული მესამე ვაგონის მეშვიდე რიგის ორ სავარძელში ერთმანეთზე გადაფსკენილი ჩიტუნების დარად თვლემს ორი ზრდასრული ადამიანი: დღის განცდებით გააღლიანებულ მშობრივ ნაცნობ ნაცნობი. თავიდანვე ამ ხუთსაათიანი მატარებლისთვის უნდა მივსწროთ — გათვლა ჰქონდათ ასეთი, — რათა „ნიუ ჰოსპიტალი“ ჩატარებული მორიგი კვლევის შემდეგ საღამოს ათი საათისთვის მშობლიურ ქობულეთში ბიჭი დახვედროდათ ჯვითი და მერე ჰერი-ჰერი „ძია ბენოსკენი“. რა სჯობს საკუთარ ლოგინს საკუთარ სახლში!

ვინრო სავარძელში უშნოდ მოკალათებულ ძია ბენოს კი ანაზღუდავს ესიზმრება, რომ სურამის გვირაბში კი არა, ისევ ტომოგრაფის გვირაბში უნდა შეიყვანონ. უძალიანდება, რაც ძალა და ღონე შესწევს, მაგრამ ამაოდ, და არაა გამოსავალი ამ გვირაბიდან. ერთი კია: მარტო კი არა, მასთან ერთად მთელი დედამინაც შედის ამ გვირაბში, ვითარცა გალაქტიკის ცენტრის უბოშო შავ ხვრელში, მთელი თავისი ლიქვორებისა, შავი და თეთრი ზღვებით, ატლანტის ოკეანით, მდინარე პარანათი და ტანგანიკისა თუ პალაისტომის ტბებით... ყველა ერთია სინამდვილეში... მალე შავი ხვრელის მანქანაც უმოწყალოდ ადრიგინდება, თუმცა მანაც არ ეშინია, რადგან ამ მძიმე წუთში მისი ნენეი, როგორც ყოველთვის, მის გვერდითაა, არ მიატოვებს... გვერდით კი არა, მთელი სახითაა გადაწოლილ-გადაფარებული მის მკერდსა და მკლავზე, რათა როგორმე გვირაბს აქეთ თუ არ დატოვოს, ტომოგრაფის მსახვრალ სხივებს მის დატანჯული ქმართან და მამურად დედამინასთან ერთად გაუწყნაროს მზერა... სამტრედიას რომ გაკედებიან და ცალლიანდაგიან გზას შეუყვებიან, სწორედ მაშინ გამოავლინებს მას ნენეი, საბოლოოდ გამოათრევს ამ ყოვლად მოსაზებრებელი ლიქვორიდან, ხელს მაგრად ჩაკიდებს და ლალსა და გამოკეთებულს ჩაიყვანს ნარმტაც სანაპიროზე გამშენებულ მოკიაფე ქალაქში. ეჰ, ნენეი... მანაც ვალი აქვს მისი, გადაუხდელი ვალი... სასტუმროსთვის „ძია ბენო“ კი არა, „ნენეი“ უნდა დაერქმია, ასე უფრო სამართლიანი იქნებოდა... ანდა, სულაც კიდევ იმის სახელი მიენიჭებინა, რომელიც კი გაჰყვა მყრალ ისტორიულ ლიქვორებს, მაგრამ პირადად მას სიცოცხლე ხომ აჩუქა.

აბა, წარმოიდგინეთ, „როშჩასთან“ ახლოს სასტუმრო „ადმირალი ემილიო მასერა“. ან უბრალოდ „ადმირალი“... ვის გაუკვირდება ზღვისპირა ქობულეთში ასეთი სახელი?

ნონა კუპრეიშვილი
დედა და შვილი
ნაცრისფერ ზოლში



„სასწრაფოპიტილობის ნაირსახეობები თუ არსებობს, შესაძლოა, წერაც ერთ-ერთი მათგანია“ — ეს სიტყვები ავსტრიელი ნობელიანტ მწერალსა და დრამატურგს, პეტერ ჰანდკესს, საკუთარი დედის თვითმკვლელობის გამო ამ პროფესიისთვის დამახასიათებელმა ყველასა და ყველაფერზე რეფლექსირების ჩვევამ ათქმევინა. ტრაგედია 1971 წლის 20 ნოემბრის ღამეს ავსტრიის სლოვენიათან მომიჯნავე კართინის პროვინციის ქალაქ გრიფინში მოხდა. 1972 წელს მწერალმა გამოხატა ამ ფაქტის ამსახველი ემოციურად მოთოკილი, დამაფიქრებელი და მხატვრულად ინოვაციური მოთხრობა, რომლის ეკრანიზაცია 1974-ში განხორციელდა. მთარგმნელებმა ტექსტს მაშინვე რთულსათაურიანი უწოდეს. მაგალითად, რუსმა მთარგმნელმა მიხაილ რუდნიციკიმ აღიარა, რომ ბევრი უტრიალა ამ პრობლემას და ბოლოს და ბოლოს გერმანული „Wunschloses Unglück“ რუსულად თარგმნა, როგორც „Нет желаний — нет счастья“ (ქართულად: „არ არის სურვილები — არ არის ბედნიერება“). ქართულად მთარგმნელმა რუსულდანი ბრევამ კი მოთხრობის სათაურად აიღო გერმანული გამოთქმის Wunschloses Glück-ის, (ქართული: „უმაღლესი ბედნიერება“) პერიფრაზი „უსურვილო უბედურება“ იგივე, გერმანული: Wunschloses Unglück. აი, როგორ განმარტა მან თავისი არჩევანის სისწორე ნიგნის ანოტაციაში: „მოთხრობის სათაური „უსურვილო უბედურება“ („Wunschloses Unglück“) პერიფრაზია გერმანული გამოთქმისა „უსურვილო ბედნიერება“ (Wunschloses Glück), რაც უშუალოდ ბედნიერებას ნიშნავს. ბედნიერებას, რომელიც აღარაფერს გვიტოვებს სანატრელს. შესაბამისად, „უსურვილო უბედურება“ უკიდურესი უბედურება იქნება. უბედურება, როცა სურვილის თავიც არა გვაქვს“.

ჩემი აზრით, როგორც რუსული, ასევე ქართული სათაურის პოეტიკა მწერლის დედის ცხოვრებასა და მის ტრაგიკულ აღსასრულთან მაქსიმალურად მისადაგებულია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველი ასახავს პროცესს, მეორე კი — შედეგს. არადა, თვითონ პეტერ ჰანდკე, რომლის გაცნობა ნელი და დაკვირვებულები კითხვისთვის მომზადებულგება უნდა დავიწყოთ, თავისი დიდი შეღწევადობის მქონე მხერის, ეგრეთ ნოდებული „ახლო ხედვის“, ინსტრუმენტარებით იძლევა ამ მწერლის ჭეგრეტი-განჭვრეტის უაღრესად აკუმულირებულ შედეგებს. ესაა სწორედ მისი როგორც შემოქმედის ძლიერი მხარე, მისი ერთგვარი მარკერი, რაც ნამდვილ მკითხველს ინტერესს უჩენს, თვით მწერალს კი სხვა კალმონებისგან გამოაჩრევს. ამბავი, რომელზედაც ეს მოთხრობაა აგებული, იმდენად პირადულია, რომ ისედაც დრო-სივრცული საზღვრების გაფართოებისკენ მიდრეკილ ავტორს თხრობისა და მეტათხრობის, გნებავთ, მეტაფიქსნის საზღვარზე ამყოფებს, რაც ტექნიკური ხორცშესხმის თვალსაზრისით, გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს. ერთი მხრივ ტრავმული „ამბავი, რომელიც არ უნდა გაიტაცოს თავისი თავის თხრობის“ მეორე მხრივ კი თავის იჩენს ამ ყველაფრისგან თავდაღწევის ლოგიკური სურვილიც: „მოთხრობაზე მუშაობისას დროდადრო მომბეზრებია გულახდილობა და კეთილსინდისიერება და მინატრია, მალე ცოლავ ისე არ რალაც დამეწერა, რაშიც ცოტად დენი ტყუილს გავეუჩევდი და თავს ისეთად წარმოვჩენდი, როგორც სინამდვილეში არ ვარ...“ მოკლედ, ეს არ არის და ვერც იქნება დაგეგმვებითი წერა, ვთქვათ, მორის შევლიეს სტილი, და არც მწერლისთვის მიუღებელი „მოგონებების ბლანდვა“, არამედ გრაფიკულად გამოსატყუარი ავტო-

პორტრეტი ოჯახური ინტერიერის ფონზე, რა დროსაც მწერლის ფანტაზია შეზღუდულია, მაგრამ, ცხადია, არა გაუქმებული. დედის სიკვდილთან ასე ახლოს მისვლა რამდენადმე განსხვავებულ განზომილებაში განსახილველმა კამიუს პერსონაჟმა, გვარად მერსომ, შეძლო. როგორც სარტრმა უწოდა, „განსაკუთრებული მოდგმის“ ამ გმირმა, რომლის თავისუფლება სხვების უფლებრივ-მოვალეობრივი კონდიციების რღვევაზე გადის. სამყაროსადმი მერსოს გაუცხოება გარდაცვლილი დედის მიმართ მიღებული ქცევის კულტურული ნორმის ამოყირავებით იწყება და ბევრად უფრო შორს მიდის. კამიუს სიტყვებით, ესაა აბსურდი, რომელსაც აზრი ეძლევა მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ჰგულობს თვით აბსურდულობას, უჯანყდება მას. სწორედ ამ გზით შემოაქვს მას „უცხო თავისუფლების“ გაგება, რომელიც გასული საუკუნის მხატვრული აზრით გაცხადებული ყველაზე დიდი სულიერი მონაპოვარი აღმოჩნდა. თუ კამიუს ამ რომანის მიმართ ხშირად იყენებენ ტერმინებს აბსურდი და ეგზისტენციალიზმი (თუმცა ამ უკანასკნელთან საკუთარ მიკუთვნებულობას თვითონ ავტორი გადაჭრით უარყოფდა), ჰანდკე, რომელიც სწორედ „უცხო“ გამოქვეყნების დროს, 1942 წელს დაიბადა, „ბიტლზების“ და „როულინგ-სტოუნზის“ კულტურული გარდღეობის მოხიბლულ ფრანკურ-ესთეტიკურ თუ მხატვრულ ტექსტებს ნახიარები, 1968 წლის პარიზის გაზაფხულის ტალღაზე ავანგარდით გატაცებიდან თანდათან პოსტმოდერნიზმისკენ ინაცვლებს, რაც დროში ლიტერატურულ პარადიგმათა დიდ ცვლილებას — მოდერნიზმის პროექტიდან პოსტმოდერნიზმის პროექტზე გადასვლას — ემთხვევა. თუმცა, და ეს საგანგებოდ უნდა ითქვას, ეს მაინც არ არის ერთ კონკრეტულ მიმდინარეობასთან, სტილთან მიჯაჭვულობის დემონსტრირება, არამედ უფრო მომავალში მწერლის შემოქმედებით პრინციპად ქცეულ სხვადასხვა მიმდინარეობების სივრცეთაშორის პოზიციაზე დგომაა, როცა მოქმედებაში მოდის ყველაფერი — ნოვალისიდან ჯოკისამდე. ამას ხშირად ჰანდკესივე ლიტერატურულ პლურალიზმსაც უწოდებდა. თუ კიდევ უფრო დავაკონკრეტებთ, ჰანდკესს, როგორც მწერლის მოძრაობის ტრაექტორიას, შეიძლება ვუწოდოთ გზა სხვადასხვა „იზმებიდან“ სინტაქსურ სიუჟეტამდე. მანამდე, ასე ვთქვათ, ავანგარდისტობის დროს, 1966 წელს ჰანდკე ასწრებს მწვევატიტიკული სიტყვით გამოვიდეს „ჯგუფ 47“-ის (მასში გიუნტერ გრასიც იყო გაერთიანებული) წინააღმდეგ, „ძველებს“ აღწერის იმპოტენტურობაში დასდოს ბრალი, თომას მანი და კაჟკა, როგორც ერთ-ერთი პირველი ავანგარდისტი ვლადიმერ მაიაკოვსკი იტყოდა, „თანამედროვეობის ხომალდიდან ჩამოყაროს“, მათ ნანერს კი მაკულატურა უწოდოს. იმავე წელს იდგმება მისი პიესა „საზოგადოების შეურაცხყოფა“ (იგი მაყურებლისადმი ასეთი მიმართვის იწყება: „თქვენ ვერ ნახავთ წარმოდგენას, ვერც სანახაობის წყურვილს მოიკლავთ. თამაში არ იქნება, გართობაც არ იქნება!“). რომლითაც ჰანდკემ, ფაქტობრივად, ბოლო შტრიხი შესძინა თავის „enfant terrible“-ს, ანუ რეპუტაციას ადამიანისა, რომელიც სხვებს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. ამავე კონტექსტში უნდა ვისაუბროთ მწერლის მიერ საერთოდ „ლიტერატურის ისტორიის“, როგორც ასეთის, მიუღებლობაზეც (სტატია „მე სპილოს ძვლის კომპის ბინადარი ვარ“ — 1967), რომლის უმთავრეს მიზეზად ჰანდკე „საკუთრივ მის მიერ აღმოჩენილი რეალობის“ აღწერის ვალდებულებას ასახელებს. ნაკითხულ-

გააზრებული პრეტექსტები კი, ცხადია, მასში თვლემენ და, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ავტორის ნიშანსა ელოდებიან. ასე მოხდა იმავე კამიუს მიმართაც. „უსურვილო უბედურებამდე“ ერთი წლით ადრე გამოქვეყნებულ სცენარში „მეკარის შიში თერთმეტმეტრიანის წინაშე“, რომელიც მალევე რეჟისორმა ვიმ ვენდერსმა ფილმად აქცია, პრობლემურ-მოტივაციური თვალსაზრისით, ჩნდება ალუზია კამიუს „უცხოთან“ (ასევე სარტრის ადრეულ რომან „გულსრეკასა“ და მისივე ნოველა „ჰეროსტრატესთან“) და ეს ალუზია აქტუალურობას ინარჩუნებს „უსურვილო უბედურებამდე“. ამასთან ქმნის ისეთ ენას, რომელიც შემდგომში კიდევ უფრო თვალსაჩინო ენობრივი თამაშებისა და ფორმასთან ექსპერიმენტების საშუალებით მწერალს მუდმივად წინა ლიტერატურული გამოცდილებების რეცეფციისკენ მიუძღვის. ერთგვან ყორუ ეკიზაშვილი კამიუს სტილის ბარტისეულ ექვერმინებაზე საუბრისას (როგორც ცნობილია, ბარტმა ამ სტილს „წერის ნულოვანი ხარისხი“ უწოდა), ზუსტად შენიშნავს, რომ რომანის ფინალისკენ ეს მოცემულობა ავტორის მიერ დაძლეულია მსჯელობათა შეფასებით. ჰანდკე კი, პოსტმოდერნისტული პასაჟების ტექსტში ფრამენტულად გაბნევის პარალელურად (მაგალითად, თხრობა თხრობის შესახებ, სტილური არასტაბილურობა, რამდენადმე თვითორონია), ემოციების ერთბაშად გაქარწყლების მიზნით, მოთხრობის სტილის სწორედ ამ ტიპის შეფასებებზეც (და არა „შედევებზე“, როგორც ჩვენ ზემოთ ცოტა არ იყოს ტლანქად ვუწოდეთ) აგებს. ამ ტიპის შეფასებებს კი შეიძლება ავტოკომენტარებიც ვუწოდოთ ისე, რომ შუემწნეველი არ დაგვიჩრებს მათი გამოყენებით მიღებული ცვლილება — ტექსტის შიდა სივრცის გაფართოება. მოთხრობაში გაცოცხლებული განწყობილებები კი უდავოდ ნაცნობია: „გუნებაში ზედმინეებით ვახშიანებდი: ესეც ასე. ესეც ასე. ესეც ასე. ძალიან კარგი. ძალიან კარგი. ძალიან კარგი. მთელი ფრენის განმდგომლობაში უსაშველოდ მეამაყებოდა, დედაჩემმა თავი რომ მოიკლა...“; „რა შეუსაბამოაა, ამ გულგასახარად ცივილიზებულ გარემოში, (ა)მგვარი ამინდისას... მიცვალეზულის სახლისკენ მიემუდობე, სადაც, ალბათ, უკვე ხრნაშეპარული გვამი ასვენია...“; „დაკე-რძალვის რიტუალმა საბოლოოდ გააუპიროვნა იგი და ყველას შვევა მოჰგვარა“. ჰანდკე აქ საკუთარი პიროვნული და მწერლური ავტონომიურობის დემონსტრირებას მერსოსებურად ახდენს.

სხვა შემთხვევაში, „სულელურ საქანელად ქცეული გარსამყაროსა და უშნო ქალის“ დამორისპირება, რასაც, ფაქტობრივად, ეძღვნება კიდევ ეს მოთხრობა, თვით პერსონაჟის ქცევის მოტივაციისა და მის გარშემო თავმოყრილი, შეიძლება ასეც ითქვას, მის თავზე დაყრილი საოჯახო ნივთების დეტალიზებით ხორციელდება, ნივთების, რომლებმაც, როგორც შემდეგ გაირკვევა, მისი ახალგაზრდობა მოიპარეს: „მხიარული ქვაბები“, „სახიფათო ცეცხლსაჩხრეკი“, „მყუდრო ღუმელი“, „თავხედი ურიკა“, „საქმეს მოწყურებული ნამგალი“, „ხარითი უთო“, „ბეჟიერანი საცობი“, „კარგი რამ“ — ზინგერის საკრავი მანქანა, „სასაცილო საითე“ — ფიქრობ, აქ ტროპის მხატვრული შესაძლებლობები სრულადაა გამოყენებული. ჰანდკესს პერსონაჟი კონკრეტულ დრო-სივრცულ გარემოში, რეტრავმატიზაციის ამ გზაზე, სხვაგვარადაცაა მონიშნული. ესაა მდგომარეობა გამუდმებული ტკარცალიდგამ (მთარგმნელმა დროულად გამოიხმო ეს ცოტა არ იყოს მივიწყებული სიტყვა) პირმოკუმულ ნითხითამდე. ძნელად ასახსნელია, რატომ შემოიჩა ხსოვნა ახალგაზრდულ ოცნებებზე მანაცდამინც ნეკა თითს, რომელიც დადელით ხელეების მაგდგაზე ჩამოწყობისას დაუკითხავად ათამაშდება ხოლმე და რომელსაც პატრონის მეორე ხელი, ჩარუმების მიზნით, მაშინვე გადაეფარება. იქნებ იმიტომ, რომ ამ პერიოდისთვის, როცა მისი წარმოდგენა მარადიული სიყვარულზე დაინგრანა და ყველაფერი ყოველდღიური წვრილმანის ბადეში გაეხვია, საჭირო გახდა გარეთ — გამარჯვებულის სახით — გასულიყო, მინ კი — სუსტი მეორე ნახევარი, მარად წაგებული“ ჰყოლოდა. „ეს (ხომ) ცხოვრება არ იყო!“

დასასრული

ერთი შეხედვით, დაუფერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ლამის შუა ევროპაში მდებარე სლოვენური სოფელში პატრიარქალური იერის მქონე ანაქრონიზმი სუფევს. ქალები შეხვედრისას ტრადიციული კითხვით „როგორ ხარ?“ კი არ მიმართავენ ერთმანეთს, არამედ ასე — „ხომ უკეთ ხარ?“, რაც იმას ნიშნავს, საკუთარ ცხოვრებას ხომ უძლებ? ქალის სწავლა-განათლებაზე არაფერსაა საუბრობდა, სიტყვა „ინდივიდუმი“ კი არც არაფერს გავგონა და თუ გაეგონა, მხოლოდ აღვირახსნილ გინებას უკავშირდებოდა. და, აი, უკიდურესი სიღარიბიდან ოდნავ ფეხგადგმული ერთ-ერთი მრავალშვილიანი გლეხის ოჯახში დაბადებული გოგონა გაბედავს და ჯერ „სახელიდან წასულის“, მოგვიანებით კი „საზღვარგარეთ წამყოფის“ სახელს დაიმკვიდრებს. მამას, რომელიც მთელი ცხოვრება ხელმომჭირნობის „მხსნელ“ კალთას იყო ჩაფრენილი, არც ერთ ამ მოვლენაზე სათანადოდ რეაგირება კი არ მოუხდენია. ძირითადად მისტიროდა დანაზოგს, ყოველ ჯერზე მორიგი ინფლაციის მიზეზით ხელიდან რომ უსხლტებოდა. ამ გოგონას კი ჯიუტად სურდა სწავლა და ჯანსაღი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება. ვერაფრით დაეინცებინა ის განცდა, სკოლაში ბეჯითად სწავლისას რომ გაუჩნდა, საკუთარ თავს ვგრძნობდო. თუთოდ, თავი მაშინაც დამოუკიდებლად იგრძნო, როცა ჩვენებური ქების სიგელის მსგავსი მადლობის წერილი მუყაითობისა და საბუღალტრო საქმის შესწავლის გამო დაიმსახურა, მაგრამ პირადი ცხოვრება, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკით გატაცებული არასდროს ყოფილა, როგორც 30-იანი წლების იმ საბედისწერო ეიფორიას შეენირა, როცა რადიოში მოსმენილი ჰიტლების ხმა უამრავ ადამიანს სასიამოვნო მოლოდინებს უჩენდა. ავსტრიის ანშლუსიც ამ მოლოდინებიდან ერთ-ერთის ახდენად აღიქმებოდა. ჰოდა, მანაც სასურველი რეალობად მიიჩნია — სწორედ ისე, როგორც ეს უამრავ ქალს ემართება — და ვერმახტის ჯარისკაცისა და იმხანად შემწახველი სალაროს ცოლიანი სამხედრო ხაზინადარის ბანალური სასიყვარულო სიტყვებს მიენდო.

„ოცი წლის შემდეგ დედაჩემი ნატრობდა, კვლავ გასწრედა ვინმეს მიმართ იმგვარი გრძნობა, როგორც მას, უბადრუკი ანბანური თავაზიანობით მოხიბლულს, ერთ დროს შემწახველი სალაროს ამ არსებამ აღუძრა“ — ასე აფასებს მწერალი თავისი ბიოლოგიური მამის როლს დედამისის, და არა მარტო დედამისის, ცხოვრებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ჰანდკეს ხშირად საყვედურობენ სიუჟეტის, ინტრიგის, სხვათა შორის, ფსიქოლოგიზმის, როგორც მხატვრული ხერხის, უგულვებელყოფას (დიახ, მას ჰყავს ლიტერატურული და არალიტერატურული მიზეზებითაც პროვოცირებული საკმაოდ აგრესიული ოპოზიციონერები, მაგ. სლოვენიელი ფილოსოფოსი სლავოი ჟიჟეკი ან რუსულენოვანი ლიტერატორი და ლექტორი დმიტრი ბიკოვი), თხრობისა და მთხრობლის მჭიდროდ გადაკვეთის ამ ველში, რომელიც გზადაგზა ჰანდკესული შეფასებებით იტვირთება, სიუჟეტური ხაზი სწორედ ისე და იმდენადაა განვითარებული, რამდენიც ნიჭიერი, გამორჩეული, თუმცა მაინც შეუმდგარი ქალის ბოლომდე ამოუხსნელი სულიერი დრამის მხატვრულ რეპრეზენტირებას სჭირდება. ცხადია, „ბუნების ამ სპექტაკლში“ ადამიანური რეკვიზიტი“ მონანილიეობის ბანალური ხასიათიც საკმარისადაა გამოკვეთილი, თუმცა მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა სახელი დაარქვას არა მხოლოდ ამ კონკრეტული პერსონაჟის, არამედ მსგავს პრობლემებთან ურთიერთობით გამონვეულ საკუთრივ მის სულიერ გამოცდილებებს. ეს კი ჰანდკეს წიგნის განსაკუთრებული დამსახურება მგონია.

შემდეგ ჩნდება ჰანდკეს მამინაცვალი, ბრუნო ჰანდკე, აი, ის „მარად წაგებული“, ასევე ვერმახტის ჯარისკაცი ბერლინიდან (ესეც ერთხანს საზღვარგარეთ ყოფნის

მიზეზი), შემდგომში ტრამეის მემანქანე და მშენებლობაზე დაქირავებული დღიური მუშა, მისი დანარჩენი შვილების მამა და ინყება ის, რასაც მწერალი „წინდახედულ ქვევას“ უწოდებს მამინ, „როდესაც წინ ვერაფერს ხედავ“. არადა, ქალმა სკოლაში კარგად ათვისებული სუფთა წერის

ნონა კუპრეიშვილი**დედა და შვილი
ნაცრისფერ ფოლში**

ჩვევები თავისიანებისთვის მიინამალური კომფორტის შექმნას მოახმარა. ქმრის საძებრად „დუქან-დუქან სირბილი“, მისი მწირი ხელფასის გამუდმებით გადამონემა, სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში ოჯახის კუთვნილი სოციალური დახმარებების გამოსათხოვრად სიარული, სქესობრივი ექსპანსიაში გადაზრდილი ცოლქმრული ურთიერთობა, ოჯახური ძალადობა, რომელზეც ერთობ უცნაური რეაქცია ჰქონდა („თავმოყვარეობა შელახული... კაცის უკვე ნამდვილ ცემაზე გადადიოდა, რის პასუხადაც ქალი ყოველ დარტყმაზე სიცოცხლე აყრიდა“), კიდევ უფრო აძლიერებენ სიღარიბისა და უსიყვარულობის ატმოსფეროს, რომელიც მის გარშემოა. „ყველას კმაყოფილსა და დანაყრებულს რომ დაიგულებდა, მონარჩენ პურის ქერქებს კეკლუცად წაიღებდა პირისკენ“. საერთოდ, სიღარიბეს ჰანდკე სერიოზულ ფაქტორად მიიჩნევს და ბევრი ხამ იცის ამ ფენომენის შესახებ. ალბათ, ისიც კი შეეძლო, კამიუს მსგავსად ეთქვა: თავისუფლება მარქსისგან არ მისწავლია; მე იგი სიღარიბეში შევიცანიო... თუმცა მოთხრობის პერსონაჟს თუ დაფუძრუნდებით, აქ თავისუფლების ბოლომდე გასააზრებელი რესურსი ნაკლებადაა, სამაგიეროდ არის თვითონმენა, რომ საკუთარი თავის დაკარგვას გადაურჩება. „დედაჩემი არა და არ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ გამუდმებულ გაჭირვებას მისი გათელვა შეეძლო“, და ესეც: „მას შეეძლო ნარმოედის ცხოვრება, რომელიც დღენიადაც მხოლოდ საოჯახო საქმიანობა არ იყო. ვინმე ბიძგის მიმცემი რომ ჰყოლოდა, დედაჩემი სწორ გზას დაადგებოდა“.

კათოლიკური რელიგია, თავისი „სანუგეზო ფეტიშებით“, ცხადია, იძლეოდა ერთ-ერთი ამოთქმის საშუალებას, მაგრამ ეს ღრმად რიტუალიზებული შესაძლებლობა, სამწუხაროდ, ფორმალურ ხასიათს ატარებდა. გარდა ამისა, პიროვნულადაც უჭირდა ამ რელიგიის მსოფლიო სევდის გათავისება, რადგან „მხოლოდ ამქვეყნიური ბედნიერება სწამდა“. ამ მხრივ, არც სოციალიზმი აღმოჩნდა მონოდების სიმალღვე. „ეს სისტემა უძლური აღმოჩნდა, მისი ქალური სამყარო ოდნავ უკეთესი გაეხადა“. და საერთოდ — აქ ისევე და ისევე ჰანდკესული შეფასებას ვანდებით — „რაც მას ნამდვილად სჭირდებოდა, იმას პოლიტიკასთან საერთო არაფერი ჰქონდა“.

როცა ბავშვები ნამოიზარდენ და სახლში თანამედროვე საოჯახო ტექნიკა გაჩნდა, შვილის პირველ ლიტერატურულ ნარმატებებს კი მსუბუქი ავტომანქანა და მეზობელი საკურორტო პატარა ქალაქ-

ბის სასტუმროებში სულ რამდენიმე დღით ჩასვლის შესაძლებლობა კი მოჰყვა (თუმცა ასეთი ცვლილებისთვის „თავი არ ეღირსებოდა“), მეტი ინტენსიურობა შეიძინა დედა-შვილის სხვადასხვა ამბების მოყოლით დანყებულმა სულიერმა კონტაქტმა. ნობელის პრემიის მიღებისას წარმო-

თქმულ სიტყვაში ჰანდკემ რამდენჯერმე გაუსვა ხაზი ამ გარემოებას და ისიც განაცხადა, რომ დედაჩემის მიერ მოყოლილმა ამბებმა ითამაშეს ერთგვარი ბიძგის როლი, რათა მწერალი გავმხდარიყავიო. მერე და მერე ზეპირსიტყვიერება წიგნებმა ჩაანაცვლა: ფაღადა, კნუსტ პომერანი, დოსტოვესკი, თომას ვულფი, უილიამ ფოლკნერი. ასე მწერალი გვახედებს საკუთარი ცხოვრების მიღმა აღმოჩენილი ადამიანისთვის დამახასიათებელ შინაგან იზოლაციაში, რომელშიც, მართალია, გვიან, მაგრამ მაინც წიგნის ნათელი შემოდის, ანუ იმაში, რასაც თვით ავტორი „კითხვის საშუალებით, ცხოვრებაში პირველად, საკუთარი შინაგანი არსების გარეთ გამოტანას, თავის შესახებ ლაპარაკის სწავლას“ უწოდებს. დიახ, ეს სწორედ „მდუმარე ანონიმური ბიდან თავის გამოხსნას“ ჰგავდა. თუმცა რა უნდა ეთქვა მისთვის, როგორც გამოუცდელი მკითხველისთვის, ვთქვათ, დოსტოვესკის „თვინიერს“, რომელსაც სულაც პერსონალიზმისა და ეგზისტენციალიზმის წინამორბედად მიიჩნევენ, მთავარი პერსონაჟის თხრობის მონოლოგიზებული ფორმის კი მოგვიანებით „ცნობიერების ნაკადად“ წოდებულ წერის მეთოდს, მანერას შეადარებენ? რამდენად გასაკვირი იქნებოდა ჰანდკეს მოთხრობის პერსონაჟისთვის ნაოფიცრალი, „ფაუსტის“ ციტატებით მოხაზებულ მეფასისა და მისი ამოუცნობი ყმანვილი ცოლის ამ მწერლისთვის დამახასიათებელი მაგნიტური ფსიქოლოგიზმი მოწოდებული ისტორია? იქნებ ის დუმილი ეცნო (ის და მისი ქმარიც ხომ ძირითადად დუმდნენ), რომელიც „თვინიერში“ თავის მხრივ მარგინალიზებული ან სულაც თვითმარგინალიზებული ქმრის მიერ სათანო ახლავაზრად ქალის დამორჩილების ტაქტიკადაა გამოყენებული? ან იქნებ გარკვეულ გამოსავლად სწორედ სუიციდი ენიშნა, რომლითაც ეს ქალი ღვთისმშობლის ხატით ხელში ფანჯრიდან გადაუშვება და ამით ნერვების უკიდურესად დაძაბულ ორთაბრძოლას ასრულებს. ასეა თუ ისე, ლიტერატურულ პერსონაჟებს საკუთარ თავს ადარებს, რათა შემდეგ მშვიდად თქვას, მე ხომ ასეთი არა ვარო.

ჰანდკე გვარწმუნებს, რომ ლიტერატურასთან დაგვიანებულმა შეხებამ დედამისი უფრო ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების სიმწარეს აზიარა, ვიდრე სამომავლო გეგმებს. საბედისწერო გარდატეხა კი ასაკის მატებასთან ერთად მოვიდა. ექიმებმა მას ნერვული აშლილობა უწოდეს.

აქედან თხრობა უფრო დინამიკური და შეიძლება ითქვას, უფრო ტრადიციულიც

ხდება, დედის სახე კი მრუდე სარკეში დანახული უცნობის პორტრეტს ემსგავსება. ლამის ნატურალისტურადაა აღწერილი თვითმკვლელობისთვის მზადების ეპიზოდი, რომელიც თავისი სკრუპულოზობით შემზარავიც კია: ჯერ უფროს შვილს ანდერძის ასლს და სხვა დოკუმენტებს უგზავნის. შემდეგ ყიდულობს საძილე საშუალებებს და მათთან ერთად რატომღაც ნითლად მოხახხასე ქოლგას. ენვევა თავის პარიკმახერსა და მანიკურის ხელოსანს. მას შემდეგ, რაც ყველა ნამალს მიიღებს და ზედანტიდებურსანტებსაც მიაყოლებს, „ამოიცვამს მენსტრუაციის შარვალს, შიგნით ჩერებსაც ჩაიფენს, თავსაფრით მჭიდროდ აიკრავს ნიკაპს და ლამის პერანგში გამოწყობილი სანოლზე გაინვარდება“. აქ ისევ თავს გვახსენებს დოსტოვესკის სახელთან დაკავშირებული კიდევ ერთი ფაქტი. ესაა ჰანს ჰოლბაინ-უმცროსის ცნობილი ტილო „ქრისტე სასიკვდილო სარეცელზე“, რომელიც კრედიტორებისგან ევროპაში გაქცეულმა მწერალმა თავისთვის ბაზელში აღმოაჩინა, შემდეგ კი რომან „იდიოტი“ გამოიყენა. (დოსტოვესკის მეუღლე, ანა სნიტკინა, წერს, რომ ამ ნახატთან ერთად ერთ ოთახში ვერაფრით დარჩებოდა).

წერტილის ამ ფორმით დასმა, რომელიც ჰანდკეს პერსონაჟმა გადაწყვიტა, საკუთარი ცხოვრებისგან გამოფიტვამ, არარეალურიზების მტკივნეულმა განცდამ გამოიწვია. ადვილი დასაჯერებელია, რომ ასეთ სიტუაციაში სიტყვების სიმყუფი და უძლურებაც კი რეალბასა და გამონაგონს შორის ზოგჯერ გადაულახავ ბარიერს ქმნის. მწერალმა ამ „მასალისგან“ დისტანცირება მხოლოდ ნაწილობრივ მოახერხა, დედის საიდუმლო კი მაინც ამოუხსნელი დარჩა: „დედას ხომ მწერივით ვერ მოათავსებ კოლოფში, მოუხელთებელი რჩება. წინადადებები კი ბნელში ცვივიან და უწესრიგოდ ხვავდებიან ქალაღლზე“. ეს ის განცდაა, რომელიც არა მხოლოდ შემოქმედ ადამიანს უჩნდება, არამედ მთელ რიგ საზოგადოებებს, განსაკუთრებით ისეთებს, სადაც დედაშვილობა ღრმად საკრალიზებული და მიოლოგიზებულია, სადაც ქალის ყველაზე საპატიო ფუნქციად ჯერ კიდევ რჩება რეპროდუქტიულობა, შვილისთვის თავგანწირვა და შემდეგ მისი ცხოვრებით ცხოვრება. „უსურვილო უბედურება“ სწორედ ის წიგნია, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია ბევრი რამის გადააზრება და, როგორც თვით მწერალი ამბობს, „კითხვიდან განსხვავებული თვითშეგრძნებით ამოყვინთვა“.

ჰანდკეც საუბრობს ხშირად მიუთითებენ იმაზე, რომ მისი ყოველი ახალი წიგნი წინამორბედისგან საგრძობლად განსხვავდება, უკანასკნელ პერიოდში კი იმასაც აღნიშნავენ, რომ სულაც შეწყვიტა წერა მკითხველისთვის და ძირითადად საკუთარი თავისთვის წერს, რითაც დემსგავსა ანახ(ქ)ორეცა, ანუ ადამიანს, რომელიც იმდენად თვითმმარა, რომ არც არავინ სჭირდება. სინამდვილეში რეალობაზე სხვადასხვა რაკურსიდან დაკვირვების შემდეგ, ჰანდკემ სამწერლო ენას შეაფარა თავი, რომლის შესახებაც ერთგან ასეთი რამ თქვა: „ენა იმისთვის არსებობს, რომ იგი დიდი წიგნების ენად უნდა იქცეს“. ბუნებრივია, ასეთ დროს მკითხველისგან მხოლოდ შორეული სილუეტი რჩება, რომლის არსებობა გარკვეულწილად იგულისხმება, თუმცა ზემოქმედების უნარი ძველებურად აღარ შესწევს. ეს კი უკვე ის დიდი მარტოობაა, რომელიც მწერალს საკუთარი აზრების მაღალ რეგისტრში წარმოთქმას არ ავალბებს. არადა, აფორისტულ აზროვნებაზე საბოლოოდ უარს მაინც ვერ ათქმევინებს. ამ მოთხრობასაც მწერალმა ეპიგრაფად წარუძგვარა თავისი ერთ-ერთი სათაყვანებელი მუსიკოსის, ბობ დილანის (ასევე ნობელისწინა) სიტყვები: ვინაიდან ჩვენ ერთადერთი არჩევანი გვაქვს — დაბადებასა და გარდაცვალებას შორის, მნიშვნელოვანია გავიგოთ, „ვინც დაბადებას არ ესწრაფვის, ესწრაფვის კვდომას!“

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოს მხარეთმცოდნეობის სამსახური

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940



9 177 234 6179 4004